# ძეგლის მეგობარი



12

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1967



მემატიანე

არსენ ფოჩხუა

ხეზე კვეთილობა (კაკალი)

სერია: „მატერიალური კულტურის ძეგლები“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ძეგლის მეგობარი

კრებული მეთორმეტე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, ანდრია აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, ლევან გოთუა, ლადო გუდიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, თეიმურაზ კანდელაკი, ირაკლი ზაქარიაშვილი, ნიკო კეცხოველი, ლევან მატარაძე, ოთარ სანებლიძე, ზაირა სტურუა (პ/მგ. მდივანი), გიორგი ჩიტაია, გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე, ლევან ხიმშიაშვილი.

ილია ადამია
არქიტექტურის კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფ. ღორჯომი. რთულ რელიეფზე დაგეგმილი კარმიდამოს
საერთო ასახულობა

# ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში

საქართველოს მხარეთა შორის ბუნებრივი გარემოცვისა და მიკროკლიმატური ფაქტორების მკვეთრი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია გეოგრაფიული კონტრასტული პირობებით, უძველესი დროიდან ადამიანისათვის სხვადასხვაგვარ საცხოვრებელ გარემო პირობებს ქმნიდა.

კონტრასტული რელიეფის შეხამება სხვადასხვა ტიპის ჰავასთან და დედამიწის ქერქის მრავალფეროვანი გეოლოგიური სტრუქტურა საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი სახის ადგილობრივი საშენი მასალების რესურსების სიუხვეს ქმნიდა.

ზემოხსენებულმა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი საქართველოს საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე, სხვადასხვა მხარესა და კუთხეში, სხვადასხვაგვარი ტიპის საცხოვრებელთა წარმოშობასა და განვითარებას, რომელთა ხუროთმოძღვრულ ფორმირებაში დიდი როლი შეასრულა ადგილობრივი საშენი მასალების გონებამახვილური გამოყენების ტრადიციამ, შრომა-საქმიანობის ხასიათმა და ქართველ ტომთა ეთნიურმა პირობებმა.

ქართული საცხოვრებელი სახლის გენეზისის დასადგენად საჭიროა საქართ-

ველოს ყველა მხარისა და კუთხის საცხოვრებელი სახლების ძველი ტიპების შესწავლა. საქართველოს ცალკეული მხარის მიკრორაიონების ძველი სამშენებლო ხელოვნებისა და ხალხური ხუროთმოძღვრების იმ მდიდარი მემკვიდრეობის გამოკვლევა, რომელიც ძველი ეროვნული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს.

საქართველოს მხარეთა შორის, თავისი მომხიბლავი ხატოვანი ბუნების ლანდშაფტით, ერთ-ერთი ულამაზესთაგანია აჭარა.

აჭარაში დღემდე უხვადაა შემორჩენილი ისეთი ძველი ხალხური ხუროთმოძღვრული უნიკალური ძეგლები, რომელთა ფიქსირება და გამოკვლევა ჯეროვანი ყურადღების ღირსია.

საერთოდ, აჭარის ისტორიისა და მატერიალური კულტურის შესახებ მრავალი ღირსშესანიშნავი ნაშრომი არსებობს, რომელთაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ამ მხარის მატერიალური კულტურის შესწავლისათვის. სამწუხაროდ, ამ ნაშრომებში ხალხური ხუროთმოძღვრების საკითხები ჯეროვნად გაშუქებული არ არის.

აჭარის ხალხური ხუროთმოძღვრების სპეციალური შესწავლა დაიწყო მხოლოდ 1950 წლიდან, პირველი ნაშრომი ამ საკითხზე გამოცემულ იქნა 1956 წ.[1].

როგორც ცნობილია, ოსმალო თურქების მრავალგზისი შემოსევის შედეგად ბევრი მატერიალური კულტურის ძეგლი დაინგრა და განადგურდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში ისეთი კუთხე, რომელსაც ისე კარგად შეენარჩუნებინოს ნივთიერი კულტურის, სახელდობრ, ხით ხუროობისა და ხალხური ხელოვნების, უძველესი ნიმუშები იმ მოცულობითა და მრავალფეროვნებით, როგორც ეს აჭარაშია დღემდე დაცული.

არ შეიძლება სინანული არ გამოითქვას იმის გამო, რომ ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლისადმი ენთუზიაზმით აღსავსე დამოკიდებულების ტრადიცია, რომელიც დამკვიდრებული იყო ჩვენში კომპეტენტური ორგანიზაციების თაოსნობით, ამ ბოლო ხანებში სრულიად მივიწყებულ იქნა.[2] ასეთ ვითარებას ზოგიერთი ხელმძღვანელი სახსრების უქონლობით ხსნის, რაც სრულიად გაუმართლებელი და ყოვლად შეუწყნარებელია.

ხალხური ხუროთმოძღვრების სისტემატური შესწავლის ტრადიცია აღდგენილ უნდა იქნას და რაც შეიძლება ხუროთმოძღვრულ განათლების მქონე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი დავაინტერესოთ და ჩავაბათ ამ კეთილშობილურ სახალხო საქმეში.

ზემოდ აღნიშნული შენიშვნების შემდეგ მეტი ინტერესის აღძვრისა და ხალხური ძეგლების ახლოს გაცნობის მიზნით, მოკლედ შევჩერდებით აჭარის ტერიტორიაზე გავრცელებული ქართული საცხოვრებელი სახლების ძველი ტიპების განხილვაზე, რომელიც ზემოხსენებული მონოგრაფიის[3] ზოგიერთ თავში გაშუქებული საკითხების კვინტესენციას წარმოადგენს.

---

[1] ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აჭარა, წიგნი პირველი, თბ. 1956 წ.

[2] ჩვენ მხედველობაში გვაქვს საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრა, ზოგიერთ საპროექტო ინსტიტუტთან არსებული სექცია და სხვ., რომლებსაც დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული ამ მიმართულებით; მათივე ხელმძღვანელობით ხალხური ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილი არა ერთი და ორი მონოგრაფია, თუ სადისერტაციო ნაშრომია დაწერილი.

[3] ი. ადამია, დასახ. ნაშრომი.




სოფ. დიდაჭარა. აჭარული ტიპის საცხოვრებელი სახლი
(მ. ბოლქვაძის საცხოვრებელი სახლის ფასადი და გეგმები)

ეროვნული
ბიბლიოთეკა




გურია—სოფ. ზოტი. ა. ჭელიძის სახლი

1. წინა ხედი, 2. თავანის ბელელის გეგმა, 3. ცოკოლის სართულის გეგმა. 4, ჭრილი,
5—6 პირველი და მეორე სართულის გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის ტერიტორიაზე დღემდე მოღწეული ძველ დასახლებათა და საცხოვრებელთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათი ფორმები უძველეს დროიდან დღემდე გარკვეული კანონზომიერებით ვითარდება.

აჭარის ტერიტორია ძველი დასახლების სისტემის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: ა) მუდმივი, ანუ სოფლური დასახლება, ბ) დროებითი, ანუ სეზონური დასახლება.

მუდმივი დასახლება განვითარებულია გეოგრაფიული არეების შესაბამისად, რომელიც შედგება სამი საცხოვრებელი ზონისაგან:

I. სამხრეთ-აღმოსავლეთი ზონა, რომელიც მოიცავს მთლიანად ზემო აჭარას — ხულოსა და შუახევის რაიონებს.[1]

II. სამხრეთ-დასავლეთი ზონა, რომელშიც შედის ქედისა და ბათუმის რაიონები და III. ჩრდილო-დასავლეთი ზონა, რომელშიც შედის ქვემო აჭარიდან მხოლოდ ქობულეთის რაიონი.

ძველი სოფლის დასახლების ფორმა შეჯგუფებულია და მთის სოფლების ყაიდაზეა ცალკეულ უბნებად, ე. წ. გვარებად დასახლების წესზე განვითარებული.[2] გვარებად დასახლების ტრადიცია, შეიძლება ითქვას, საქართველოს არცერთ კუთხეში ისე მკაფიოდ გამოხატული არაა, როგორც ეს აჭარის სოფლებშია დღემდე დაცული.

სხვადასხვა გვარებად დასახლებული ცალკეული უბნები გაერთიანებულია ერთი სოფლის სახით და მიღებული აქვს იმ გვარის სახელწოდება, რომელიც პირველად დასახლებულა და საცხოვრებლად ეს ადგილი აურჩევია. ამ ნიადაგზეა წარმოშობილი, მაგალითად სოფლები: ყადიშვილები, შოთაძეები, ირემაძეები, ხალაკიძეები და სხვ.

ტიპიური სოფლური დასახლების განაშენიანებისათვის გამოყენებულია ყველაზე უვარგისი, მწირი და დასამუშავებლად მიუდგომელი ადგილები.

საცხოვრებელ უბნებს შორის მოქცეული ყველაზე საუკეთესო ვრცელი „სუცთა" ფართობები სამეურნეო დანიშნულებისათვის (ნათესავებისათვის) არის გამოყენებული.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე რთული რელიეფის ხელოვნურად მოწყობილ ტერასებზე, ამფითეატრული განაშენიანების ნიმუშები, ხშირად ერთი საცხოვრებელი უბანი (მეჰელე) მეორესთან დაკიბული სახის ქუჩებითა და ბილიკებით არის დაკავშირებული. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სოფლის სახელწოდება „კიბე" (სოფ. კიბე) რთული რელიეფის — ხელოვნური დაკიბვის გამო უნდა იყოს შერქმეული.

ცნობილია, რომ დასახლების განაშენიანების ძირითად ელემენტს (უჯრედს) წარმოადგენს კარ-მიდამო. შეიძლება ითქვას, რომ აქაური კარმიდამოს განაშენიანება არის დასახლების ისეთი ტიპიური ფრაგმენტი, რომლის სივრცობრივი სტრუქტურა ნათელ სურათს იძლევა რთულ რელიეფში ჩამჯდარი განაშენიანების ნიმუშებზე.

დასახლების მეორე ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს დრო-

---

[1] ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი არ არის მოხსენებული საცხოვრებელი ზონების განლაგებაში, რადგანაც ეს ადგილები თითქმის დაუსახლებელია.

[2] გვარებად დასახლებულ თითოეულ საცხოვრებელ უბანს „მეჰელე" ეწოდება.

ებითი, ანუ სეზონური დასახლების ფორმას, რომელიც ორი საფეხურისაგან შედგება — „ფერდასა და „მთა“-საგან:

„ფერდა“ წარმოადგენს საგაზაფხულო და საშემოდგომო ბინას, ანუ სეზონური დასახლების ისეთ სახეს, სადაც „ოცამდე ორსართულიანი ჯარგვალია დადგმული... „ფერდაში“ რჩებიან თვე ან თვენახევარი“.[1]



„ფერდა“ — ნაპირვალა. სეზონური (დროებითი) ტიპიური დასახლების საერთო ხედი

„ფერდასთან“ შედარებით „მთა“ უფრო ვრცელია — ეს არის სეზონური დასახლების ისეთი სახე, როცა რამდენიმე ათეული (20—50) სახლი შეჯგუფულად დგას ერთ ადგილას და სოფელს ემსგავსება“[2]; იგი გამოყენებულია საცხოვრებლად ზაფხულის პერიოდში.

„ფერდასა“ და „მთა“-ს დროებითი დასახლების ტიპიური ფორმების წარმოშობა დაკავშირებულია მესაქონლეობის განვითარებასთან. მესაქონლეობის განვითარება მოითხოვს სეზონურ საძოვრებზე ვრცელ ტერიტორიას, რომელშიც წარმოიშობა კომლთა შეჯგუფებული დროებითი ხასიათის დასახლება.

„ფერდას“ და „მთა“-ს დასახლების ტიპიური ნიმუშები აჭარის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია თავიანთი პირველყოფილი ფორმებით, რაც,

---

1 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950., გვ. 132.

2 ნ. ნიჟარაძე, აჭარის ალპური მეურნეობა, ბათუმი, 1948 წ., გვ. 74.

3 „ფერდა“ — ყიშლა, „მთა“ — იაილა.

(1)



(2)



1 ფასადი
2 გეგმა
3 ჭრილი

(3)



აჭარა სოფ. დიდაჭარა ა. დემეტრაძის სახლი




სოფ. ვაიო. აჭარული ტიპის საცხოვრებელი სახლი
(შ. ჩიკვაიძის სახლის ფასადი, გეგმები და ჭრილი)

ქვი არ არის, წარმოადგენს მთის სოფლების დასახლების აშკარა პროტოტიპს, რის გამოც მათ დეტალურ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქვემოთ განხილულია მხოლოდ საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ტიპობრივად საუკუნეთა მანძილზე, ზემოთ აღწერილი ბუნებრივი გარემოცვისა და ადგილობრივი მომქმედი მიკროპირობების შესაბამისად.

ა ჭ ა რ უ ლ ი ტ ი პ ი ს ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი ს ა ხ ლ ე ბ ი. პირველ საცხოვრებელ ზონაში გავრცელებულია ხალხური საცხოვრებელი სახლის მხოლოდ ერთადერთი ტიპი, რომელსაც აქ „აჭარულ“ სახლს ეძახიან. ჩვენი აზრით, ეს სახელწოდება მას მიღებული აქვს იმის გამო, რომ იგი აჭარაში დომინირებულ ტიპს წარმოადგენს.

„აჭარული“ სახლის გეგმის კომპოზიციას აივნების ჩათვლით კვადრატთან მიახლოვებული ან ზუსტი კვადრატის მოყვანილობა აქვს.

ზემოხსენებული სახლების სივრცობრივი კომპოზიცია ორი, ორნახევარი ან სამსართულიანია; სახლების მოცულობა ვერტიკალური მიმართულებით დაყოფილია შემდეგი დანიშნულების სართულებად;

ა) „ხალხამის“ სართული, ბ) „ახორის“ ან ბოსლის სართული (პალატი), გ) საცხოვრებელი სართული და დ) თავანის სართული.

„ხალხამის სართული ეწოდება აჭარული სახლის ქვედა ღია ნაწილს (ცოკოლის სართულს), რომელიც რთული რელიეფითაა შექმნილი და გამოყენებულია საქონლისათვის ზაფხულის პერიოდში თავისუფალ სადგომად.

ხალხამის თავზე (მეორე სართულზე) გამართულია ე. წ. „ახორის“ სართული, სადაც საზამთრო ბოსელია მოწყობილი. ბოსელი ხშირად ორი განყოფილებისაგან შედგება, ან კიდევ ორ სართულად არის მიწის დონედან ამოყვანილი.

აჭარული ტიპის საცხოვრებელი სახლები, პირველი საცხოვრებელი ზონის გარდა, გავრცელებულია აგრეთვე ნაწილობრივ II და III საცხოვრებელი ზონის აღმოსავლეთ ნაწილებშიც.

აღსანიშნავია, რომ II და III საცხოვრებელ ზონებში გავრცელებულ აჭარული ტიპის სახლებში „ხალხამისა“ და „ახორის“ სართულებმა, ხსენებულ ზონებში მეურნეობის სხვა სახის, კერძოდ, მევენახეობის დაწინაურებასთან დაკავშირებით განიცადეს ე. წ. ფუნქციონალური ხასიათის ცვლილებები, ხალხამისა და ახორის სართულებს ჩამოშორდა პირუტყვი, რის გამოც აჭარული სახლის ქვედა სართული განთავისუფლდა ბოსლისაგან და მისი ადგილი დაიკავა მარანმა და სხვა დანიშნულების სათავსოებმა. ამის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია სოფ. ვაიოდან შ. ჩიკვაიძის საცხოვრებელი სახლი, რომლის ცოკოლის სართული წარმოადგენს მარანს.

აჭარული სახლის სისტემაში საცხოვრებელი ნაწილი მოთავსებულია მეორე ან მესამე სართულზე;

აჭარული სახლის გეგმის კომპოზიციის ერთ-ერთ დამახასიათებელ ტიპიურ ელემენტს წარმოადგენს გრძელი დერეფანი, რომელსაც აქ „იაზლოღს“ ეძახიან; „იაზლოღი“ მოთავსებულია გეგმის კომპოზიციის სიმეტრიის ღერძზე, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ სიმეტრიულადაა განლაგებული ზემოხსენებული სათავსოები.

სიტყვა „იაზლოღი“ არაბულ-თურქულ ტრანსკრიფციითაა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში შემოსული და ნიშნავს „შუა დერეფანს“.

აღსანიშნავია, რომ „შუადერეფნიანი“ საცხოვრებელი სახლები უძველეს დროიდან გავრცელებულია კოლხეთის ტერიტორიაზე და წარმოადგენს კოლხური საცხოვრებელი ოდა-სახლის გეგმის კომპოზიციის კანონზომიერი განვითარების ერთ-ერთ ეტაპს.[1]

გეგმის კომპოზიციას საფუძვლად უდევს ხალხური მოდულური სისტემა, რომელიც სიმეტრიულობით ხასიათდება.

აჭარული სახლის გეგმის კომპოზიციის მოდულური სისტემა დაკავშირებულია ხის, როგორც სამშენებლო ერთეულის სტანდარტულ განზომილებასთან, აგრეთვე მის სამშენებლო თვისებებთან და დამუშავების ტექნიკის უძველეს ხერხებთან.

თავანის სართული საცხოვრებელი სახლის ქანობიანი სახურავის ქვეშ არსებულ შიგა სივრცეს ეწოდება, თავანის სივრცე აჭარული სახლის სისტემაში გამოყენებულია სამეურნეო დანიშნულებისათვის, რაც იმაში მდგომარეობს, რომ აქ საზამთრო ბეღელი ან სასიმინდეა შიგ შედგმული.

თავანის სართულში, სადაც ბეღელია შედგმული, ასასვლელი მოწყობილია ტიპიური „შუადერეფნიდან“. ასვლა წარმოებს ჩვეულებრივი კიბის ან კიდევ „პწკალას“ საშუალებით („პწკალა“ იტალიურ-თურქული ტრანსკრიფციის სიტყვაა, რომელიც ნიშნავს საფეხურებ ამოჭრილ მორს)[2].

დიდ ინტერესს იწვევს აჭარული სახლის კონსტრუქციული სტრუქტურის არსი, რომელიც ასაწყობი მარტივი ელემენტებისაგანაა შედგენილი და ერთმანეთთან სარტყელებით დაკავშირებული დგარებისა და „ბოყვების“ მდგრად სისტემას წარმოადგენს.

„შუა ცეცხლის“ გარეშე წარმოუდგენელი იყო ოჯახის არსებობა. ჩვენი აზრით, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ცეცხლის დასანთებ ადგილს ყველგან „ოჯახს“ ეძახიან.

„ოჯახი“, ანუ „ონჯაყ“, აგრეთვე არაბულ-თურქული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს კერას, მაგრამ აჭარაში ბუხარსაც „ოჯახს“ უწოდებენ. ოჯახს უწოდებენ აგრეთვე ცეცხლგამძლე ქვისაგან გამოთლილ ორიგინალურ გადასატან ღუმელსაც.

კონსტრუქციული სტრუქტურის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს საცხოვრებელ სართულებში ბუხრის („ოჯახის“) მოწყობის ტრადიცია,[3] რაც მდგომარეობს იმაში, რომ უმარტივესი კონსტრუქციის საშუალებით ბუხრის მთელი სიმძიმე დაყრდნობილია ერთ ხის ბოძზე, ე. წ. „დირეგზე“, რომლის სიმაღლე მიწის დონიდან საცხოვრებელი სართულის იატაკამდე აღწევს; იგი თავისი აგებულებითა და დანიშნულებით ქართული სახლის დარბაზულ სისტემაში

---

[1] დაწვრილებით იხ. ი. ადამია, ხალხური ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ნიმუში მდ. ყვირილის ზემოდინების ხეობაში. „ძეგლის მეგობარი“ № 12 თბილისი, 1967 წ.

[2] სამეგრელოში მას „ტკვაჯას“ ეძახიან, რომელიც ორი სიტყვისაგანაა ნაწარმოები: „ტკვა“ — საფეხური და „ჯა“ — ხე (საფეხურებიანი ხე).

[3] საინტერესოა ვიცოდეთ, რომ სახლში იმდენი კერაა („შუაცეცხლი“), ან ბუხარი („ოჯახი“), რამდენი განაყოფი ოჯახიც ცხოვრობს ერთ სახლში — ორი, სამი, ოთხი და ზოგჯერ მეტიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფ. სარფი. ლაზური ტიპის საცხოვრებელი სახლი
(ს. თანდილავას სახლის ფასადი, გეგმა და ტიპიური ბუხარი)




სოფ. სარფი. ლაზური ტიპის საცხოვრებელი სახლი
(ი. მემეშიშის სახლის ფასადი, გეგმები და ჭრილი)




სოფ. აჭყვისთავი. მ. კომახიძის ოდური ტიპის საცხოვრებელი სახლი




აჭარა. სოფ. დიდაჭარა. ა. დემეტრაძის სახლის ჭერის სამკაულები

არსებულ, ე. წ. „დედაბოძს“ მოგვაგონებს, რომელსაც ეყრდნობა „ოჯახის“ მთელი ტვირთი.

კონსტრუქციული სტრუქტურისა და ხუროთმოძღვრული სტრუქტურის ფორმის ურთიერთისადმი დაქვემდებარება, ტექნიკური აზრისა და ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ჩანაფიქრის ფუნქციური დაკავშირება შენობას ანიჭებს დინამიურობას, რომლის მკვეთრი სილუეტები ჰარმონიულად შეხამებულია მთის პეიზაჟთან და აძლიერებს კოლორიტულ ხუროთმოძღვრულ შთაბეჭდილებას.

დასასრულ, ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ აჭარული სახლის იდენტური ტიპების არსებობა გურიისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე. მათი შედარება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ისინი ნამდვილად ერთი და იმავე ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობისა და ტრადიციის მქონე ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილ ქართულ საცხოვრებელთა ტიპებს წარმოადგენენ.

ლ ა ზ უ რ ი  ტ ი პ ი ს  ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი  ს ა ხ ლ ე ბ ი. საცხოვრებელ სახლებს, რომლებშიაც უცხოვრიათ და ამჟამადაც ცხოვრობენ უძველესი ქართველური ტომის წარმომადგენლები, ლაზები, პირობით ვუწოდებთ „ლაზური ტიპის“ სახლებს.

ქართული საცხოვრებელი სახლის ეს ტიპი გავრცელებულია აჭარის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიის სოფლებში — I საცხოვრებელ ზონაში და ნაწილობრივ III საცხოვრებელ ზონაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლაზური ტიპის საცხოვრებელი სახლები არსად არ იძებნება I საცხოვრებელ ზონის ტერიტორიაზე, მაშინ, როცა აჭარული ტიპის საცხოვრებელი სახლები თითქმის სამივე ზონაში გვხვდება.

ლაზები თავიანთ საცხოვრებელ სახლებს „ოხოის“ ეძახიან; „ოხოი“, ანუ „ოხორი“ საცხოვრებელ სახლს ნიშნავს ლაზურად; მისი ადრინდელი მნიშვნელობით იგი ოჯახის აღმნიშვნელ სიტყვად არის ცნობილი.

ლაზური სახლის გეგმის კომპოზიცია, მსგავსად აჭარული სახლისა, სწორკუთხედს წარმოადგენს, ან კიდევ კვადრატს უახლოვდება; ხშირად იგი ორ სართულად არის აგებული და რთულ რელიეფშია ჩამჯდარი.

„ოხორის“ („ოხოი“) ქვედა სართული გამოყენებულია სამეურნეო დანიშნულებისათვის, როგორიცაა.: მარანი, ხილის საშრობი, ბოსელი და სხვ.; მეორე სართული წარმოადგენს საცხოვრებელს, რომელშიაც მთავარი ადგილი უკავია „საოჯახო“ (საჯალაბო) დარბაზს. იგი ყველაზე ვრცელია, მისი ფართი 28—30 კვ. მ. აღწევს. „საოჯახო“ დარბაზს ყველგან თიხის იატაკი აქვს და ერთ მხარეზე შუაცეცხლი (კერა) ან დიდი ტიპიური ბუხარია („ოჯახი“) გამართული.

თუ „საოჯახო“ დარბაზში ორი კერაა მოწყობილი, ეს იმას ნიშნავს, რომ „ოხორი“ შედგება ორი ოჯახისაგან და ა. შ. „საოჯახო“ დარბაზს არა აქვს ჭერი, ამიტომ კერის თავზე პირდაპირ სახურავზე დატოვებულია „საფუტე“ ხვრელი, ანუ „სარკუმე“[1].

„საოჯახო“ დარბაზში შესასვლელი მოწყობილია ღია აივნიდან ან კიდევ ზოგიერთ სახლებში — „შუა დერეფნიდან“, რომელსაც აქ ნახევარ დერეფანს ეძახიან.

---

[1] ტერმინი „საფუტე“ წარმოშობილია სიტყვა — ფუტიდან. საბას განმარტებით, ფუტი არის მწვანე კვამლი, ასევეა „სარკუმეც“ — რკუმა-კუმა (ლაზურ-მეგრული) ნიშნავს კვამლს; „სარკუმედან“ უნდა იყოს აგრეთვე წარმოშობილი „სარკმელიც.“

როგორც ჩანს გეგმებიდან, ლაზური ტიპის საცხოვრებელი სახლი შედგება ხუთი-ექვსი და მეტი განყოფილებისაგან; ცნობილია, რომ მრავალგანყოფილებიანი საცხოვრებელი სახლის გეგმის განვითარებას აქვს ორი სტადია — სწორხაზობრივი და ცენტრალური.

სწორხაზობრივად განვითარებული გეგმარება ევოლუციის პირველად სტადიას მიეკუთვნება, რომელიც წარმოშობს გეგმის კომპოზიციის წაგრძელებულ ფორმას (იხ. „გრძელი სახლის“ განვითარების ეტაპები)[1], ხოლო ლაზური საცხოვრებელი სახლის გეგმის კომპოზიცია ცენტრალური გეგმარების უძველეს ნიმუშს წარმოადგენს. ამ კომპოზიციაში მთავარი ადგილი „საოჯახო“ ღარბაზს უკავია, რომლის გარშემო ოთახები ცენტრალურად არის განლაგებული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლაზური სახლის გეგმის კომპოზიციის ცენტრალური გეგმარების სქემა ტიპიური კოლხური საცხოვრებელი ოდა-სახლის გეგმის კომპოზიციის სტრუქტურას მოგვაგონებს.

გამოკვლევამ დაგვანახა, რომ II საცხოვრებელი ზონა, I საცხოვრებელ ზონასთან შედარებით, მოკლებულია ხის მასალის სიუხვეს, რომლის დეფიციტურობა აშკარად შეიმჩნევა, ამიტომ აქ გავრცელებული სახლების თხელკედლიან კონსტრუქციებში საკედლე მასალად გამოყენებულია გაბრტყელებული რიყის ქვის ფერადი ჯიშები, რომლითაც მდიდარია აჭარისწყლის, ჭოროხისა და ზღვის სანაპიროები. დიდ ინტერესს იწვევს ზემოთ აღნიშნული რიყის ქვისაგან აგებული კედლების კონსტრუქციული სტრუქტურა. ოთხკუთხოვანი კვეთის მქონე ხის ღარტყები ერთმანეთში ჭდობითაა ჩამჯდარი, რომლის მეშვეობით მიღებულია კვადრატული ხვრელებისაგან შედგენილი ე. წ. ბადე.

ხვრელთა ზომები რიყის ქვის ზომების მიხედვითაა შერჩეული (18×18 სმ., 20×20 სმ. 25×25 სმ.); აღნიშნულ ხვრელებში ჩასმულია სხვადასხვა ფერის რიყის ქვები.

ამრიგად, სხვადასხვა ფერის რიყის ქვებისაგან მიღებულია კედლის სიბრტყის მხატვრული დამუშავების მოზაიკური სახის უნიკალური ნიმუშები, რომლებიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე.

ლაზური ტიპის საცხოვრებელი სახლის ფასადი მარტივი კომპოზიციით ხასიათდება, რომლის ელემენტები ძალზე ენათესავება აჭარული ტიპის საცხოვრებელი სახლის მკვეთრი პროფილის მქონე ელემენტებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აჭარული სახლის სილუეტი შედარებით დინამიურია. ამავე დროს აჭარული სახლის ექსტერიერი აღარ არის ტრადიციული ხუროთმოძღვრული სამკაულებით მორთული, მაშინ, როცა ლაზური სახლების ფასადებზე, ჩუქურთმების მრავალფეროვანი არშიების მოტივები და ცალკეული ნიმუშები, რაც დღემდე კანტი-კუნტად შემორჩენილია ფრაგმენტების სახით, ამჟღავნებენ ხუროთმოძღვრულ-მხატვრული სამკაულებით ფასადის მორთვის ტრადიციას, რითაც აღნიშნული კომპოზიციები თავიანთი სიუჟეტითა და ხუროთმოძღვრული დამუშავების ტექნიკით ენათესავება კოლხური საცხოვრებელი ოდა-სახლის სივრცობრივ კომპოზიციებს.

---

[1] ი. ადამია, ხალხური ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ნიმუში მდ. ყვირილის ზემოდინების ხეობაში. „ძეგლის მეგობარი“: № 12. თბილისი, 1967.




აჭარა. აჭყვისთავი. მოჩუქურთმებული კარები




აჭარა. ასკრეფი ანუ ჩასაყენებელი ჩუქურთმის ელემენტები

**ოდა სახლის ტიპის საცხოვრებელი სახლები.** ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ III საცხოვრებელ ზონაში გავრცელებული სახლების ძველი ტიპები ჩამოყალიბებულია ლაზური სახლის გარდაქმნის (გადაკეთების) ნიადაგზე და კოლხური ოდა-სახლის გეგმის კომპოზიციას იმეორებენ. აქაური ოდა-სახლი ორსართულიანია — პირველი სართულის (პალატის) კედლები უპირატესად თლილი ქვისაგანაა უხსნაროდ (მშრალი წყობით) აგებული. ქვის კედლების მშრალი წყობით აგების ანალოგიური ნიმუშები გავრცელებულია აგრეთვე ლაზური და აჭარული ტიპის საცხოვრებელ სახლებში.

ლაზური და აჭარული ტიპის სახლებს აქ „ძველ პლანზე“ აგებულ სახლებს ეძახიან. აღსანიშნავია, რომ „ძველ პლანზე“ აგებული სახლების უმრავლესობა გადაკეთებულია და ყველგან მიღებულია ოდა-სახლის იდენტური ტიპის საცხოვრებელი სახლები.

პირველი სართული თითქმის გადაუკეთებლად არის ყველგან მოღწეული, ხოლო ზედა სართული ხისაგანაა აგებული და მისი გეგმა რეკონსტრუქციის მედეგად კოლხური ოდა-სახლის გეგმის კომპოზიციას უახლოვდება.

აჭარის ტერიტორიაზე ზემოთ განხილული საცხოვრებელი სახლების ძველი ტიპების განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამ საცხოვრებელთა ინტერიერისა და ექსტერიერის ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ დამუშავების უძველეს ხერხებს, რომლებიც შენობათა ნაწილების ორნამენტებით შემკობაში მდგომარეობს“... ორნამენტებს ხეზე საცხოვრებელი ნაგებობის კონსტრუქციებში საპატიო ადგილი ჰქონია განკუთვნილი და გარკვეული ფუნქცია უტარებია“ [1]

ლაზი ხელოსნების მიერ დიდი ოსტატობითა და მხატვრული გემოვნებით ჩუქურთმების ხეზე ამოკვეთის საქმემ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია; მათ მიერ შესრულებული სინატიფით განთქმული მრავალფეროვანი ორნამენტები, როგორც ხუროთმოძღვრული სამკაული, გამოყენებულია საცხოვრებელი და საკულტო ხალხური შენობების ექსტერიერისა და ინტერიერის გასამშვენებლად. მათმა ნახელავმა სახელი მოიხვეჭა არა მარტო საქართველოს ამ კუთხეში, არამედ მთელ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთაც.

ამრიგად, ქართველური ტომის — ლაზების ნიჭი და თვითმყოფადი კულტურული შინაგანი ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ უცხო მოწინავე ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის პროცესში შემოქმედებითად გამოიყენეს მათ კულტურული მიღწევები, განსაკუთრებით ხელოვნების სფეროში; აითვისეს და გადაამუშავეს ისინი საკუთარი ტრადიციების საფუძველზე, მისცეს მათ მსოფლიო მნიშვნელობის დიდი შინაარსიანი ქართული კულტურის დამოუკიდებელი ერთვნული სახე.

აჭარის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ორნამენტების მთელი სიურულით განხილვა, ცხადია, ცალკე კვლევის საგანს შეადგენს. ამიტომ ჩვენ აქ ვიძლევით ხალხური ორნამენტული დეკორის მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს.

ორნამენტი ინტერიერში გამოყენებულია უმთავრესად ჭერის მოსართავად, რომელიც სხვადასხვა წესით დამუშავებული მრავალფეროვანი არშიებისა და ვარდულების (როზეტების) სახითაა გავრცელებული ან კიდევ ჭერში მოწყო-

[1] გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 303.

ზილი გვირგვინისებური „ყუბეების“ (ხონჩების) საფეხურებიანი ზედაპირება მხატვრულად დამუშავებული.

ორნამენტები გამოყენებულია აგრეთვე კედლებში მოწყობილი კარადებისა და თახჩების სიბრტყის ნაწილების დასამშვენებლად, კარ-ფანჯრებისა და მათი საპირეების შესამკობლად და სხვ.

რადგანაც ჩვენ აქ არ ვიძლევით საქართველოს ამ კუთხეში გავრცელებული მრავალფეროვანი ორნამენტების კლასიფიკაციას, არც მათი კომპოზიციის, სიუჟეტის თემატიკისა და მათი ხეზე და ქვაზე დამუშავების ტექნიკის საკითხების განხილვას, ამიტომ ჯერჯერობით ზემოთ მოტანილი ილუსტრაციებითა და მოკლე ცნობებით დავკმაყოფილდებით.



„მთა“ — გოდერძის უღელტეხილი.
სეზონური ტიპიური დასახლების საერთო ხედი



ბედენის აკლდამა წაქცეული კედლების მოხსნის შემდეგ

ფოტო ი. ნისკოროდიევისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



„გადაჭრილი გორა" გათხრამდე

გერმანე გოგეჯიშვილი
თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი

## ბედენის აკლდამა

ბედენი ანუ, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ბენდერი — ხრამ-ალგეთის წყალგამყოფი ზეგანია თეთრიწყაროს რაიონში. მისი კალთები ხშირტყიანი, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებული ვრცელი თხემი კი მშვენიერი ალპური სათიბი და საბალახოა. სწორედ ამ თხემზე გადის გზა, რომლითაც გაზაფხულზე თრიალეთ-ჯავახეთის საძოვრებისაკენ ერეკებიან და შემოდგომით უკან აბრუნებენ ქართლ-კახეთის ცხვრის ფარებს. ბედენზე აქვს სათავე მდინარე ალგეთს და ხრამის არა ერთ სხვა მარცხენა შენაკადს, რომლებიც რწყავს და აცოცხლებს ქვემო ქართლის ველ-მინდვრებს. დიდ ეკონომიურ მნიშვნელობასთან ერთად , ბედენს არც სილამაზე აკლია: თვალწარმტაცია ვიწრო, მეტწილად მშრალი ხევებით მერიდიანულად დასერილი, მწვანით მოსილი და თითქოს გვირა-მარგალიტებით შემკული ველი; აქედანვე იშლება დიდებული პანორამა მცირე კავკასიონის, ქვემო-ქართლის დაბლობისა და მანგლისის მხარისაკენ.

მიუხედავად ამ სიკეთისა, ბედენს ბინადარი მოსახლეობა თითქმის არა ჰყავს და, როგორცა ჩანს, ბევრი არც ძველად ჰყოლია. ამის მიზეზი ისაა, რომ დიდი მასშტაბის მიწადმოქმედებისათვის იგი არ ვარგა: მეტად ხშირია ბაზალტური ქანების ზედაპირული გამოსავლები და გარდა ამისა, მაღალ ზეგანზე (ზღვის დონიდან 1700—1950 მ.) ზამთარში ულმობელი ქარბუქი იცის.

ბედენზე პირველად 1956 წ. შედგა ფეხი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის[1] ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კულტურის უძველესი ძეგლების მოსახილველად. რადგან აქაურ უამრავ ბორცვებს შორის თორმეტიოდე ხელოვნური გორაც დამოწმდა, ეჭვი აღიძრა, რომ მომავალ გათხრას აქ შეეძლო გამოეჩინა თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის უკვე ცნობილ კულტურასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ძეგლები. ამ ვარაუდის დადასტურება, ან უარყოფა, სამწუხაროდ, მაშინ ვერ მოხერხდა, რადგან ექსპედიცია ბედენს დაბლა ნადარბაზევის მიდამოებში უკვე იკვლევდა ენეოლითის დროის ნასოფლარს და, ამას გარდა, ამზადებდა ბრინჯაოს ხანის რამდენიმე დიდი გორასამარხის გათხრას.

მხოლოდ 10 წლის შემდეგ შევუდექით ბედენის გათხრას[2]. გამოსაკვლევად ამოვირჩიეთ ერთმანეთთან ახლო მდებარე ორი, ერთი დიდი და ერთი პატარა, გორასამარხი, როგორც ყველა იქაურ ხელოვნურ ბორცვს, ორივე მათგანს ემჩნეოდა ზედაპირზე კრატერისებრი ჩავარდნილობა, რომელიც ზოგჯერ ყრილქვეშ მდებარე სამარხის სახურავის ჩაწოლისას, ზოგჯერაც ასეთ სამარხში მძარცველების ჩასვლის შედეგად ჩნდება ხოლმე. რამდენიმე დღეში გამოჩნდა პატარა გორის ორმო-სამარე, რომელშიაც არც ადამიანის ჩონჩხის და არც რაიმე ხელოვნური საგნის ნაშთი არ დაგვხვედრია. ჩვენ დავასკვენით, რომ სამარე გაძარცულია, მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით აღნიშნული ორმო მხოლოდ დროებითი საცავი იყო ცოტა ხნის შემდეგ დიდ გორაში გადასვენებული მიცვალებულის გვამისათვის.

ფრიად დიდი მეცნიერული შედეგი მოჰყვა გამოკვლევას პირველი ძეგლისა, რომელსაც „გ ა დ ა ჭ რ ი ლ გ ო რ ა ს" უწოდებენ. ზომითაც, აღნაგობითაც და ადგილმდებარეობითაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ის დანარჩენი 11 „თანამოძმისაგან". შედარებით უფრო დაბლა, ნაკლებ გამოსაჩენ ადგილებში გაფანტული სხვა გორასამარხები დაზვინულია ქვისა და მიწის ნარევით, და მათი სიმაღლე იშვიათად ჭარბობს 1—1,5 მ., დიამეტრი კი — 20—30 მ. რაც შეეხება ექვსზე მეტი მეტრი სიმაღლისა და 80-ოდე მეტრი დიამეტრის „გადაჭრილ გორას", ის არის სუფთა მიწის მრგვალი ბორცვი ველის ჩრდილო ნაპირზე გამავალ სერზე, რომელიც ერთნაირად ბატონობს სათიბ-საძოვრებზედაც და მანგლისის სამიწათმოქმედო მხარეზედაც. უკვე ეს ნიშნები გვიკარნახებდა, რომ „გადაჭრილი გორის" ქვეშ დაკრძალული იქნებოდა თავისი დროის რომელიღაც წარჩინებული, შესაძლოა, ტომის ბელადი; უნდა გვეფიქრნა, რომ სამოსახლოებიდანაც და სათიბ-საძოვრებიდანაც ასე გამოსაჩენ ადგილზე აღმართული გორა ტომის წევრებს მოაგონებდა მეთაურის ღვაწლს და შთააგონებდა დიად საქმეებს.

გათხრის შემდეგ გამოირკვა, რომ მანგლის-ბედენის სამიწათმოქმედო-სამეჯოგეო მხარის მფლობელი ტომი, რომლის ბელადად „გადაჭრილი გორის"

---

[1] ამ დაწესებულებას ახლა ჰქვია ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

[2] გათხრაში ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ მეცნიერებათა კანდიდატები ნ. ლომოური, კ. მელითაური, (არქიტექტორი), ო. ღამბაშიძე, გ. ფხაკაძე, ლ. სახაროვა, მ. ბარამიძე, უმც. მეცნ. თან. ნ. თუშიშვილი (ექსპ. ხელ-ლის მოადგილე), ზ. შატბერაშვილი, ლ. წითლანაძე, შ. ჩართოლანი, კ. კვესი (მხატვარი), ლ. სკლიფასოვსკი, თ. ნისკოროდევი (ფოტოგრაფები), ასპირანტი გ. მირცხულავა და რესტავრატორი ო. ბედუკაძე.

ქვეშ დაკრძალული შევიცანით, ძლიერი და თავისი დროისათვის მაღალკულტუროსანიც ყოფილა. როცა ტომის სიძლავრეზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვეყრდნობით, პირველ რიგში, თვითონ გორის შესაქმნელად საჭირო მიწის სამუშაოს მოცულობას. რკინის ბარ-წერაქვის არარსებობის პერიოდში ასეთი გორის დამზადებისათვის აუცილებელი იქნებოდა მრავალი ასეული მუშახელის ხანგრძლივი და დიდი შრომა. ამას გარდა, გორის ქვეშ ამოთხრილია ვეებერთელა ორმო, რომლის სიღრმე 4,5 მეტრს აღწევს, ხოლო პირისა და ძირის ფართი შესაბამისად უტოლდება 120 და თითქმის 40 კვადრატულ მეტრს. დახრილ კედლებიან ამ ორმოში ჩვენ ვნახეთ მუხის მრგვალი მორებისაგან გამართული იშვიათი ნაგებობა, ვანკუთვნილი ზემოხსენებული მეთაურის გვამისათვის. ეს არის, რამდენადაც ვიცით, აკლდამა მთელს ამიერკავკასიაში დღემდე უცნობი ტიპისა, რომლის კედლებს, ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, შეადგენს ერთმანეთთან მიჯრით მიდგმული სვეტები, რომლებსაც შვეულ მდგომარეობაში დიდ ხანს აჩერებდა მარწუხებივით შემოკრული ხის სარტყლები.

მუხის ნაგებობის შიდა სიგრძე, სიგანე და სიმაღლე შესაბამისად უდრის 6,5; 4,5 და 4 მ. როგორც ვხედავთ, აკლდამა ვერ ავსებს ორმოს, რომელშიაც ისაა ჩადგმული. ამიტომ ორმოსა და აკლდამის კედლებს შორის დარჩენილი სივრცე შეუვსიათ ხის მორებით, ქვებითა და პლასტიკური თიხით. ამ შევსებას უნდა გაეძნელებინა ნიადაგქვეშა წყლის შეჟონვა აკლდამაში. ნაგებობის იატაკიც და სახურავიც მუხისაა. სახურავის და შემდეგ ზედდადგმული მთელი გორის შეკავება


ოქროს ქინძისთავი. ნატურალური ზომა


ოქროს ქინძისთავი. ნატურალური ზომა.

ძირითადად დაკისრებული ჰქონდა ორ დედაბოძს, რომლებიც აღმართულია აკლდამის გრძივ ღერძზე, ერთმანეთისაგან 4,5 მ. მანძილზე. პირველი დედაბოძი უშუალოდ აუყვება აკლდამის დასავლეთ განივ კედელს, მეორე კი დაშორებულია აღმოსავლეთი კედლის დასავლეთით 2 მ. მოშორებით. ამით გამოყენებულია გამძლეობის უნარი თავშექცევით დაწყობილი კეხის წყვილი ხისა, რომლებიც გაჰყვებოდა ორმოს თავის შუა ხაზს დასავლეთიდან აღმოსავლეთ ნაპირამდე. დედაბოძები უშუალოდ არ ეხება კეხის ხეებს: დასავლეთი დედაბოძის მერცხ-



აკლდამაში აღმოჩენილი მსახურთა ჩონჩხები, ხის ჰურჰელი და ურმის თვალი

ლისზოლოსავით ამოკვეთილ თავში ზის აკლდამის დასავლეთი სვეტნარი კედე-ლის დამჭერი სართულის შიდა მორი. აღმოსავლეთი დედაბოძის ასეთნაირსავე თავზე კი გადადის (ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ) გარდიგარდმო კოჭი. კე-ხის ხეები სწორედ ამ სართულს და კოჭს ეყრდნობოდა, მათი მეშვეობით ცხადია, — დედაბოძებს, რომლებიც ორმოს ძირიდან ამოდის. კეხის ხეებზე ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან თავგადადებული იყო მოკლე კოჭები, რომელ-თა სიგრძე ცოტათი ჭარბობს ორმოს თავის სიფართის ნახევარს. კოჭებს შორის დარჩენილი მცირე ხვრელები შევსებული იყო ხის წვრილი ტოტებით. ესეც არ უკმარებიათ და, აკლდამაში მიწის ჩაცვენის შესაძლებლობის მოსასპობად, კე-ხის მიმართულებით ოდნავ შემაღლებულ, თითქმის ბანურ სახურავზე დაუფე-ნიათ რომელიღაც ხის (ალბად თელის ან ცაცხვის) მერქნისაგან დიდი ოსტატო-ბით დაწნული ჭილობი. ასეთივე საფარი გაუმეტებიათ იატაკისთვისაც.

ბედენის აკლდამის ზემორე აღწერილობა ამ ძეგლს წარმოგვიდგენს პირ-ველყოფილ მდგომარეობაში, ე. ი. ისე როგორც იგი დამარხეს ვეებერთელა ყო-რა მიწით. მისი გათხრის დროისათვის ის მნიშვნელოვნად შეცვლილა: სართულის მორების ჩამოცვენის გამო სვეტნარი გრძივი კედლები შიგნით გადაქცეულა, კე-ხის ხეების დამტვრევის შემდეგ სახურავი ჩაწოლილა და აკლდამა მიწით და სამ-შენებლო მასალებით ავსებულა. მიუხედავად ამისა, მან ჩვენს დრომდე მოაღწია ისე კარგ მდგომარეობაში, რომ ახლანდელ დაკვირვებულ ხუროთმოძღვარს შე-უძლია ზედმიწევნითი სიზუსტით აღადგინოს მისი პირვანდელი სახე.

რადგან სამშენებლო მასალად ნახმარი მორების სიმსხო ხშირად 30 სმ-მდე აღწევდა, ადვილი წარმოსადგენია რას გამოიწვევდა სახურავის ჩანგრევა თვით აკლდამაში. მართლაც, დალეწილა და მიმოფანტულა თითქმის ყველაფერი, რაც ამ ნაგებობაში მანამდე იყო. მხოლოდ ზოგი რამ დაუმალავს და დაუცავს სახურავის ჩაწოლამდე წაქცეულ ზოგიერთ სვეტნარ კედელს, რომელ-თა ძირები იატაკზე დავარდნილ სართულის ხეებზე შეჩერებულა. ამ „ზოგი რა-მიდან“ ცოტა რამემ მოაღწია ჩვენს დრომდე, ბევრი რამ კი, ალბათ ჯერ კიდევ 700—800 წლის წინ იქცა განძის მაძიებლების ნადავლად. მათი კვალი გათხრის პირველსავე დღეებში შეინიშნა და ბოლომდე არ დაკარგულა. მძარცველებმა, ალბათ, წაიღეს ისეთი ფასეულობა, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო ოქრო-ვერცხლის ჭურჭლეული, საჭურველი და სამკაული; ძარცვის დროს სიჩქარეში დააზიანეს და მიმოფანტეს, მაგრამ იქვე დასტოვეს, მათთვის უქმი, მეცნიერები-სათვის კი უძვირფასესი ხის, თიხის, სპილენძისა და სხვა მასალები.

დიდ ადგილს წაგვართმევდა ამ წერილში აკლდამაში აღმოჩენილი ყველა არქეოლოგიური საგნის ჩამოთვლა; ამიტომ დავკმაყოფილდებით მათი მთავარი ჯგუ-ფების დასახელებას და მნიშვნელობის შესაძლებლად მოკლე განსაზღვრას.

პირველად უნდა ითქვას თვით იმ პირის ნაშთებზე, რომლისთვისაც აუგიათ ზემოაღნიშნული აკლდამა. მისი ჩონჩხიდან მხოლოდ რამდენიმე ძვალი ვიპოვ-ნეთ. ზოგი მათგანი უწესრიგოდ ეყარა თვით აკლდამაში, ზოგიც, ალბათ მძარც-ველთაგან ამოსროლილი, ვნახეთ გაცილებით უფრო მაღალ დონეზე. აკლდამაში აღმოჩნდა ფაქიზად გამოყვანილი გეომეტრიული სახეებით შემკობილი ხის საკა-ცის, სარეცლისა და აგრეთვე ორღერძიანი დიდი საზიდრის (ურმის) ნაშთები. ეს საფუძველს იძლევა ვამტკიცოთ, რომ დაბალნაპირებიან სარეცელზე დასვენე-ბული ბელადის გვამი საკაცით მდგარა საზიდარზე. ამ უკანასკნელის ბორბლე-



აკლდამის იატაკზე გაწმენდილი საგნების ერთი ჯგუფი.
(ობსიდიანის ისრის წვერები, თიხის ჭურჭლეულის ნატეხები, ხის საკაცე და არნადი)

ზის სიმაღლე 1,5 მეტრზე მეტია. თითეული შედგენილია მალული სოგმანებით და სამსჭვლებით ერთმანეთთან დაკავშირებული ხის სამი სქელი ფიცრისაგან, რომელთაგან შუათანას აქვს აქეთ-იქეთ თავ-ბოლო გაშვერილი დიდი მორგვი. დაკვირვება მოწმობს, რომ აკლდამაში ჩაშვებამდე თვლებს დიდხანს უტრიალნიათ ღერძზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საზიდარს ადრე სატრანსპორტო სამეურნეო დანიშნულება ჰქონია. თვლების რიცხვითა და აღნაგობით ის ძალიან ჰგავს უფრო უწინ თრიალეთში აღმოჩენილ ორ სხვა, ოდნავ უფრო მომცრო საზიდარს, სამივე ერთად კი — ძველ წ. ა. III ათასეულის ქვემო მესოპოტამიის (ურის) საზიდრებს. კავკასიის ქედის ჩრდილოეთითაც, შედარებით უფრო ახალგაზრდა ძეგლებს შორის, ცნობილი არის მათი ახლობელი ორეულები. სამწუხაროდ, კიდევ არა გვაქვს გამოკვლეული თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბედენური საზინდრის უზე, ან უძრავი იყო, თუ მოძრაობდა წინა ღერძი. ჯერჯერობით მხოლოდ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცით, რომ წყვილ თათიანი ხელნის ნაცვლად საზინდარს ჰქონდა 3 მეტრზე ცოტა მეტი სიგრძის ცალფა რვილი, ნიჩბისებური ძირითა და გახვრეტილი თავით, რომელიც დამაგრებული უნდა ყოფილიყო უღლის შუაში.

ხის ნაწარმს შორის ბევრი ნივთის დანიშნულება ჯერ კიდევ განსაზღვრული არაა და საგანგებო კვლევას მოითხოვს. ასეთებია, მაგალითად ხერხისებრ დაკბილული ფიცრის 2 ნატეხი, რომლებიც, შესაძლოა, ურმის უბის რომელიმე ნაწილის იყოს, მაგრამ უფრო ბზის და ხვავის სახვეტ არნადს გვაგონებს. მისი არსებობა მოწინავე მიწადმოქმედ-მესაქონლე ტომის უფროსის აკლდამაში მოულოდნელი არაა მით უფრო, რომ იქვე აღმოჩნდა პურეული კულტურების — ხორბლისა და ფეტვის (ან ღომის) — ნაშთები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამასთან ერთად შემონახულა წაბლი, თხილი და ზოგიერთ კურკოვანთა ბევრი ნაშთი, რომლებიც ერთი შეხედვით, შემგროვებლობის გარკვეულ როლს მიუთითებს; მაგრამ მაღალი ზონის საქართველოს მოსახლეობის ახლო წარსულის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტყის ხილის შეგროვება არ შეიძლება გამორიცხავდეს ინტენსიურ მეურნეობას: ასეთი ხილით ხშირად მხოლოდ თავს იქცევდნენ საზოგადო საქმის გასაბჭობად შეკრებილი სოფლისა თუ გვარის უფროსები. დღევანდელ მიწინავე მებაღეობის საქართველოშიც დავიწყებული არაა გარეული ნაყოფის საზამთროდ მომარაგება.

ხის ნაკეთობათა სხვა ჯგუფში შედის ნაშთები ტალღისებური სახეებით შემკული ერთ ათეულზე მეტი ჯამის, ტაბაკისა და ხონჩისა. თითქმის ყველა მათგანი სამ დაბალ ფეხიანი ყოფილა; ზოგ მათგანს შვეულად გახვრეტილი წყვილი ყური აქვს. იქვე აღმოჩენილი, ნართისაგან შეგრეხილი მსხვილი ბაწრებით, ალბათ, სხვადასხვა სანოვაგით სავსე ჭურჭელი ჩამოკიდებული იყო აკლდამის ჭერზე ან მხოლოდ დედაბოძებზე, რომლებსაც აქვთ ჯოხის ჩასამაგრებელი ნახვრეტები.

კიდევ უფრო ბევრი ყოფილა თიხის ჭურჭელი. აკლდამაში შეგროვებული ნატეხებიდან, სულ ცოტა, უნდა აღდგეს 30—35 ჯამი, კოჭობი, ქილა, ქოთანი და ა. შ. ნატეხთაგან ცოტაოდენი მოწითალოა, თანაც მუქი ფერებით მოხატული. უდიდესი უმეტესობა შავპრიალაა. მათ შორის ბევრი შემკულია ამოჭრილი, ზედნადები ან ჩაზნექილი სახეებით, ბევრსაც არავითარი ორნამენტი არ ვააჩნია, მაგრამ მეტად მოხდენილია და მიმზიდველი. განსაკუთრებით გამოიყოფა ვერცხლისფრად ბრწყინავ ზედაპირიანი კერამიკის მოზრდილი ჯგუფი, რომლის შესადარებელი მასალები ცოტა გვეგულება კავკასიის არქეოლოგიურ მონაპოვარში.

ბედენის აკლდამაში ბლომად ყოფილა ლითონის საგნებიც. როგორც აღვნიშნეთ, ოქროსა და ვერცხლის ნაწარმის საუკეთესო ნიმუშები, ალბად, მიიტაცეს განძის მაძიებლებმა. შემთხვევით გადარჩენილა როკებიან ჯოხებზე, დიდის ოსტატობით შემოჭედილი ვერცხლის მილაკები, რომლებიც შეიძლება იყოს დასაკრძალავი დროშის ან ბალდახინის ნაწილები, აგრეთვე ლილვებიანი გარსაკრავის ნატეხები და ჭურჭლის ქუსლი. აქვე იყო ოქროს დიდი, ორ ვოლუტიანთა ტიპის ქინძისთავი, რომელსაც ამკობს უნაზესი ნაწნავის არშიით გარშემოზღუდული მეანდრი და გულფოსოიან წრეთა მწკრივები. ნაპოვნია სპილენძის სამკაულები და პირსაფარეშო საგნები—როგორიცაა, მაგ., ამოტვიფრული ბურცულებით დამშვენებული ფირფიტები და დისკოსებური ქინძისთავები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ აკლდამაში აღმოჩენილ სპილენძის ორ საოსტატო-სამეურნეო

იარაღს — პირ რკალიან სატეხსა და ე. წ. „ბრტყელ ცულს“, რომელიც, სინამდვილეში შეიძლებოდა ერთნაირად მარჯვე ყოფილიყო ხეზე მხატვრული სახეების მკვეთელისა და მეტყავის ხელში. მსგავსი ხელსაწყოები ნაპოვნია [illegible] თეთრიწყაროს რაიონის ნადარბაზევთან ჩვენი ექსპედიციის გათხრილ სხვა გორასამარხში. ამ აღმოჩენის მნიშვნელობის გასათვალისწინებლად საჭიროა გავიხსენოთ, რომ თრიალეთში სხვა მკვლევართა მიერ გათხრილ თითქმის 50 გორასამარხიდან არცერთში არ ყოფილა ლითონის არავითარი სამეურნეო იარაღი. უნდა ვიფიქროთ, რომ ნადარბაზევ-ბედენის სამარხებში დაკრძალული ბელადები თვითონ იყვნენ თვალსაჩინო ხელოსნები და, ამავე დროს ხელოსნობის მფარველები. ალბათ, ამის გამო „იმ ქვეყნადაც“ თან წაიღეს სათანადო იარაღი.

ობსიდიანის (შავნაბადა, ვულკანური მინა) რამოდენიმე ისრის წვერის ამოიწურება აკლდამაში აღმოჩენილი საომარი ან სანადირო იარაღი. კაჟისებრ მაგარი და ფიცხი მასალის ეს საგნები ნაკეთებია ისეთი ხელოვნებით, მონდომებით და გემოვნებით, რომ დღესაც საყოველთაო აღტაცებას იწვევს. ძნელია დავიჯეროთ, რომ ამ ისრისწვერთა მფლობელ შვილდოსანს მათი გატყორცნა და დაკარგვა შეძლებოდა დანანებისა და გულისტკივილის გარეშე. ბევრი არქეოლოგიური ისრისწვერია მსოფლიოში ცნობილი, მაგრამ ისე ფაქიზი ხელობისა, როგორიც ბედენში ვნახეთ, მხოლოდ ზემოხსენებულ ნადარბაზევის გორასამარხშია აღმოჩენილი. ალბად მხოლოდ უმაღლესი კლასის ოსტატი აკეთებდა ასეთ იარაღს.



აკლდამის იატაკზე გაწმენდილი საგნების ერთი ჯგუფი (ოქროს ქინძისთავი, თხილი, ხის საკაცე, თიხის ჰურპლეული, სპილენძის სატეხი და „ბრტყელი ცული“

მაგრამ ისიც არა ყველასთვის. საუკეთესო ხელობის სხვადასხვა ნივთებთან ერთად, ეს ისრისწვერებიც მიუთითებს აკლდამაში დაკრძალული მთავარი პირის მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას.

ეროვნული

„მთავარი პირის“ მეთქი-ვამბობთ იმიტომ, რომ მისი ჩონჩხის მცირე ნაშთე-ბის გარდა აკლდამაში კიდევ აღმოჩნდა თითქმის სრულიად უნაკლოდ დაცული კიდევ ორი ადამიანის ჩონჩხი. მათ ეკავათ ფრიად მოკრძალებული ადგილი აკლ-დამის თითქმის სიმბოლიურ კართან იატაკზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან ახლო, სადაც წაქცეულ კედლებს ისინი დაუცავს ჩაწოლილი სახურავის მორების-განაც და მძარცველთა ხელყოფისგანაც. ერთი ჩონჩხი ქალისა უნდა იყოს, მეო-რე — ახალგაზრდა ვაჟისა. ორივე ხელ-ფეხმოკეცით დაუკრძალავთ (პირველი მარჯვენა გვერდზე, მეორე კი მარცხენაზე) და თავით დასავლეთით მიუქცევიათ. უნდა ვიფიქროთ, რომ მათი სახით ჩვენ საქმე გვაქვს მსახურებთან, შინა მონებ-თან ან ეგებ ოჯახისა თუ გვარის რომელიღაც დაქვემდებარებულ წევრებთან. ამას მოწმობს როგორც მათთვის განკუთვნილი ადგილი აკლდამაში, ისე მათ ახლო ნაპოვნ კულტურულ ნაშთთა სიმცირე. ესენია ხის გულაზე გადაკრული ვერცხლის ფურცლის რამდენიმე წვრილი სამკაული, მოჭიქული ფაიანსის იოტები და ქეჩისა და ქსოვილების ბევრი ნაშთი. ქეჩა, ალბათ, ქვეშ ეფინათ მიცვალებულებს, და ქსოვილები შეიძლება მათივე ტანსაცმელის ნაშთები იყოს. ძლიერ პატარა ნაჭ-ლეთია შედარებით სქელი, ძალიან შავი შალისა; დიდი ნაჭერი გადარჩენილა მჭიდროდ ნაბეჭი თეთრი ტილოსაგან; კიდევ უფრო ბლომად მოაღწია ჩვენს დრომდე მუქი ზოლით დამშვენებულმა შვინდისფერი ნაზი ქსოვილის ნაშთებმა. როგორც ირკვევა, მხოლოდ მდიდრულ ტანისამოსში გამოწყობილი მსახურები შეეფერებოდნენ საუკუნო „თანამგზავრებად“ ისეთი მომძლავრებული ტომის წი-ნამძღოლს, როგორზედაც მონაპოვარი მიუთითებს. ერთ-ერთ მსახურს, ალბათ, რთვა-ქსოვის საქმის ხელმძღვანელობაც ევალებოდა, რასაც იქვე აღმოჩენილი ხის თითისტარისა და კვირისთავების ნაშთები მოწმობს. აღნიშნული მონაპოვარი და-ეხმარება სპეციალისტებს საგანგებოდ გამოიკვლიონ ქართველი ხალხის შორეუ-ლი წინაპრების საფეიქრო ხელოვნება ძვ. წ. II ათასეულის დამდეგს, რომელ დრო-საც მიეკუთვნება ბედენში ახლად მიკვლეული აკლდამა.

ეჭვი არაა, ბევრს შეგვძენს მონაპოვრის ლაბორატორიული შესწავლა. მშვე-ნივრად შემონახულ აკლდამის სამშენებლო მასალაზე დაკვირვება ახლავე მოწ-მობს , რომ იმ შორეული ხანის მელითონეებს უკეთებიათ ბრინჯაოს ისეთი ბაა-რი ცულები, რომელთა ნაკვალევს ვერ დაიწუნებს ვერც ახლო წარსულის ტყის მჭრელი. ტყიდან მორების სათრევადაც ისეთივე ჭირჭლები, ფოსოები და ამონა-ცხვირები უკეთებიათ ცულით, ან კარგად პირალესილი სატეხით, როგორც დღე-საც ხმარობს სოფლის მოსახლეობა. როცა ბოტანიკოსებს შესასწავლად გადაეცე-მათ აკლდამაში ნაპოვნი ყველა მცენარეული ნაშთი, შესაძლებლობა შეიქმნება საკმაოდ ნათლად წარმოვსახოთ ბედენის მიდამოების ოდინდელი მწვანე საფარის ხასიათი და განვსაზღვროთ ქვემო ქართლის წამყვანი სამიწადმოქმედო კულტუ-რები. ზოოლოგები გაარკვევენ ამ წერილში აღნიშნულ ცხოველთა ძვლების ნაშ-თებს. ზემოხსენებული ოთხთვლიანი მძიმე ურემი გამოდგება არა მარტო ბრინჯა-ოს ხანის ქვემო ქართლის საგზაო მშენებლობის მაღალი კულტურის წარმოსაჩე-ნად, არამედ აგრეთვე იმისათვისაც, რომ ვამტკიცოთ იმ დროს მძლავრი გამწევი პირუტყვის არსებობა. კოლხეთისა და სამგორის გათხრების შემდეგ შემუშავე-

ზულ ცოდნას უძველესი ქართული ხითხუროობის შესახებ ბედენის აკლდამამ ახალი ელემენტი შეჰმატა. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ მნიშვნელოვანი მონაცემი შევიძინეთ მოსახლეობის სოციალური ყოფის გამოსარკვევად.

მონაპოვრის ლაბორატორიული შესწავლის შემდეგ, უეჭველია, აღიძრება ბევრი ახალი დიდი საკითხი, როგორიც შეიძლება, მაგალითად, იყოს ბედენური მასალების პროტოტიპთა წარმომავლობა და კულტურული ნაკადების მიმართულება, ეთნიკური კუთვნილება და სხვა კულტურებთან ურთიერთობა. მათი გადაწყვეტა ერთი გორასამარხის მასალაზე, ცხადია, არ მოხერხდება და მოითხოვს საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაფართოებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბედენ-თრიალეთის მონაპოვართა ურთიერთობას. პირველი შთაბეჭდილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზოგიერთი მსგავსების იქით მათ შორის განსხვავებაც მოჩანს.

უკვე მოესწრო ბედენური კერამიკის ნატეხებიდან ორმოციოდე ჭურჭლის მეტ-ნაკლებად შეკოწიწება; გაირკვა ჭურჭლების ძირითადი ჯგუფების სახე. I ჯგუფსა ქმნის ბიკონუსური მოყვანილობის მკვეთრწიბოვანი სასმისები და მცირე ქოთნები, მათი ერთადერთი სამკაულია მრგვალი ფოსო ყურის პირდაპირ. II ჯგუფი ხასიათდება ცილინდრისებრი ყელით და მრგვალი ტანით; ზოგ მათგანს ამკობს მრგვალი ღარები და კოპთა მწკრივები, „მარგალიტის ორნამენტსაც“ რომ ეძახიან. III ჯგუფში მოთავსდება ცილინდრულ ტანიანი სასმისები, რომელთაგან ერთს აქვს ჭრილი და ჩაზნექილ-ამოზნექილი ორნამენტები. IV ჯგუფში ვაერთიანებთ სფერულტანიან ორიოდე ჯამს. ოთხივე ჯგუფის ყველა ჭურჭელს აქვს მხოლოდ და მხოლოდ თითო ყური, „ენეოლითური“ ტრადიციების მატარებელი. მცირე ფორმებში აგრეთვე უნდა დავასახელოთ მილიანი „ჩაიდანი“, სამფეხა თეფში და ორი ჭურჭლისგან შედგენილი კოხტა „მარანი“, გარდა ამისა, არის სამი დიდი ღერგი, ზედდებული, ან ჩაზნექილი სახეებით შემკული.

როცა დასახელებული კერამიკის ორეულების ძებნას ვიწყებდით, ყურადღება მიიპყრო პროფ. ო. ჯაფარიძის 1966 წ. მონაპოვარმა შულავერის გორასამარხებში; თუმცა იგივეობა არაა, მაგრამ ნათესაობა ამ მასალებში შესამჩნევია. ძალიან ახლო შესატყვისები მიგვითითა დოც. ე. გრიგოლიამ მის მიერ გამოკვლეულ ხოცლეს გორასამარხის ინვენტარში. ე. გოგოძემ გადმოგვცა თრიალეთის გორასამარხთა ინვენტარის კომპლექსების ფოტოპირები, რომლის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ თრიალეთის ცნობილი კულტურა ბედენის მომდევნო დროისაა. ჩრდილო კავკასიაში ბედენის თანამედროვეა მაიკოპის კულტურა და მისი განშტოებანი. ბედენის მონაპოვარმა აჩვენა „მტკვარ-არაქსის კულტურის“ ტრადიციების შემონახვა. უფრო სუსტი კავშირი აქვს მას ადრინდელ ხეთურ და ხურიტულ კულტურებთან, საკმაოდ მჭიდრო-ურუკის კერამიკულ ფორმებთან.

კვლევის შედარებითი მეთოდით ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ბედენის მასალებს უკავიათ შუალედი ქრონოლოგიური ადგილი „მტკვარ-არაქსისა“ და თრიალეთის კულტურებს შორის, ერთმანეთთან აკავშირებენ მათ და მიუთითებენ ეთნო-კულტურული განვითარების უწყვეტობას ბრინჯაოს ხანის ამიერკავკასიაში.

ბედენის აკლდამის თარიღი შეიძლება დაიდოს ძვ. წ. III ათასეულის ბოლო მეოთხედში, ან II ათასეულის პირველსავე საუკუნეში. ეს უნდა შეამოწმოს ხის მასალის გამოკვლევამ რადიო-ნახშირბადის მეთოდით.

აკაკი სოხაძე
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული დარბაზის დედაბოძი

ხალხის უძველესი მსოფლმხედველობის მამჟღავნებელი ნივთიერი ძეგლებიდან ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს ქართული „დარბაზული“, ანუ გვირგვინიანი სახლის დედაბოძი წარმოადგენს (დარბაზული სახლის გვირგვინი აგებულია კვადრატულ საფუძველზე და საფეხურების მსგავსად წყობილი ხის ნიყურებისაგან შედგება. აქვს ერდო, რომლითაც სინათლე შემოდის და კვამლი გადის). ირკვევა, რომ ამ ძეგლთან დაკავშირებულია წინაქრისტიანულ ხანაში შემუშავებული რწმენა-წარმოდგენების რთული კომპლექსი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს რწმენა-წარმოდგენები ქართველთა უძველესი რელიგიური სისტემის საკვანძო იდეებია, რომლებიც ასახავს ძველ წინააზიურ და კავკასიურ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ ისეთ



დიღომი. გაბრიელ მძევაშვილის დარბაზის დედაბოძი.

დიდმნიშვნელოვან კულტებს, როგორიცაა მცენარეთა, მნათობთა და მათთან დაკავშირებული ცეცხლის და კერის კულტი, მიცვალებულის კულტი და სხვ.

ამ კულტების მამჟღავნებელი მოტივებიდან გლეხური საცხოვრებელი სახლის დედაბოძებსა და მათ შემკულობასთან უშუალო კავშირშია სიცოცხლის ხის მოტივი, რომლის ვარიანტები დამოწმებულია არა მარტო ქართველ-კავკასიელ ტომთა ხელოვნებაში, არამედ ის მოცემულია წინააზიის უძველესი კულტურის ძეგლებზეც. მარტო ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ ხსენებული ძეგლი განეკუთვნება ნივთიერი კულტურის ისეთ მონაცემებს, რომელნიც ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული სულიერი კულტურის სათანადო მონაცემებთან ერთად შეადგენენ ძვირფას საისტორიო წყაროს. მათი მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია გამოვამჟღავნოთ ქართველი ხალხის უძველესი კულტურისა და ყოფის სპეციფიკური ნიშნები, აგრეთვე დავაყენოთ და გადავწყვიტოთ საქართველოს, კავკასიის და ზოგადი ეთნოგრაფიის მრავალი უმნიშვნელოვანესი საკითხი.

ტერმინი „დედა-ბოძი" იმავეს ნიშნავს, რასაც „მთავარი ბოძი".

იმ გარემოებამ, რომ მთავარი ბოძი ქართულში იწოდებოდა „დედაბოძად" და არა „მამაბოძად" შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ეს ტერმინი შემუშავებულია მატრიარქატის ხანაში, როცა ოჯახისა და საოჯახო მეურნეობის მთავარი მესვეური დედაკაცი იყო.

უეჭველია, სიტყვა „დედა"-ს „მთავარი"-ს მნიშვნელობა მხოლოდ იმ ხანაში შეეძლო მიეღო, როცა სახლის (გვარის, ოჯახის) მთავრად (სახლის დედად, დიასახლისად) ითვლებოდა დედაკაცი, მაგრამ იმის დამტკიცება, შესაძლებელი იყო თუ არა „დედა" „მთავარი"-ს მნიშვნელობით დაკავშირებოდა „ბოძს" და ამ გზით წარმოქმნილიყო ტერმინი „დედა-ბოძი", მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოსახერხებელი, თუ აღმოჩნდება, რომ ქართველ ტომებს მთავარი ბოძი საცხოვრებელი სახლის ან სხვა ნაგებობის ელემენტის სახით მატრიარქატის დროსაც მიეკუთვნებოდათ... არქეოლოგიური მასალები ამის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს.

ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებული მეორე სახელიც „გულთა ბოძი", რომელიც საცხოვრებელი სახლის ინტერიერის შუა, ცენტრალური ნაწილის, გულის ბოძს უნდა ნიშნავდეს.

დედაბოძი ბან-გვირგვიანიანი დარბაზისა და ზოგიერთი ბანიანი სახლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა. კონსტრუქციული თვალსაზრისით მისი არსებითი ფუნქცია იმაში მდგომარეობდა, რომ იგი განსაზღვრული ტიპის სახლების სახურავის, „დარბაზულ" სახლებში განსაკუთრებით სახურავის ცენტრალური ნაწილის — გვირგვინის საყრდენი იყო. დედაბოძის თავზე დადებული იყო ბალიში, რომელსაც თავხე ეყრდნობოდა. თავხეებთ კოჭებს უკავშირდებოდა, კოჭები კი იმაგრებდა სახურავის დანარჩენ ნაწილებს.

ქართული დარბაზის ინტერიერში შეიძლება ყოფილიყო 2, 3 ან 4 საყრდენი, მზიდი კოჭების ქვეშ შედგმული ბოძი. მათი განლაგების მიხედვით განისაზღვრებოდა დარბაზის ინტერიერის სამი ტიპი: ორბოძიანი (1 + 1), სამბოძიანი (2 + 1) და ოთხბოძიანი (2 + 2).

სამბოძიან ინტერიერში ეულად მდგომ ბოძს და ორბოძიან ინტერიერში ორივე ბოძს (უპირატესად ერთ მათგანს, რომელიც განათებული პირით მიქცეულ



ქართული დარბაზი დედაბოძით



დიღომი. ისაკა კენჭიაშვილის დარბაზის დედაბოძი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო კარისკენ) ეწოდებოდა „დედაბოძი“, თუმცა ზოგჯერ ამავე სახელით მო-იხსენიებოდა ბან-გვირგვინიანი სახლის ინტერიერის ყველა ბოძი.

ვინაიდან დედაბოძი სხვა ცენტრალურ ბოძებთან ერთად ბან-გვირგვინიანი სახლის ინტერიერში სახურავის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა და დიდი ძალის ძიმისათვის უნდა გაეძლო, მზადდებოდა მაგარი ხის ჯიშისაგან, ჩვეულებრივ მუხისაგან.

დედაბოძები, რომელთა სიმაღლე ზოგჯერ 6 მეტრს აღწევს, სხვადასხვა ფორმისაა, მაგრამ ზოგადი ფორმის მიხედვით ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, ყველას ლათინური ასო T-ს მოყვანილობა აქვს. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: კორპუსი (დედა-ბოძი უბალიშოდ და უბაზისოდ), ბალიში. (ბანდუში) და ბაზისი, ანუ დედაბოძის საყრდენი, რომელიც ქვისაა.

დედაბოძის კორპუსი მეტწილად ისეთი წარკვეთილი პირამიდის ფორმის მქონეა, რომლის ფუძე მართკუთხედს წარმოადგენს; მობრტყოა, სიგანე სისქეს შესამჩნევად აღემატება, ზემო მიმართულებით თანდათან ფართოვდება. ასეთი ფორმა განსაზღვრულია მექანიკის კანონებით და შეესაბამება დედაბოძის ძირითად ფუნქციას.

კონსტრუქციული დანიშნულების გარდა, დედაბოძს დაკისრებული ჰქონდა გარკვეული ესთეტიკური, საოჯახო — ყოფითი (სოციალური) და საკულტო ხასიათის ფუნქცია.

დედაბოძს, იმის გამო, რომ დარბაზული სახლის სახურავის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა სხვა ცენტრალურ ბოძებთან ერთად და საგანგებოდ შემკული იყო, წამყვანი ადგილი ეკავა ინტერიერში. იგი, კერასთან ერთად, სახლის ელემენტებიდან უმნიშვნელოვანეს საკულტო ობიექტად ითვლებოდა და გარკვეული სამეურნეო ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული, საოჯახო ყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

ჩვენი წინაპრების მიერ დედაბოძის სოციალურ ინსტიტუტებთან და მოვლენებთან დაკავშირების კონცეფციის ერთ მეტად საყურადღებო თავისებურებას ავლენს ჩვენს მიერ 1957 წ. ფიქსირებული ცნობა, რომელიც მცხეთაში ჩავიწერე ხანდაზმული ტასო მაჩხანელისაგან. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ კავშირი დედაბოძსა, თავხესა და კოჭებს შორის, მათი თანაარსებობა დარბაზული ნაგებობის კომპლექსში გააზრებული იყო ოჯახის სტრუქტურის შესაბამისად: მთხრობელის თქმით, დედაბოძს „დედა“ ეწოდებოდა, იგი ოჯახის უფროს ქალს „ბაბუას“ (დიდედას) შეესიტყვებოდა თავის მნიშვნელობით. თავხე დედაბოძის მეუღლედ მიაჩნდათ, მას „მამა“ ეწოდებოდა, ოჯახის უფროსი კაცის თანხვედრი იყო. კოჭები დედაბოძისა და თავხის შვილებად იწოდებოდნენ.

საყურადღებოა, რომ ქართლში სასახლიკაცო ერთობის საღვთო და აგრეთვე კვიმატობა დღეს ძირის სახლის კერასა და დედაბოძთან სრულდებოდა საგანგებო რიტუალი, რომლის მონაწილენი მხოლოდ ამ სახლიდან განაყარი სახლიკაცები იყვნენ, რაც სახლიკაცობის გვარიდან გამოყოფის მაჩვენებელი იყო (გ. ჩიტაია). აქვე სრულდებოდა ინკორპორაციის ცერემონიალი: „შარბათის შესმის შემდეგ მეჯვრე ნეფე-დედოფალს დედაბოძის ან კერის ირგვლივ სამჯერ შემოატარებდა“ (გ. ჩიტაია).

დედაბოძებს უპირატესად ასტრალური ორნამენტი ამკობს. მათზე გამოსახულია: მთვარე, მზე, ვარსკვლავები, ჯვარი, ხელი, მცენარე, ტოტი, ცხოველი,

ფრინველი, „ჯაჭვი“, სამკუთხედი, რომბი, ნახევარწრეები, რადიალური სხივებით, სწორი და ტეხილი ხაზები.

ეს სახეები დედაბოძებზე სხვადასხვა ვარიანტითაა განლაგებული, მაგრამ ძირითადი პრინციპი ამ განლაგებისა უცვლელია.

დედაბოძთა კომპოზიციაში საერთოდ ცენტრალური (განმსაზღვრელი) ადგილი მზისა და მთვარის გამოსახულებას უჭირავს, დანარჩენ გამოსახულებათა განლაგება და სიდიდე მათთან შესაბამისია. ამ კომპოზიციაში შემავალი ელემენტების სიმეტრიულ დაჯგუფება-განაწევრებაზე, აღნიშნულს გარდა, უშუალო ზეგავლენას თვით საკომპოზიციო არეს მოყვანილობა ახდენდა, იგი ოსტატის მხატვრულ შესაძლებლობას „ჩაკეტილი კონტურის“ მკაცრად დეტერმინებული სივრცის თავისებურებას უმორჩილებდა.

მეტწილად მზისა და მთვარის წრიულ გამოსახულებათა ცენტრი დედაბოძის მოხატულ ზედაპირზე გამავალ ვერტიკალურ ღერძზე მდებარეობს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს გამოსახულებანი სიდიდით კომპოზიციაში შემავალ ვარსკვლავთა გამოსახულებებს ბევრად აღემატება; ეს გარემოება შემთხვევითი არ არის და იმაზე მიგვითითებს, რომ მზეს და მთვარეს ჩვენი წარმართი წინაპრების შეგნებაში გაღმერთებულ მნათობთაგან მთავარი ადგილი ეკავათ.



ბერიძეების დარბაზის დედაბოძი სოფ. დიღომში

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲐᲚᲐᲑᲐᲫᲔ
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
უფროსი მეცნიერი მუშაკი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ᲞᲣᲠᲘᲡ ᲑᲔᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲓᲘ

საქართველოში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, ხორბლეულის შესანახად მრავალი სახის ჭურჭელი იყო ხმარებული. გარდა ჭურჭლისა, ძველთაგანვე ხორბლეულის შესანახ საშუალებად იყენებდნენ: ორმოს, ხაროს და ბეღელს.

ხორბლის შესანახი ორმო მიწაში 2 მეტრის სიღრმეზე იყო ამოთხრილი, ფორმა წაკვეთილი კონუსის მაგვარი ჰქონდა. ძირის ფართი 1,5—2 მეტრიან რადიუსს შეადგენდა, პირისა კი — 50—70 სანტიმეტრს არ აღემატებოდა. ანალოგიური ფორმისა იყო ხარო, იმ განსხვავებით, რომ ხარო ქვითკირით იყო ნაგები და უფრო საიმედო ნაგებობას წარმოადგენდა, ვიდრე ორმო. ორმო ისე, როგორც ხარო გავრცელებული იყო მშრალი ნიადაგების რაიონებში. კახეთში, გაღმა-მხარის გამოკლებით და ქართლში ზოგიერთი სარწყავი სოფლების გამოკლებით.




კოდი.

ხორბლის შესანახი ორმო და ხარო ქართული ძველი დასახლების კომპლექსისათვის ერთი აუცილებელი შემადგენელი ელემენტია. ამ ორ ერთი და იგივე დანიშნულების ობიექტს ქვემო ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის სამეურნეო ყოფაში ახალი დანიშნულების შესრულება უხდება, მასში ახლა კარტოფილს ინახავენ.

ხორბლეულის შესანახად გამოყენებული იყო აგრეთვე ბელელი. ბელელი ფიცრულ ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც ორიგინალური კონსტრუქციით და დაგეგმარებით ხასიათდება. ჩვეულებრივ საშუალო ზომის საჩეხიანი ბელელი 10—30 კვადრატული მეტრია.

ბიბლიოთეკა

ბელელს გეგმაში მოგრძო ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. გააჩნდა საჩეხი და გადახურული იყო ორფერდა სახურავით. ბელელი ჩვეულებრივ მიწიდან შემაღლებულ ბოძებზე იყო შედგენილ-გაწყობილი, ან მაღალ ქვებზე იყო დადგმული ისე რომ, იგი თავისი აგებულებით ხიმინჯიან სახლს წააგავდა. ბელელს წინიდან აქვს დაბალი და განიერი კარი. ფიცრის ტიხრების საშუალებით ბელელი შიგნიდან რამდენიმე განყოფილებად იყო დანაწილებული. თვითეულ ამ განყოფილებას, კახეთის გაღმა მხარის სოფლებში ორმოს უწოდებენ. ორმოები სხვადასხვა ზომისაა და ხორბლეულის სახეობათა მოსავლიანობის სიდიდის მიხედვითაა ნავარაუდევი. მაგ. სოფელ საბუეში ჩვენს მიერ აღწერილი ვანო ყანჩაშვილის ბელელში ყველაზე მეტ ფართიანი ორმო პურისთვის იყო განკუთვნილი. მომდევნო ორმო ქერის ჩასაყრელად ჰქონიათ. მესამე — ფეტვისთვის ყოფილა განკუთვნილი და ასე შემდეგ. ბელელის სხვენი ღია საბძლური გადახურვით ხასიათდება, რომელიც გამოიყენებოდა ზამთრის სანოვაგის — ხმელი ხილისა და სანელებელი ბოსტნეულის შესანახად (ჩურჩხელა, ჩირეული, ნიორი, ხახვი, ღოლოს კალები, კაკალი, გოგრები). მთხრობელის გადმოცემით: „კარგი ბელლის აშენება სახლისოდენა ამაგსა და მასალას თხოულობდა". ამ სიძნელის გამო ბელელი ყველა ოჯახს არ გააჩნდა, თუმცა ქიზიყში აბანოზის ხის ფიცრისაგან აშენებული ბელლებიც კი ჰქონიათ.

ქ. სიღნაღის რაიონული არქივის მასალებში დაცულ გაყრილობის წიგნებში არაერთხელ არის მოხსენებული „ამბარი (ბელელი) აბანოზის ხისა და აბანოზის მასალა ამბრისათვის" (ხირსის სასოფლო საზოგადოების სასამართლო განჩინებათა დავთარი საბ. № 59, 1911 წლისა).

ოჯახები, რომელთაც ბელლები არ გააჩნიათ, ხორბლის შესანახად იყენებდნენ აგრეთვე კოდებს. პურის კოდი, როგორც ამას კახეთის გაღმა მხარის სოფლებში უწოდებენ, ბელლის შემდეგ ყველაზე მეტად გავრცელებული სათავსო ავეჯია. კოდი წარმოადგენს მრგვალი ფორმის გულგამოღებული ხის დიდ მორს, რომელსაც ძირი აქვს ჩადგმული. კოდები ძირითადად ვერხვისაგან და ცაცხვის ხისაგან მზადდება, სცოდნიათ აგრეთვე კოდების დამზადება თხილის ხისაგანაც. თხილის ხისაგან დამზადებული ერთი დიდი ზომის კოდი ამჟერად გელათის მონასტერშია დაცული და მას XVI საუკუნის ძეგლად მიიჩნევენ. ძველად კახეთის გაღმა მხარეში თხილის მოზრდილი ხეებისაგან ხის ავეჯის მრავალსახეობა უმზადებიათ. ასე მაგალითად: სოფელ შილდაში აღნიაშვილების ოჯახში (ლაღო აღნიაშვილის მემკვიდრეების ბინაზე) დაცულია თხილის ხისაგან დამზადებული მოზრდილი საწნახელი, კოდები და სხვადასხვა დანიშნულების საგნები. თხილის ხისაგან დამზადებული მოზრდილი საწნახელი, აგრეთვე შემონახულია სოფელ ჭიკაანში, რომლის დიამეტრი მეტრს აღემატება. სიგრძე კი — 6 მეტრია. სხვადასხვა სიდიდის პურის კოდები ხშირად გვხდება ყვარლისა და ახმეტის რაიონებში. ერთი მათგანი 1960 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ შეიძინა სოფ. საბუეში ფ. ნ. ავგაროზიშვილისაგან საქართველოს სახელმწიფო მუზ. კოლ. № 60—60/1. აღნიშნული კოდის

სიმაღლე 190 სმ-ია, ძირის გარშემოწერილობა 390, ხოლო პირის გარშემოწერილობა — 470 სმ. კოდი დაახლოებით 25 კოდ პურს იტევდა, ე. ი. 75 ფუთამდე. იგი აივანზე იდგმოდა და მასში მოთავსებული ხორბლეული საიმედოდ იყო დაცული.

კოდის დამზადება მეტად შრომატევად საქმეს შეადგენდა. ამ სამუშაოს ადგილობრივი კახელი ხელოსნები არ ასრულებდნენ. მთხრობელთა გადმოცემით: „კოდებს უფრო მეტად ფშაველი მხვეწლები ამზადებდნენ. ისინი თურმე შემოდგომით ჩამოდიოდნენ ბარში და კახეთის ტყეებში მებატონეებისაგან ნებართვის



ბეღელი

მიღების შემდეგ ჭრიდნენ სათანადო ჯიშისა და შესაფერი დანიშნულების ხეებს და ტყეშივე აწარმოებდნენ მის დამზადებას. ძირითადი იარაღი ამ საქმისათვის ჩულუხი, სატეხი, ხვედა, ხერხი და ცული ყოფილა, დიდი ზომის კოდის ამოთხრას ზემოდან იწყებდნენ და თანდათან ძირისკენ ჩადიოდნენ.

ფშაველ მხვეწლებს, რომელნიც სამუშაოდ ჯგუფებად მოედინებოდნენ, დიდი ზომის კოდების დამზადება შეკვეთით უწარმოებიათ, ხოლო მცირე ზომის კოდებისა — დაკვეთის გარეშე. საერთო ბაზრისათვის. მცირე ზომის კოდები ფშაკ-

ლებს მთის მოსახლეობის სამეურნეო დანიშნულებისათვის უმზადებიათ. ბარში თუ თავის ნამზადს ისინი ხორბლეულზე ცვლიდნენ, მთიდან ერბო და ყველი მოჰქონებიათ. კოდი, როგორც საქართველოს, ისე მთის ყოფისათვის ერთ-ერთ აუცილებელ სამეურნეო დანიშნულების მუდამ და ხშირად საჭირო სახმარ სათავსო ჭურჭელს წარმოადგენდა. მცირე ზომის კოდები მრავალი დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა (რძის პროდუქტების, მარილის, ლობიოს, მუხუდოს და სხვადასხვა).

კოდების დამზადების ხელოვნება აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ჩანს ფშაველ ტყის მოხელეთა მონოპოლიას შეადგენდა. ბეღლებს კი, გარდა ადგილობრივი ხუროებისა, რაჭიდან ჩამოსული ხელოსნებიც აშენებდნენ. ისინი ხელოსნობის ამ დარგით გარკვეულ ეკონომიურ ურთიერთობაში იყვნენ, როგორც სამიწადმოქმედო, ისე მესაქონლეობის რაიონებთან. ამ ურთიერთობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

კოდისა და ბეღელის ეტიმოლოგიური შესწავლა ნათელყოფს, რომ ქართველთა წინაპრებს სამეურნეო დანიშნულებით, მისი გამოყენება ტომობრივ გაიიშვამდე ხმარებაში ჰქონიათ.

ტერმინი „კოდი" გვიანი შუასაუკუნეების ხანაში ხორბლეულის საწყაო ერთეულის გამომხატველიც იყო. კოდის ქვეშ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წონის ერთეული მერყეობდა 2-დან (ხევსურეთი) 4 ფუთამდე (ქართლი).

როგორც ბეღელი, ისე კოდი და, საერთოდ, ხორბლეულის შესანახი ჭურჭელ-ნაგებობანი ისეთივე დაცვას და ყურადღებას მოითხოვს, როგორც რომელიმე ისტორიული ძეგლი. სამწუხაროდ, სამუზეუმო დანიშნულების კარგი ბეღლები დღეისთვის იშვიათობად იქცა. თანამედროვე საკარმიდამო დასახლებამ ყოფიდან განდევნა.

რამდენიმე ეგზემპლიარი ჯერ კიდევ მოიპოვება, კახეთის გაღმა მხარის სოფლებში.

მისი დაცვა სხვა მატერიალური კულტურის ძეგლთა თანაბრად უნდა წარმოებდეს.



დეკორატიული დანა (ბზა)    არსენ ფოჩხუა

ილია ადამია

არქიტექტურის კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხური ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ნიმუში მდ. ყვირილის ზემოდინების ხეობაში

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ხალხური ნაგებობებისა და კარმიდამოს მეტად საყურადღებო ნიმუშები.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ნაგებობათა აშენება და კარმიდამოთა მოწყობა ბუნებრივ გარემოსთან შეგუებისა და ადგილობრივი იაფფასიანი საშენი მასალების გამოყენების ტრადიციების შესაბამისად არის განვითარებული; ამიტომაც საქართველოს ცალკეული მხარეების ხალხური ხუროთმოძღვრების მიკრორაიონული ხასიათის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თეორიული თვალსაზრისით, ისე თანამედროვე არქიტექტურის პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად.

წინამდებარე ნაშრომი მიძღვნილია დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის — ყვირილის ზემოდინების ხეობის მთის სოფლების ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლისადმი.

ყვირილის ხეობა მდებარეობს ზემო იმერეთის ტერიტორიაზე (მდ. ყვირილა რაიონის მარცხენა შენაკადია, რომელსაც სათავე აქვს ზეკარის გადასავალს ქვემოთ სურამის ქედზე).



სოფ. პერევი. შუკაკიძეების უბანი. ტიპიური ქუჩის საერთო ხედი

ყვირილის ხეობის ლანდშაფტი მხატვრულ სანახაობათა კონტრასტებით ხასიათდება. ირგვლივ მოჩანან მთის ფერდობებზე გაშენებული ბაღ-ვენახები, ზოგან ველ-მინდვრები, ალაგ-ალაგ სხვადასხვაგვარი ფორმის ფენებად დაწნეხილი წაირყვერად შეფერილი კლდე-გორაკები, მწვანეში ჩაფლული ცალკ-ცალკე შემო[illegible]რილი დასახლებული ბორცვები, რომლებსაც ცვლიან ტყით დაბურული მთები.

ყვირილის ხეობა განსაკუთრებით თვალწარმტაცია ზემოდინების მიდამოებში; ხეობა გრძელდება მდ. ყვირილის სათავიდან დაწყებული ვიდრე სოფ. ჭალამდე, მისი სიგრძე 25—30 კმ არ აღემატება; საკვლევი უბანი — ე. წ. ყვირილის ზემოდინების ხეობა — ადმინისტრაციულად შედის საჩხერის რაიონში.

მდ. ყვირილის ზემო წელი, შედარებით მკაცრი ბუნებრივი პირობებისა და შეზღუდული სამეურნეო საქმიანობის გამო, უფრო ნაკლებად არის დასახლებული, ვიდრე შუა და ქვემო დინების ადგილები.

ზემოაღნიშნული ხეობის დასახლებული ადგილებიდან საყურადღებოა შემდეგი ტიპიური მთის სოფლები: პერევი, ზემო და ქვემო ქარძმანი, შუაქარძმანი, სპეთი და სხვ.[1]

ეს მხარე ცნობილია მატერიალური კულტურის ისეთი უნიკალური ძეგლებით, რომლებიც ქრონოლოგიურად მიეკუთვნებიან ადრე და გვიან ბრინჯაოს ხანას[2]. ამ მხარის მატერიალური კულტურის — არქეოლოგიური ძეგლების პირველ მკვლევარად აღიარებულია ექვთიმე თაყაიშვილი[3]. საყურადღებოა აგრეთვე 1954 წ. სოფ. პერევში აღმოჩენილი განძის შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევა[4].

ზემოხსენებული ნაშრომები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ამ ადგილების მატერიალური კულტურის შესახებ (გათხრითი არქეოლოგია), მაგრამ ამ მხარეში არსებული ხალხური ხუროთმოძღვრული ძეგლები (ეროვნული კულტურის ერთ-ერთი დარგი) დღემდე სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა, რის გამოც ჩვენ მას ნაკლებად ვიცნობთ. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მხარეში ჩვენს მიერ მოპოვებული გრაფიკული მასალის მთელი სისრულით განხილვა მცირე მოცულობის ნაშრომში შეუძლებელია. ჩვენ შევეცდებით პერევის, შუაქარძმანისა და სპეთის მაგალითზე გავაშუქოთ მხოლოდ ზოგიერთი ძირითადი საკითხი.

ვიდრე შევუდგებოდეთ ხალხურ ნაგებობათა განხილვას, საჭიროდ ვთვლით მოკლედ შევეხოთ ძველი სოფლის დასახლების სისტემას, ძველ ტიპიურ კარ-მიდამოთა დაგეგმვისა და განაშენიანების ტრადიციებს, რომლებიც დღემდე მეტ-ნაკლებადაა შემორჩენილი.

დ ა ს ა ხ ლ ე ბ ი ს  ს ი ს ტ ე მ ა. პერევის, შუაქარძმანისა და სპეთის დასახლება მთის სოფლების კვალობაზეა განვითარებული. ხსენებული სოფლები

---

[1] ზემოხსენებული სოფლები ხალხური ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლის თვალსაზრისით გამოვიკვლიეთ 1962 წ.

[2] Б. А. Куфтин, археологическая маршрутная экспедиция. 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, გვ. 64—82.

[3] Е. С. Такайшвили, О Сачхерском кургане Шоропанского уезда, изв. Кавказского Отделения Московского Археологического Общества, вып. 3, Тифлис, 1913 г.

[4] დ. ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი), თბ., 1961 წ. გვ. 37—78.

ეროვნული ბიბლიოთეკა




კოლხური საცხოვრებელი „გრძელი სახლის" განვითარების ეტაპები (I — II — III — IV)

ეროვნული ბიბლიოთეკა




სოფ. სპეთი. ოროჯახიანი ტიპიური კარმიდამო (გენგეგმა)







სამოჯახიანი კარმიდამოების გენგეგმა

სოფ. სკურდი (გეგეჭკორის რაიონი).

სოფ. ბლაბურხვა (გუდაუთის_რაიონი)

დასახლებულია უბნებად — გვარების მიხედვით მეტნაკლებად შეჯგუფებული ფორმით[1]. დასახლებისათვის გამოყენებულია ბორცვები-გორაკები, ფერდობები და ზეგანი (დავაკებული ადგილები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთულმა ტოპოგრაფიულმა პირობებმა დიდი გავლენა მოახდინა უბნების დასახლების სტრუქტურაზე, მის სივრცობრივ ხუროთმოძღვრულ კომპოზიციურ ფორმაზე, რომლებიც ხშირად დამოუკიდებელ მიკრო ანსამბლურ ხასიათს ატარებს.

რთული რელიეფური პირობებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ხშირად ერთი დასახლებული უბანი მეორესთან მხოლოდ ბილიკებითაა დაკავშირებული.

ცალკეული უბნების შეჯგუფული დასახლების სისტემაში ხალხური გეგმარების ტრადიციული ელემენტები ტიპიურ სახეს ატარებს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ცალკეულ დასახლების გენ-გეგმის კომპოზიციას დაახლოებით ოვალური მოხაზულობა აქვს, რომელსაც დასახლების ყველაზე უძველეს ფორმად ვთვლით; ყოველ დასახლებულ უბანს ოვალურადვე გარს უვლის ვიწრო გზა, რომლის სიგანე სამ მეტრამდე აღწევს; დასახლების შეჯგუფული ფორმის გამო, რომელიც განაშენიანების მაღალი კოეფიციენტით ხასიათდება. შიგასამიმოსვლო გზები წარმოადგენენ ვიწრო ქუჩაბანდებსა და შუკებს, რომლებიც ცალკეულ კარმიდამოებს უკავშირდებიან.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ სოფლის დასახლების სისტემაში



შუადერეფნიანი „გრძელი სახლი" გამჭოლი სივრცით

---

1 ბოლო ხანებში (50 წლის მანძილზე) გადასახლება-ჩამოსახლების ხშირმა შემთხვევებმა სხვა ფაქტორებთან ერთად გამოიწვია დასახლებულ უბნებში გვარების სიჭრელე, რამაც ნიადაგი გამოაცალა გვარებად დასახლების ტრადიციას.

განაშენიანებას თავისებური ხუროთმოძღვრული ხალხური ტრადიციები აქვს. ყველა სახის ხალხური ნაგებობა — ბეღელი, სასიმინდე, ბოსელი თუ საბძელი — განლაგებულია გზის პირზე, საკარმიდამო ღობის გასწვრივ[1].

ეროვნული

სოფლის დასახლების სისტემაში განაშენიანების უფრო ახლოს გასაცნობად საჭიროა მოკლედ შევეხოთ ძველ ხალხურ კარმიდამოებს, მათი დაგეგმვისა და განაშენიანების უძველეს ტრადიციებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მტკიცე სტანდარტების სახითაა ტიპობრივად ჩამოყალიბებული.



„გრძელი სახლი" ერთმხრივ გადაკეტილი ღია შუადერეფნით

კ ა რ მ ი დ ა მ ო. ძველი დასახლების სისტემაში კარმიდამო წარმოადგენს ხალხური დაგეგმარების ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს, ანუ ე. წ. ერთეულს[2].

კარმიდამო, როგორც დასახლების ერთ-ერთი ხუროთმოძღვრული განვითარებული უჯრედი, საუკუნეთა მანძილზე ხალხური დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზეა ტიპობრივად ჩამოყალიბებული.

სოფლური დასახლების საერთო ასახულობის ხუროთმოძღვრული სტრუქტურული სახე დამოკიდებულია კარმიდამოს განვითარებული ტიპების გეგმებისა და განაშენიანების სივრცობრივ ხუროთმოძღვრულ კომპოზიციაზე, რომელშიაც ერთ-ერთ მთავარ როლს გამწვანებაც ასრულებს.

ყურადღებას იპყრობს საკარმიდამო პარცელების არჩევის ღრმა ცოდნა, რო-

---

[1] ხშირად საკარმიდამო ღობის გასწვრივ გზის პირზე ნახავთ მიწაში ჩასობილ ხის ბოძებს, რომელთა წაწვეტებული თავები ამოშვერილია მიწიდან დაახლოებით 30 სმ სიმაღლეზე. ეს იცავს საკარმიდამო ღობეებს აქაურ ვიწრო ქუჩაბანდებში გამვლელი ტრანსპორტის წამოდებისაგან, რომელიც ხშირად იწვევს მათ დაზიანებას.

[2] უნდა შევნიშნოთ, რომ ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით ხალხური კარმიდამოები უფრო ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე ხალხური ნაგებობანი.



ზემო იმერეთი
სასიმინდის წნული კედლის ფრაგმენტი



ზემო იმერეთი
სასიმინდის წნული კედლის ფრაგმენტი

მელიც საცხოვრებლად ჯანსაღი ადგილების არჩევაში გამოიხატება. კარმიდამოებისათვის გამოყენებულია როგორც რთული რელიეფის, ისე ბუნებრივად დავაკებული ან ხელოვნურად შექმნილი შანდაკი ადგილები.

დღემდე გადაუკეთებლად მოღწეული ძველი კარმიდამოები იშვიათია, მაგრამ შესწავლილ კარმიდამოთა საფუძველზე ირკვევა, რომ მათი ტიპიური გეგ-გეგმის ხუროთმოძღვრული კომპოზიცია დამოკიდებულია რელიეფის ხასიათზე, შრომასაქმიანობისა და ბუნებრივი გარემოცვის პირობებზე.

კარმიდამოთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ შეიძლება მათი დაყოფა ორ ჯგუფად, სახელდობრ: ა) რთულ რელიეფზე მოწყობილი კარმიდამოები და ბ) დავაკებულ ადგილზე მოწყობილი კარმიდამოები.

რთულ რელიეფზე მოწყობილ კარმიდამოთა უმრავლესობას არაწესიერი სეგმენტური ან ოვალური ხასიათის მოხაზულობა აქვს: ხოლო ბუნებრივად ან ხელოვნურად დავაკებულ ადგილებზე დაგეგმილ კარმიდამოებს — სწორკუთხოვანი ან ტრაპეციული მოხაზულობა.

ორივე შემთხვევაში კარმიდამო დაყოფილია სხვადასხვა დანიშნულების ეზოებად.

დიდ ინტერესს იწვევს ისეთი ტიპიური ძველი კარმიდამოები, რომელთა განაშენიანების სისტემაში ერთი საცხოვრებლის ნაცვლად გვხვდება ორი ან სამი ცალკ-ცალკე მდგომი საცხოვრებელი სახლი. ასეთ კარმიდამოებს შეიძლება ვუწოდოთ ორ ან სამოჯახიანი კარ-მიდამოები (იმის და მიხედვით, თუ რამდენი ოჯახია განლაგებული ერთი საცხოვრებელი ეზოს გარშემო). ამის საუკეთესო ნიმუშია სოფ. სპეთიდან ორი ძმის — მიხეილ და გიორგი ბუწურაძეების — საერთო კარმიდამო[1].

[1] შრომაში განხილული მასალის შეგროვებაში, დახმარებისათვის მადლობას ვუძღვნით ანდრო სიმონის ძე წერეთელს.

ბუწურაძეების კარმიდამო რთულ რელიეფშია ჩამჯდარი, რის გამოც მის გეგმა-გეგმასაც რთული მოხაზულობა აქვს.

ზემოხსენებული კარმიდამო დაყოფილია შემდეგი დანიშნულების ეზოებად: I საცხოვრებელი ეზო (სუფთა ეზო), რომელსაც რთული მოხაზულობა აქვს, II საწარმო ან სამეურნეო ეზო, III საბაღო ეზო და სავენახე-საბოსტნე ადგილები.

კარმიდამოს განაშენიანებაში ერთი და იგივე დანიშნულების ნაგებობა ორჯერ მეორდება, რაც ერთ კარმიდამოზე ორი ოჯახის არსებობით არის გამოწვეული.

კარმიდამოს განაშენიანება ტიპიური სქემითაა განხორციელებული და შეიცავს შემდეგი დანიშნულების ნაგებობებს: 1) ძველი ტიპიური საცხოვრებელი სახლი; 2) ოდა-სახლი; 3) ბეღელი; 4) სასიმინდე; 5) საბძელი; 6) საღორე და საქათმე; 7) მარანი.

როგორც ჩანს, კარმიდამოს განაშენიანების ორგანიზაცია მდგომარეობს იმაში, რომ ნაგებობები დანიშნულების მიხედვით კარმიდამოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული ეზოების ხასიათის შესაბამისადაა განლაგებული.



შუადერეფნიანი სასიმინდე

კარმიდამოს შესწავლიდან ირკვევა, რომ საცხოვრებელი სახლის ადგილისა და ორიენტაციის არჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

დიდი ყურადღება აქვს დათმობილი არა მარტო საცხოვრებელი სახლის ორიენტაციას, არამედ ყოველი სამეურნეო ნაგებობისათვის საჭირო ორიენტაციის განსაზღვრასაც. ასე, მაგალითად, ბოსლის, სამზარეულოსა და ბეღლის ვიწრო განი ხშირად მიმართულია მზიანი მხრისკენ, ხოლო მათი გრძივი კედლები, რომლებიც მეტ ფართობს შეიცავს, ჩრდილოეთითაა მიმართული, სასიმინდე

კი პირიქით, გრძელი გვერდით მიმართულია მზისაკენ — სამხრეთით, რათა გამზეების აქტივობა კედლის რაც შეიძლება მეტ ფართობზე გავრცელდეს.

ერთ კარმიდამოზე რამდენიმე ოჯახის ერთად ცხოვრების ტრადიცია როგორც ძველისძველი გადმონაშთი, გვაროვნული დასახლების პირველყოფილი ფორმიდან უნდა მიმდინარეობდეს, ამიტომ ეს ნიმუშებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უძველესი ე. წ. შეჯგუფული დასახლების შესასწავლადაც.

როგორც ირკვევა, ხალხურ მშენებელ-ხუროთმოძღვართა ბრძნული შემოქმედებითი აზრი უძველეს დროიდანვე ვერ ურიგდებოდა საცხოვრებელი ეზოების დაკნინების ფაქტებს. ცნობილია, რომ ოჯახის გამრავლება წარმოშობს საკარმიდამო მიწის სიმცირეს. მამა-პაპისეული მიწების დაპარცელება იწვევს ტრადიციული ვრცელი ეზოების მოსპობას; ამიტომ ტრადიციული ვრცელი ეზოების შენარჩუნების ერთ-ერთი უძველესი ხალხური ღონისძიება იყო ერთი ეზოს გარშემო იმდენი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის განაშენიანება, რამდენი ოჯახიც იყო მის ირგვლივ.

ამრიგად, ორ ან სამოჯახიან კარმიდამოთა დღემდე არსებობის ტრადიცია ვრცელი ეზოს შენარჩუნების ერთ-ერთი ფაქტორთაგანია[1].

შემჩნეულია, რომ ტრადიციული ფართო ეზოების მრავალოჯახიანობას თან ახლავს მრავალშვილიანობა, რაც ქალაქად ან უეზოობის შემთხვევაში იშვიათია; სუფთა ვრცელი ეზოები საუკეთესო პირობებს ქმნიან ბავშვთა აღზრდისათვის, შრომისა და დასვენებისათვის. ამ გარემოებიდან უნდა გამომდინარეობდეს ცნობილი მოსაზრება, რომ „ერის გამრავლების ძირითადი წყაროა სოფელი და არა ქალაქი“.[2]

დასასრულ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ორი ძმის — ბუწურაძეების ძველი ტიპიური კარმიდამოს იდენტური ტიპები მოწმდება ისტორიული კოლხეთის ტერიტორიის სხვადასხვა მხარეში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა მხარეში გავრცელებული ტიპიურ კარმიდამოთა და ოდა-სახლების შესახებ ხმარებული ტერმინები (გამოთქმები), როგორიცაა: „იმერული კარმიდამო“, „მეგრული კარმიდამო“, „გურული კარმიდამო“, ასევე „იმერული ოდა“, „მეგრული ოდა“, „გურული ოდა“ და სხვ. ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რის გამოც კუთხური „ინდექსები“ იმერული, გურული, მეგრული და აფხაზური სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია.

გავრცელების გეოგრაფიული არეს შესაბამისად, როგორც ერთი სახის ადგილობრივ გავრცელებულ ტიპის კარმიდამოს, მას უნდა ეწოდოს კოლხური კარმიდამო“, ხოლო ოდა-სახლს, რომლის წინამორბედ ძველი ტიპის საცხოვრებელს ქვემოდ განვიხილავთ, უნდა ეწოდოს „კოლხური ოდა-სახლი“.

როგორც ჩანს, შესწავლილი კარმიდამოების იდენტური ტიპების არსებობა კოლხეთის სხვადასხვა მხარეში იმაზე მეტყველებს, რომ ისინი იზოლირებულად კი არ განვითარებულა, არამედ, წარმოგვიდგება, როგორც მთლიანი ეროვ-

---

[1] ხალხური ზეპირი გადმოცემიდან ირკვევა, რომ კარმიდამოზე შეიძლება ყველაფერი დანაწილდეს — საბალე ეზოცა და სამეურნეო ეზოც, მაგრამ საცხოვრებელი ეზოს (სუფთა ეზოს) გაყოფა — მასში ზღუდის გატარება ოჯახის რომელიმე უფლებიანი წევრის დაჟინებით ოდითგანვე სამარცხვინო და გასაკიცხ საქმედ ითვლებოდა.

[2] ვ. გუგუშვილი, საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800—1959), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII—XIII, 1963 წ. გვ. 79.

წულ ნიადაგზე აღმოცენებული ტიპები, რომელთაც მივყავართ კოლხური კულტურის იმ სათავეებისაკენ, რომლის წიაღშიაც იგი დროთა ვითარებაში წარმოშობილია და განვითარებულა ერთნაირი ისტორიული მიზეზობრივი კავშირისა, შრომა-საქმიანობისა და ეთნიკური პირობების ნიადაგზე.

ყოველივე ამის შემდეგ „... მით უფრო ვალდებული ვართ მეტი ინტერესით მოვეპყრათ იმ ძეგლებს, რომელნიც კოლხეთის წარსულს, მათ გავრცელებასა და ეთნიურ ურთიერთობას მოწმობენ[1].

მკითხველს გვინდა მოვაგონოთ ზემოთ ნათქვამი იმის შესახებ, რომ ძველი კარმიდამოთა ყველა ტიპიური ნიმუშის ან კიდევ მათი — წარმოშობის, ისტორიული განვითარების სრული სურათის, დაგეგმარების ყველა ელემენტის და მათი დაკნინების საკითხების უფრო ვრცლად გაშუქება ჩვენზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო წინამდებარე ნარკვევის ვიწრო ჩარჩოში ვერ ხერხდება. ამიტომ ჯერჯერობით ზემოგანხილული მასალით უნდა დავკმაყოფილდეთ.

საცხოვრებელი სახლის ძველი ტიპები. მდ. ყვირილის ზემოდინების სოფლებში ძირითადად გავრცელებულია ორი ტიპის გლეხური საცხოვრებელი სახლი: პირველი „გრძელი სახლი“, რომელიც აქ „ზემოური სახლის“ სახელწოდებითაა ცნობილი, და მეორე, კოლხური საცხოვრებელი ოდასახლის ცნობილი ტიპები.

ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ძველი ტიპიური საცხოვრებელი სახლის პირველ სახეს, ე. წ. „გრძელ“, ანუ „ზემოურ“, სახლს, რომლის ტიპიური ნიმუშებია: სოფ. შუაქარძმანიდან ნ. კუსიანის, სოფ. სპეთიდან მიხეილ ბუწურაძის საცხოვრებელი სახლები.

ზემოხსენებული საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალურ ხუროთმოძღვრულ თავისებურებათა გამოსარკვევად საჭიროა შევეხოთ გეგმარების იმ ელემენტებს, რომლებმაც საუკუნეთა მანძილზე განიცადეს ევოლუცია. ამათგან მთავარია: ა) გეგმის კომპოზიცია; ბ) სივრცობრივი კომპოზიცია და გ) კონსტრუქციული სტრუქტურა.

ა) გეგმის კომპოზიცია. როგორც თვით სახელწოდება „გრძელი სახლი“ გვიჩვენებს, გეგმაზე მას შესამჩნევად წაგრძელებული სწორკუთხედის მოყვანილობა აქვს (სურ. 6, 7) აღნიშნულ სწორკუთხედის სიგრძისა და სიგანის დამოკიდებულება, ღია დერეფნების ჩათვლით, დაახლოებით შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს: 1 X 3; 1 X 5; 1 X 7 და ა. შ. ასეთი განზომილების გეგმის სახლს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „გრძელი სახლი“ ანუ „ზემოური სახლი“ ეწოდება.

ჩვენ მიერ ფიქსირებული „გრძელი სახლის“ ტიპები, ძირითადად, ერთგანყოფილებიან ვრცელ საცხოვრებლისაგან შედგება, რომლის ფართი 35-52 კვ. მეტრამდე აღწევს.

ტიპიურ საცხოვრებელ დარბაზს ერთ მხარეზე მიწური იატაკი აქვს, ხოლო მეორეზე ფიცრული იატაკია დაგებული; ხის იატაკი მიწური იატაკის ნიშნულიდან ერთი საფეხურით 15—20 სმ-ით მაღლაა; მიწურ იატაკს ტრადიციულად დარბაზის ნახევარზე მეტი ფართობი უკავია, რომლის შუაში კერაა გამართული; კერის თავზე აწ გაუქმებული ერდოს „გვირგვინია“ დარჩენილი. გვირგვინის

[1] პ. უშაკოვი, საქართველოს უძველესი ხალხები და უკანასკნელი წლების აღმოჩენები არქეოლოგიის დარგში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B, 1940 წ., გვ. 247.

თავზე „უმალ“[1] კვამლის გასატარებლად ხის კოშკურა ყოფილა „გვიმივით“[2] დადგმული, რომელიც სახურავის თავზე გარეთ გამოდიოდა (ამჟამად ყველგან მოხსნილია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზის იმ ნაწილს, რომელსაც მიწური (თიხანატკეპნი) იატაკი აქვს, „ჯალაბი“ ეწოდება, ხოლო მეორეს — ხის იატაკიან ნაწილს „საწოლი“.

მართალია, „ჯალაბი“ და „საწოლი“ აღნიშნული ტიპის საცხოვრებლის გეგმის განვითარების ამ სტადიაში ჯერ კიდევ არ არის ერთმანეთისაგან ტიხრით გამოყოფილი, მაგრამ ადვილი შესამჩნევია ამისი გარდუვალობა.

აღნიშნული ტიპის საცხოვრებელი სახლების განვითარების შემდეგ საფეხურზე (კოლხეთის ტერიტორიაზე) ჩვენ ვხვდებით „ჯალაბისა“ და „საწოლის“ ერთმანეთისაგან ტიხრით გამოყოფის შემთხვევებს. ჩვენი აზრით, ეს მომენტი ოროთახიანი ტიპიური ოდა-სახლის წარმოშობის ერთ-ერთი ელემენტია.

ამ ტიპის საცხოვრებელ სახლებში ერთ-ერთ მთავარ ხუროთმოძღვრულ ელემენტს წარმოადგენს განიერი ღია დერეფნები, რომლებიც დარბაზის თავსა და ბოლოშია მოქცეული. ჯალაბის მხარეზე არსებულ ღია დერეფანს, ჯალაბის ანალოგიურად მიწური იატაკი აქვს, ხოლო „საწოლის“ მხარეზე კი მისივე მსგავსად ხის იატაკი.

ტიპიური საცხოვრებელი დარბაზი ამჟამად განათებას ღებულობს გრძივ კედლებში მოთავსებულ მცირე ზომის „გადასახედიდან“ (ფანჯრიდან), რაც სრულიადაც არა საკმარისია; როგორც ზეპირი გადმოცემით ირკვევა, სინათლის უკმარისობა დარბაზში გამოწვეულია „გვირგვინის“ გაუქმებით[3].

„გრძელი სახლის“ ინტერიერი ამჟამად ღარიბად გამოიყურება. ინტერიერის მორთულობაში სადღეისოდ საყურადღებო არაფერი დარჩენილა, გარდა რუდიმენტული ფუნქციადაკარგული „გვირგვინისა“ და განიერი ლოგინისა, რომელიც დარბაზის მთელ სიგრძეზეა უძრავად მიმაგრებული.

ამ ტიპის საცხოვრებლის დამახასიათებელი გრძელი ლოგინები ზოგან სრულიად მოხსნილია, რადგანაც მის მხარეზე კედლის ცენტრალური ნაწილი ბუხარმა დაიკავა და მასში შუა ცეცხლმა გადაინაცვლა[4].

„გრძელი სახლების“ უმრავლესობა უკვე აღარ წარმოადგენს ძირითად საცხოვრებელს; ეს ფუნქცია მას დაკარგული აქვს და ახლა გამოყენებულია, როგორც მეორეხარისხოვანი „სამზადი“, ანუ საჯალაბო“ სახლი; ხოლო ძირითადი საცხოვრებლის მოვალეობას ასრულებს მის გვერდით აგებული ტიპიური საცხოვრებელი ოდა-სახლები.

ახლა შევეხოთ „ტიპიური გრძელი“ სახლის გეგმარების ზოგიერთ ინდივიდუალურ ელემენტს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად გვხვდება ჯალაბის მხარეზე არსებული ვრცელი ღია დერეფნის რომელიმე კუთხეში ცალკე დადგმული მცირე მოცულობის ბეღლები — „ჯიროლა“.[5]

---

[1] „უმალ“ ხალხურ დიალექტზე (ძველი შემორჩენილი სიტყვაა) ნიშნავს — უწინ — ადრე.

[2] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, გვიმი არის „ჯურღმულის თორნე წყალთათვის“ („სიტყვის კონა“).

[3] როგორც ჩანს, დარბაზი დღის სინათლეს ღებულობდა აგრეთვე ზემოდან—„გვირგვინიდან“.

[4] ეს მომენტიც აგრეთვე ოროთახიანი ოდა-სახლის განვითარების ერთერთ ელემენტად გვაქვს წარმოდგენილი.

[5] ხალხური ტერმინი „ჯიროლა“, სულხან-საბას განმარტებით, არის პატარა ბეღელი“ (სიტყვის კონა).

საცხოვრებელი სახლის სისტემაში სამეურნეო ნაგებობის აგების უძველესი ტრადიცია მოწმდება აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა მხარეში. მაგალითად, ზემო აჭარაში ზოგიერთ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლის ქვედა სართული უშუალოდ კი არაა გამოყენებული სამეურნეო დანიშნულებისათვის, არამედ ქვედა სართულში სრულიად დამოუკიდებელი ნაგებობაა აგებული. ამის საუკეთესო ილუსტრაციას გვაძლევს ე. წ. „სახლში შედგმული ბოსლები", ასევე თავანის სართულში შედგმული სასიმინდეები და სხვ.[1]

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ „გრძელი სახლის" გეგმის კომპოზიცია, როგორც შესწავლილი მასალებიდან ჩანს (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა), წარმოადგენს გეგმის სიმეტრიული გადაწყვეტის საუკეთესო მაგალითს; რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხური ხუროთმოძღვარ-მშენებელთა მიერ საუკუნეების მანძილზე გამოცდილებითა და დაკვირვებით მიღებული, ურყევ სტანდარტად გამომუშავებული ხალხური მოდულური სისტემა.[2]

როგორც ირკვევა, ხალხური მშენებელი კარგად იცნობს ხის მორის სამშენებლო თვისებებს. ხის მორი უძველესი დროიდან მიღებულია, როგორც ძირითადი სამშენებლო ერთეული, რომლის ზომებთანაა დაკავშირებული ხალხური მოდულური სისტემის ჩამოყალიბება, ამ უკანასკნელმა დიდად შეუწყო ხელი ტიპიური საცხოვრებელი ოდა-სახლის ცენტრალური გეგმარების განვითარებას.

ს ი ვ რ ც ო ბ რ ი ვ ი  კ ო მ პ ო ზ ი ც ი ა. „გრძელი სახლის" გეგმის კომპოზიციის სიმეტრიულობამ განსაზღვრა მისი ხუროთმოძღვრული სივრცობრივი ფორმის სიმეტრიული აღნაგობა.

გეგმისა და სივრცობრივი ფორმის კომპოზიციის ასეთი თანაზომიერი დამოკიდებულება მეტყველებს ხალხური მშენებლების ხუროთმოძღვრული კანონების ცოდნაზე.

„გრძელი სახლის" გვერდის ფასადები როგორც „ჯალაბის", ისე „საწოლის" მხრიდან, ძირითადად, წარმოადგენს ღია დერეფნის, ხუროთმოძღვრულ კომპოზიციას, რომელიც „ხალხური ორდერის" — (არქიტრაულ) ყაიდაზეა ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე შესრულებული, როგორც ჩანს, გვერდის (ტორსული) ფასადების განი არ არის დიდი, ამიტომ ახლო მდგომი მაყურებლის მხედველობის არეში ადვილად ექცევა და მაყურებელიც აღიქვამს მის სივრცობრივ ფორმას, როგორც ერთ მთლიან მასას. „გრძელი სახლის" მთავარ ფასადად ხალხური მშენებლის მიერ აღიარებულია შენობის გრძელი მხარე.

საერთოდ, კლასიკურ არქიტექტურაში ცნობილია, რომ გრძელი შენობის ფასადის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა რთულ ამოცანას წარმოადგენს, რადგანაც გრძელი გეომეტრიული ტონის მთლიანი აღქმა ახლოს მდგომ მაყურებელს ძალზე მოსაწყენ და უფერულ შთაბეჭდილებას უქმნის. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა არქიტექტონიკური კანონების საფუძვლიანი ცოდნა.

„გრძელი სახლის" მთავარი ფასადი შესრულებულია დიდი ხუროთმოძღვრული ალღოთი, ყოველგვარი ხუროთმოძღვრული სამკაულების გარეშე.

---

[1] ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აჭარა, წიგნი პირველი, თბ., 1956 წ. ტაბ. 11.

[2] ხალხური მოდულური სისტემა და „ბიჯი" — a ნაჩვენებია მ. ბუწურაძის საცხოვრებელი „გრძელი სახლის" გეგმის კომპოზიციის მაგალითზე; a = 160—180 სმ.

ფასადის სიბრტყე, მოდულური სისტემის შესაბამისად, დაყოფილია შემდეგი პროპორციით: 2—4—2, რომელიც მოცულობითი მასების საუკეთესო დანაწევრებას იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული მოცულობითი მასების დანაწევრების ხუროთმოძღვრულ-კომპოზიციური ეფექტების მისაღებად ხალხურ მშენებელს გამოყენებული აქვს კონსტრუქციული შვეული ელემენტები: სვეტები, ბოყვები და ნაშთური ჭდობის რელიეფური შვერილები, რომლებიც კედლის ზოლებად დაწახნაგებულ სიბრტყეზე შუქ-ჩრდილის პროფილირებულ შვეულ ზოლებს ქმნის.

როგორც ჩანს, კონსტრუქციული სტრუქტურა, რომელიც აგებულია მოდულურ სისტემაზე და ხის დამუშავების ტექნიკა, რომელიც შეესაბამება „გრძელი სახლის" განვითარების სტადიას, მთლიანად ექვემდებარება ფასადის ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ გადაწყვეტის ძირითად არსს.

„გრძელი სახლის" სივრცობრივი ფორმის განაპირა ჰაეროვანი მოცულობითი არეები, რომლებშიაც ღია დერეფნებია ჩამჯდარი, ფასადს უაღრეს სიმსუბუქესა და სიმეტრიულობას ანიჭებს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ფასადის ლაკონური გადაწყვეტის ერთ-ერთ ელემენტად ხალხურ მშენებელს გამოყენებული აქვს შენობის ასაგებად საგანგებოდ არჩეული რთული რელიეფი, რის გამოც შენობა ისეა აგებული, რომ კლდოვანი ფერდობის ნაწილში, ცალ მხარეზე, შექმნილია ქვედა სართული, რომელიც ტრადიციულად გამოყენებულია სამეურნეო დანიშნულებისათვის. „გრძელი სახლის" სისტემაში ასეთნაირად შექმნილ ქვედა სართულში, როგორც წესი, ტიპიური ბოსელია მოწყობილი.

ნაწილობრივ ორსართულიანობამ გამოიწვია შენობის ცალ მხარეზე მოცულობითი მასების გაზრდა ვერტიკალურ განზომილებაში, რომელმაც ფასადის სიმეტრიული მოცულობითი მასები გამოიყვანა წონასწორობიდან. ასეთი ზომიერი და ხუროთმოძღვრული ნაცადი ხერხებით მიღებულია „გრძელი სახლის" მთავარი ფასადის საუკეთესო ტიპიური ხუროთმოძღვრული კომპოზიცია, რომელიც ჩვენს წინაპართა სამშენებლო ტექნიკისა და ხუროთმოძღვრულ კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს.

კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი უ ლ ი   ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა. ხის დამუშავების მაღალმა კულტურამ განაპირობა მოდულურ სისტემაზე გადასვლა, რომელიც საფუძვლად დაედო ორიგინალური კონსტრუქციის მსუბუქი ასაწყობი შვეული და თარაზული ელემენტების — შენობათა ნაწილების — შექმნას:

„გრძელი სახლის" კონსტრუქციული სტრუქტურის მდგრადობის მთავარ ჩონჩხს წარმოადგენს სვეტებზე და ბოყვებზე მორგებული ზედა და ქვედა სარტყელურ-კოჭოვანი სისტემა. ზემოხსენებული საცხოვრებელი სახლის ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული ელემენტების აწყობა-დაშლის ტექნიკამ, ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე (ერთი სოფლიდან მეორე სოფელში) ადვილად გადატანის პრაქტიკამ დიდად შეუწყო ხელი მის ფართოდ გავრცელებას.

ხალხური მშენებელი მარტივი კონსტრუქციების შემუშავებასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობს გამძლე-მაგარი ხის ჯიშების შერჩევას; განსაკუთრებით გამოყენებულია წაბლის, მუხის, თელისა და სხვა ხის ჯიშები, რომელთაგან დამ-

ზადებული ასაწყობი კონსტრუქციული კვანძები დაშლა-გადატანის პროცესში უდეფორმაციოდ ინარჩუნებენ თავიანთ კონსტრუქციულ ტექნიკურ ღირსებას.

ძველ შენობებში „გრძელი სახლის" საკედლე მასალად გამოყენებულია ხის სხვადასხვა ჯიშის განათალი წახნაგოვანი ძელები ან ფიცრები.

შენობის კუთხეები (გრძივი და განივი კედლების შეერთების ადგილები) ნაშ-თური ჭდობითაა ამოყვანილი, ხოლო ძელის ან ფიცრის მეორე ბოლო კარის ან შუა ბოყვების „დედა" ნარიმანდშია ჩამჯდარი.

ადრინდელ შენობებში საკედლე ძელები ან ფიცრები მოკლეა და დაყენებული ბოყვების რაოდენობაც მეტია, ამას მოითხოვდა ნაჯახით ხის გათლის ტექნიკა.

საკედლე ძელები ან ფიცრები მთელ სიგრძეზე „ცალფა" ნარიმანდით არის შეერთებული და ალაგ-ალაგ „კოტებითაა" ერთმანეთთან დამაგრებული.

ქვედა სართულში ბოსლის კედლებისათვის გამოყენებულია ექვსწახნაგოვანი განათალი ძელები, რომლებიც უნარიმანდოდ არის ერთმანეთზე დალაგებული. ძალების ექვსწახნაგოვანი მოყვანილობის გამო ბოსლის კედლები როგორც გარედან, ისე შიგნიდან არ არის ბრტყელი (რელიეფურია); საცხოვრებელ სართულისათვის კი ექვსწახნაგოვანი ძელები შუაშია გაჭრილი და ბრტყელი, ვარანდული ზედაპირით მოქცეულია შენობის შიგა მხარეზე.

„გრძელი სახლის" კედლის ცალკეულ ფიცრებსა და ძელებზე, ასევე ბოყვებსა და სვეტებზე ხშირად ვხვდებით რომაულ, არაბულ, ქართულ ანბანურ ან კიდევ საზოვან ნუმერაციებს, ასევე ზედა და ქვედა სარტყლების ერთმანეთისაგან გასარჩევ სახოვან ნიშნებს, ზოგიერთი ჭდობის მორგების ადგილებზე მინიშნებულ სხვადასხვა სახის ადვილად მისაგნებ ხაზებს, რომლებიც გამიზნულია დაშლის შემდეგ შენობათა ელემენტების მოსაძებნად და თავ-თავიანთ ადგილებზე აწყობის გასაადვილებლად[1].

ხალხური ხუროთმოძღვრების საგანძურში არის მრავალი ისეთი გამართლებული უკვდავი ტრადიციები, რომლებიც, როგორც უძველესი კულტურის ნაწილი, საუკუნეთა მანძილზე არ იდევნება ერის მომდევნო განვითარებული კულტურიდან.

ასეთ უკვდავ ტრადიციებს უნდა მივაკუთვნოთ გეგმარების ზოგიერთი ის საყურადღებო პროგრესული ელემენტი, რომლებიც ზემოთ გვაქვს განხილული. როგორც შესწავლილი მასალიდან ირკვევა, აღნიშნული ხუროთმოძღვრული ტრადიციები, მიმდინარეობენ საუკუნეთა მანძილზე — უძველესი დგარულ-წნულკედლებიანი საცხოვრებელი სახლებიდან, ვიდრე განვითარებული ოდა-სახლის ტიპის საცხოვრებლამდე.

საჭიროა ამ ტრადიციებისადმი ყურადღების გამახვილება და მათი საფუძვლიანი შესწავლა; უნდა გადავამუშაოთ იგი თანამედროვე სამშენებლო ტექნიკისა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დონემდე, რათა გამოვიყენოთ ისინი ახალი ტიპობრივი პროექტების შედგენის დროს.

**„გრძელი სახლის" განვითარების ეტაპები.** კოლხეთის ტერიტორიაზე, როგორც ირკვევა, ჩვენ დრომდე მოღწეულია „გრძელი სახლის"

[1] საგულისხმოა, რომ ძველ სახლებში ზემოაღნიშნულ სამშენებლო ნიშნები ამოკვეთილია, ხოლო გვიან პერიოდში აშენებულ სახლებში სხვადასხვა ფერის საღებავებითაა გამოსახული.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა




სოფ. სვეთი. ა. ბუწურაძის საცხოვრებელი სახლი











სოფ. შუაქარძმანი. ნ. კუსიანის საცხოვრებელი სახლი

რამდენიმე სახესხვაობა. მათი გეგმებისა და ფასადების კომპოზიციები აღნიშნულ სახესხვაობათა შესაბამისად არის განვითარებული.

ჩვენ მიერ სადღეისოდ ფიქსირებული „გრძელი სახლის" სახესხვაობათა ერთურთისათვის შედარება გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია მათი განვითარების ეტაპების სრული სურათის დადგენა. „გრძელი სახლის" ზემოხსენებულ სახესხვაობათა კომპოზიციები ხალხურ ხუროთმოძღვარ-მშენებელთა მიერ განხორციელებულია შემდეგი სქემების მიხედვით: I სქემა — საცხოვრებელი სათავსო მოქცეულია გეგმისა და ფასადის კომპოზიციის სიმეტრიის ღერძზე (შუაში), რომელსაც თან ახლავს მარცხნივ და მარჯვნივ ღია ტორსული დერეფნები; აღნიშნულ სქემას ახასიათებს შემდეგნაირი წყობა: **დერეფანი — საცხოვრებელი — დერეფანი**; ამ სქემის ქარგაზეა აგებული ზემოთგანხილული გ. ბუწურაძის საცხოვრებელი „გრძელი სახლი"; II სქემა — ღია დერეფანი მოქცეულია გეგმისა და ფასადის კომპოზიციის სიმეტრიის ღერძზე — შუაში), რომლის მარცხნივ და მარჯვნივ მდებარეობს საცხოვრებელი სათავსოები; ეს არის I სქემის საპირისპირო წყობა: **საცხოვრებელი — დერეფანი — საცხოვრებელი.** როგორც ვხედავთ, დერეფანი მოქცეულია შუაში, ამიტომ მას შუადერეფნიანი „გრძელი სახლი" ეწოდება. შუადერეფნიანი „გრძელი სახლი" ორი სახისა გვხდება: ა) ორმხრივი ღია (გამჭოლი სივრცით) შუადერეფნიანი „გრძელი სახლი" ერთმხრივ გადაკეტილი ღია დერეფნით, რომელიც, ლოჯიის ანალოგიურად, „გრძელი სახლის" შუაშია მოქცეული. III სქემა წარმოადგენს I და II სქემის უნიფიკაციას, იგი ხასიათდება შემდეგი წყობით: საცხოვრებელი — დერეფანი — საცხოვრებელი — **დერეფანი — საცხოვრებელი.** ამ სქემაში, როგორც ვხედავთ, ორი შუა დერეფანია საცხოვრებელ სათავსოებს შორის მოქცეული.

IV სქემა — რამდენიმე საცხოვრებელი სათავსო ერთმანეთის მიჯრითაა მთელ სიგრძეზე მიშენებული, ამ სათავსოთა წინ საერთო უმოაჯირო ღია დერეფანია მოწყობილი.

II და III სქემის შესაბამისად აგებულ ხალხურ „გრძელი სახლების" კომპოზიციებში ცხოველ ინტერესს იწვევს დღემდე შემორჩენილი ასეთი ხალხური ტერმინები (გამოთქმები), როგორიცაა: „მარცხენა სახლი", „მარჯვენა სახლი" ან კიდევ „შუა სახლი", აღნიშნულ ტერმინებს ცალკე კვლევა სჭირდება, ვინაიდან საცხოვრებელი სახლის განვითარების პრობლემების შესწავლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური სამშენებლო ტერმინების ეტიმოლოგიის საკითხების გარკვევას, რადგანაც ხშირად ტერმინი განსაზღვრავს შენობის ხასიათს, მის ფუნქციას და ფორმას, იგი ხშირად ნაგებობის განვითარების ეტაპების ნათელ სურათს გვაძლევს. ისტორიულ წყაროებში მოხსენებული ტერმინები „შუა სახლი" და სხვა ამგვარი[1], რომელთა შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ ინტუიციური ახსნა-განმარტებებს ვხვდებით, შესაძლებელია ზემო აღნიშნული ახალი მატერიალური მასალების შუქზე მივიღოთ სავსებით სწორი დასკვნები, რომელთა შემდგომი გამოკვლევა კიდევ უფრო გააფართოებს ჩვენს ცოდნას ამ მიმართულებით.

„გრძელი სახლის" განვითარების ზემოთ განხილული ხუროთმოძღვრული

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946 წ., გვ. 9, 10.

სქემები, რომლებიც დადგენილია დანაზომი და ფოტოდოკუმენტური მასალების საფუძველზე, სრულ წარმოდგენას გვაძლევს მათი ხუროთმოძღვრული განვითარების საფეხურთა შესახებ.

მდ. ყვირილის ზემოდინების საზღვრებში დღემდე შემორჩენილია მხოლოდ I და III სქემის ყაიდაზე აგებული „გრძელი სახლები“; ხოლო, რაც შეეხება II სქემის კომპოზიციის მქონე „გრძელ სახლებს“ სადღეისოდ აქ არსად არ იძებნება, მაგრამ მათი გეგმის იდენტური კომპოზიციები, შუა-დერეფნიანი წნული სასიმინდეების სახით, შემორჩენილია სამეურნეო ნაგებობებში, ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ სასიმინდის გეგმის კომპოზიციაში იგი „გრძელი სახლის“ გეგმიდანაა გადმოტანილი, რაც იმას ადასტურებს, რომ II სქემის ყაიდაზე აგებული სახლები აქ ადრე გავრცელებული ყოფილა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ „გრძელი სახლის“ გეგმარების ხუროთმოძღვრული სქემის ძირითადი მოდულია კვადრატი, რომლის საფუძველზე განვითარდა ხალხური მოდულური სისტემა; კვადრატი, როგორც მოდული, წესისამებრ აღებულია კენტი რაოდენობით — სამი, ხუთი და ა. შ.; ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ასეთი მოდულური წყობა იძლევა გეგმისა და ფასადის სიმეტრიული გადაწყვეტის ნიმუშებს, რაც „გრძელი სახლის“ ხუროთმოძღვრულ კომპოზიციებისათვისაა დამახასიათებელი.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ „გრძელი სახლის“ ზემოხსენებული კომპოზიციები არის განვითარებული ოდა-სახლის წინამორბედი ფორმები, ხოლო მათი განვითარების წარმოდგენილი ეტაპები კი ოდა-სახლის განვითარების პირველი ქვესაფეხურის პოზიტიურ სურათს გვაძლევს და ა. შ.

„გ რ ძ ე ლ ი  ს ა ხ ლ ი ს“  ი დ ე ნ ტ უ რ ი  დ ა  ს ი ნ ქ რ ო ნ უ ლ ი  ტ ი პ ე ბ ი. ზემოთ განხილული „გრძელი სახლის“ ტიპიური სახეები მეტად გავრცელებულია კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე და მის საზღვრებს გარეთაც გვხვდება. „გრძელი სახლის“ იდენტური ტიპები დამოწმებულია სამეგრელოში, ზემო და ქვემო იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, აჭარაში, აფხაზეთში და სხვ.

II სქემის მიხედვით აგებული „გრძელი სახლის“ ანალოგიური ხუროთმოძღვრული კომპოზიციები ფიქსირებული იქნა ჩვენ მიერ სამეგრელოსა და იმერეთში ჯერ კიდევ 1947—1948 წწ.[1]

„გრძელი სახლის“ იდენტური ტიპები შესწავლილი აქვს აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნოგრაფ ი. აჯინჯალს[2], მის ნაშრომში ინტერესს იწვევს აბორიგენული მოსახლეობის ყოფაში ისეთი ძველი ტრადიციების არსებობის დადგენა, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს „გრძელი სახლის“ ზოგიერთი სქემის გეგმისა და ფასადის ხუროთმოძღვრული კომპოზიციის განვითარებაზე. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ტიპიურ „გრძელ სახლებს“ ადრე კედლები წნული ჰქონდა. საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, საწარმოო იარაღების განვითარების შესაბამისად, გვიან პერიოდიდან დაწყებული დღემდე გვხვდება — ჯარგვალური, ძელური, ფიცრული და შერეული კონსტრუქციული სტრუქტურის „გრძელი სახლები“.

აფხაზეთში დღესაც შემორჩენილია ისეთი სახლები, რომელთა კედლები მოწ-

---

[1] ი. ადამია, კოლხეთის საბინაო ხუროთმოძღვრება, (სადისერტაციო შრომა, წარდგენილი არქიტექტურის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 1948 წ.

[2] И. Аджинджал, жилища Абхазов, АБГОСиздат — 1957 г.

ნულია ქერქგაცლილი შქერის წნელისაგან, რომლის გამძლეობა 120—140 წელს აღემატება.

ა. მილერს[1] და არტურ ბიჰანს[2] შესწავლილი აქვთ აგრეთვე აფხაზეთის მეზობელი ტომების საცხოვრებელი სახლები, რომლებიც „გრძელი სახლების" იდენტურ ტიპებს წარმოადგენენ. საყურადღებოა, რომ ჩერქეზებისა და ყაბარდოელთა „გრძელი სახლებიც", მსგავსად აფხაზებისა, აგებულია წნელისაგან.

„გრძელი სახლის" გეგმისა და ფასადის კომპოზიციური სქემის მსგავს ტიპებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე აჭარის მთიანეთში იალაღებზე აგებული მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობის ერთ-ერთი სახე, რომელიც „ძირთული ჯარგვალის" სახელწოდებით არის ცნობილი[3]; ასევე ანალოგიური გეგმის კომპოზიციას წარმოადგენს „მესხური ქოხებიც".

ზემოთგანხილული „გრძელი სახლის" იდენტური ტიპები (იმერეთიდან) ვრცლად აქვს განხილული პროფ. მ. გარაყანიძეს, მასვე ფიქსირებული აქვს სამეურნეო ნაგებობათა ისეთი ტიპები, რომელთა გეგმებისა და ფასადის კომპოზიციები იმეორებენ ზემოთგანხილული „გრძელი სახლის" — II სქემას[4].

საყურადღებოა აგრეთვე ვ. გაგოშიძის მიერ ფიქსირებული ხალხური საცხოვრებელი სახლების ძველი ტიპები „კათხა სახლის" სახელწოდებით, რომლებიც გავრცელებულია ამბროლაურის რაიონის მთის სოფლებში.[5]

აღნიშნული საცხოვრებელი სახლები თავიანთი ხუროთმოძღვრული კომპოზიციებით ზემოთგანხილული „გრძელი სახლის" მეტნაკლებად იდენტურ ტიპებს წარმოადგენს.

ზემოთგანხილული ხალხური საცხოვრებელი სახლის („გრძელი სახლის") ხუროთმოძღვრული კომპოზიციის გრძივი მიმართულებით განვითარება როგორც იდენტური ტიპებიც გვიჩვენებენ შემთხვევითი არ არის, არც მეზობელ ქვეყნებთან კულტურულ ურთიერთობის ზეგავლენით არ ყოფილა ჩამოყალიბებული, ან კიდევ უცხოური ფორმის მექანიკურად შემოტანის საკითხიც, რა თქმა უნდა, გამორიცხულია.

ეს არის ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული თვითმყოფადი კოლხური კულტურის განვითარების ერთ-ერთი ელემენტი; სახელდობრ ის არის ქართული ხალხური საცხოვრებელი სახლის განვითარების ერთ-ერთი ეტაპის დამახასიათებელი ხუროთმოძღვრული კომპოზიცია.

საყურადღებოა აგრეთვე მეზობელ და შორეულ ქვეყნებში დამოუკიდებლად განვითარებული „გრძელი სახლის" კომპოზიციების პარალელების არსებობა. ამ სახის სინქრონული ხალხური ნაგებობები ცნობილია ამერიკის კონტინენტზე — აბორიგენული ძველი ტომების, სენეკა-იროკოზების, იოკუტებისა და სხვათა სა-

---

[1] А. Миллер, Черкесские постройки, Материалы по этнографии России, I, II, 1914.

[2] Arthur Byhan, Civilisation, Caucasienne, Paris 1936 стр. 142

[3] თ. ჩიქოვანი, მთური ჯარგვალი ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის შუქზე (კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული), თბ., 1964 წ. გვ. 11, 20.

[4] М. Гараканидзе, Грузинское деревянное зодчество, Москва, 1959 г., таб. 45, 47, 48, 55.

[5] В. Гагошидзе, Древнейшие типы жилых домов западной и восточной Грузии, (მაცნე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო № 1) თბ., 1965 წ., გვ. 279---282.

ცხოვრებლების სახით, რომლებიც დაწვრილებით შესწავლილი აქვს ლ. გ. მარგანს[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე უნდა დავძინოთ, რომ აღნიშნულ საცხოვრებელთა გეგმის სინქრონულ კომპოზიციებს თუ გადავავლებთ თვალს, აშკარად დავინახავთ, რომ ისინი ჩვენებური „გრძელი სახლის" გეგმის კომპოზიციის ყაიდაზეა აგრეთვე გრძივი მიმართულებით განვითარებული.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ საცხოვრებელთა სინქრონული ნაგებობის უმრავლესობა ცნობილია აგრეთვე „გრძელი სახლის" სახელწოდებით.

სხვადასხვა შორეულ ქვეყნებს შორის საცხოვრებელთა ფორმების ასეთი ვრცელი მასშტაბის სინქრონული ტიპების არსებობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ არ არის ერთიმეორის მიბაძვითა და გავლენით გამოწვეული. თავდაპირველად ეს იმით აიხსნება, რომ „ადამიანის რასის ისტორიას ერთი და იგივე საწყისები აქვს, ერთიანია იგი თავისი გამოცდილებითა და პროგრესით",[2] მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობისა და დამოკიდებულების გარეშე.

---

[1] Л. Г. Марган, Дома и домашняя жизнь американских туземцев, Ленинград, 1934 г. стр. 40—50.

[2] Л. Г. Марган, Древнее общество, Ленинград, 1935 г., стр. 3.



სახლი კიბალჩიჩის აღმართის დასაწყისში. შესრულებულია 1938 წ. კ. მელითაურის მიერ



თბილისური აივნის კაპიტელი ნახ. კ. მელითაურისა

კონსტანტინე მელითაური
არქიტექტურის კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისური აივნები

მეცხრამეტე საუკუნის თბილისი იმდენად დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა ადამიანზე, რომ ბევრ მის მნახველს განცდილი გრძნობით აღტაცებული სტრიქონები დააწერინა. ბუნებრივი მდებარეობის გარდა ქალაქი წარმტაცი იყო მთის კალთებზე შეფენილი, აივნებით დამშვენებული სახლებით. ბუნებრივმა გარემომ ძველთაგანვე შეამუშავებინა ადამიანს დერეფნის, ქორედის და აივნის ბინის გეგმაში ჩართვის აუცილებლობა. საუკუნეთა მანძილზე ქართველმა ხით ხუროებმა არ დაზოგეს თავიანთი უნარი ბინის ამ ნაწილის შესანიშნავ მოკაზმვისათვის. საგულისხმოა, რომ დერეფან-აივნის მარტო უშუალოდ გეგმაში ჩართვით არ დაკმაყოფილებულა ქართველი მშენებელი და იგი მეტყველი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ელემენტი გახადა, ხის გადმოკიდული და გადახურული აივნის სახით. ამ აივნებს თბილისელი ხუროები განსაკუთრებული სიყვარულით ამუშავებდნენ და ეზოს მხარეზე მოთავსებულ აივნებთან შედარებით, მათი მრავალფეროვანი ნიმუში შექმნეს. სწორედ ეს აივნები ამშვენებდნენ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს, მთის კალთებზე წამოჭიმულ სახლებს შნოს აძლევდნენ, მთელ ქალაქს საკუთარ მხატვრულ-ხუროთმოძღვრულ იერს ანიჭებდნენ. მაგრამ ეს აივნები ქუჩის ცხოვრების წიაღშიაც იჭრებოდნენ. აივანზე გამოსული შეიძლებოდა ქუჩაში მომხდარი ყოველი ამბის მონაწილე გამხდარიყო, რის გამოც მაჰმადიანური სამყაროს „ეივანი"-საგან განსხვავებით მას „ჩადრი მოხსნილი" ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ გადმოკიდებული და გადახურული აივანი საქართველოში შორეული წარსულიდან იყო ფეხმოდგმული, რის უტყუარ მაგალითს უბისის მონასტრის 1141 წ. „სვეტი" წარმოადგენს.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ და თბილისის მთელი ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად გახდომამ ხელი შეუწყო აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული ქალაქის სწრაფ აღდგენას. მე-19 ს. დასაწყისიდანვე დაიწყო თბილისში გვიან რუსული კლასიციზმის ნაგებობის შენება, როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეთა მიერ. რადგანაც კერძო მშენებლებს მხოლოდ დამტკიცებული პროექტით შეეძლოთ მშენებლობის წარმოება, საჭირო გახდა სათანადო საბუთების შედგენა ტექნიკოსების (უმეტესად კონდუქტორების — მესანგრე უნტეროფიცრების) საშუალებით. პროექტი მეპატრონის მოთხოვნილებას ითვალისწინებდა, მათ შორის ქუჩისკენ გადმოკიდულ და გადახურულ აივანსაც. მცირე მასშტაბში შესრულებული ნახაზი მხოლოდ ძირითად ხუროთმოძღვრულ დეტალებს ასახავდა და აივანიც ამიტომ ძალზე სქემატურად იყო წარმოდგენილი. ასეთ ვითარებაში ხით ხუროები ხორცს ასხამდნენ შიშველ სქემას და ამით საკუთარ შემოქმედებას გზას აძლევდნენ. სახლების მშენებლობის ამგვარმა წესმა ხალხური შემოქმედების მძლავრი ნაკადი შეიტანა ქალაქის მშენებლობაში,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



უბისის 1141 წ. სვეტი. აღდგენა კ. მელითაურისა

რითაც გვიანკლასიციზმს თავისი თბილისური ელფერი დაადო. ეს გარემოებამ მკვეთრად და მრავალფეროვნად თბილისურ აივნებში აღიბეჭდა.

აივნის ძირითადი კონსტრუქცია წარმოდგენილია: მზიდავი ნაწილით, მალით და გადახურვით. მათგან მალია მთავარი და მხატვრულად ზემოქმედია. იგი ორ ძირითად სახეს იძლევა: არქიტრავულს და სვეტებიან-თაღიანს. არქიტრავული გადაწყვეტა მარტო სვეტებითაა წარმოდგენილი, რომელსაც ზოგჯერ აჟურული სამკაულიც ერთვის. აჟური ან არშიის სახით გაჰყვება არქიტრავს ან სვეტებს შორის მსუბუქ თაღადაა ჩადგმული. განსაკუთრებით მიმზიდველია სვეტიან-თაღიანი მალები, რომელნიც ორ ძირითად სახეს იძლევიან: ხშულთაღიანსა და აჟურულთაღიანს. ძალზე გავრცელებულია ხშულთაღიანი მალი, რომელიც მძლავრ მასიურ კონსტრუქციას ასახავს და თაღის მოწერილობის მიხედვით გვხვდება: ნახევარწრიული, სამყურა და რთული. რაც შეეხება აჟურულ თაღიან მალს, იგი ცოცხალი და ჰაეროვანია, ორნამენტი კი — ქართული სახვითი ხელოვნების ნიმუშებზე აქვს აგებული. აღსანიშნავია, რომ ეს კონსტრუქცია განსაკუთრებით კარგად ერწყმის ხვია სვეტს და მთლიანად აივანი ძალზე მსუბუქი და მოძრავი გამოდის. აივნის მალის გამშვენებაში დიდი მნიშვნელობა მოაჯირსაც ენიჭება. მისი მრავალსახეობა კონსტრუქციის მიხედვით სამ ნაწილად ჯგუფდება: რიკულებიან, ძელებისაგან შედგენილ და ფიცრულ მოაჯირად.

აივნის მზიდავი ნაწილი ხშირად მარტივადაა წარმოდგენილი და კედელში ჩამაგრებული ფილის სახე ეძლევა; ხშირია კონსოლებიანი აივნებიც, რომელნიც ტექტონურად უფრო სრულყოფილია. განსაკუთრებით ეს იგრძნობა იმ შემთხვევაში როცა კონსოლები ხშულია და ტოლწინაღობის კონსოლის სახე აქვთ. აჟურული, ჩუქურთმით შესრულებული კონსოლი კი მსუბუქია და დეკორატიული. რაც შეეხება აივნის გადახურვას, იგი ან კოზმიდიან ანტაბლემენტითაა წარმოდგენილი ან მარტივად, განზე გატანილი სიბრტყის სახეს ატარებს, რომელსაც გარს უვლის თუნუქის აჟური ფესტონების ან გადაბმული წრეების არშიის სახით. ზემოთ თბილისური აივნების სახეობათა მარტო აღნუსხვაა მოყვანილი, მაგრამ ამაზე გაცილებით მეტია მისი მრავალფეროვანი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული გამოსახვის ხერხები. საჭიროა მათგან ზოგიერთ მნიშვნელოვანზე მაინც შევჩერდეთ.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს აივნის სვეტი. მისი ღერო ზევით ვიწროვდება და დიდი თანაფარდობის გამო მთელი ორდერი მსუბუქი, ტანწვრილია. თავისებურია სვეტის ბაზაც, რადგანაც კვადრატულ პლინტზე დადგმული მრგვალი ტორუსის გარდა, გააჩნია სალტემოვლებული ყელიც. ბაზის ძირითადი გადაწყვეტა პლასტიკურად დამუშავებულია ღარების, თაროების და ლილვების დართვით, რაც ზოგჯერ ყელის მთელ არესაც იჭერს. აღსანიშნავია, რომ ბაზის დამუშავება ხშირად გარედან მოხილვის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს, განსაკუთრებით როდესაც აივანს აღმართიანი ქუჩა აუყვება, ან იგი ძალიან დაბლაა მოთავსებული. რაც შეეხება სვეტის თავს, რომელიც ტოსკანური ორდერის კაპიტელის ძირითად ელემენტებს იმეორებს, ოსტატებმა მას თავისი ელფერი დაადეს. კაპიტელმა თავისებური რვაწახნაგოვანი სახე მიიღო და იმდროინდელ მთელ თბილისში გავრცელება მოიპოვა. ეს კაპიტელი წარმოდგენილია ქამარმოვლებული ყელით. მისი ქამარი ღარით, თაროთი და მეოთხედი ლილვითაა დანაწევრებული, თვით ყელი კი უფრო მაღალია ბაზისაზე და სვეტის თავითაა

დაგვირგვინებული. კაპიტელის სალტე ხაზგასმულადაა აღნიშნული ღარითა და თაროთი. სალტე წრიულია და მთელი სვეტის უკანასკნელი მრგვალი ელემენტია. აქ წყდება ხარატის ხელით დამუშავებული დეტალები და მის ზემოთ ხის ხუროს მიერ შესრულებული რვაკუთხედის ფორმებია წარმოდგენილი. კაპიტელის ექინი გადმოცემულია რვაკუთხოვანი პრიზმის სახით, რომელსაც გადამრგვალებული კუთხეები აქვთ. ექინზე მოთავსებულია რვაკუთხოვანივე აბაკი. იგი დაყოფილია



კოჯრის ქ. № 5. ნახ. ლ. ჰაჯიბეილისა

ღარით, თაროთი და მეოთხედი ლილვით. მოყვანილი დანაწევრება თითქოს ერთ-ფეროვანია, მაგრამ თვითეულ ნაწილს სხვადასხვა ელფერი აქვს მიცემული მისი სიმაღლეზე ან სიგანეზე განვითარებით. ამის წყალობით კაპიტელს მეტ-ნაკლე-ბად ან დაუდეგარი, მოძრავი სახე ეძლევა ანდა წყნარი, თანაც ნაზი ფორმის მო-წერილობა, ყურადღებას იპყრობს რვაკუთხოვან აბაკზე დაყრდნობილი ხშული თა-

ღები, რაც რბილ, სასიამოვნო გადასვლას იძლევა. აქ არ არის თვალის მომჭრელად გამოწვეული კვადრატული აბაკის კუთხეები, რომელნიც იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებიან ხშულთაღიან აივანში. მიმზიდველია რვაწახნაგოვანი ექინისა და მრგვალი სალტის მიერ წარმოშობილი ჩრდილ-სინათლის თავისებურებამ მცხუნვარე მზის შუქი და ჩრდილი აქ ვიწრო ზოლებად ლაგდება: ამით მზერის დროს ფორმები თავის ძირითად სახესაც ინარჩუნებენ და ფერების სასიამოვნო გადასვლებსაც იძლევიან. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სვეტი, როდესაც ხშულთა-



აივნის ანაზომი პლეხანოვის გამზირზე.     ნახ. ნ. ლ. ჩუბინიშვილისა

ღიან მალშია ჩართული და ხშულ კონსოლსაც ეყრდნობა, მაღალმხატვრულ, ტექტონურად დახვეწილ აივანს გვაძლევს. ეს ის აივანია, რომელსაც საფუძვლად უდევს თბილისური ორდერი ე. ი. აღწერილი სვეტიან-ხშულთაღიანი სუროთმოძღვრული გადაწყვეტა. ამ თბილისურ ორდერში, განსაკუთრებით ადრე-

ულ ნიმუშებში, ვხვდებით თავისებური ელემენტის გამოყენებას, რომელიც სამყურა ხშულთაღიან გადაწყვეტაში ჩანს. სვეტის ასწვრივ სამკაულია თაღზე მიკრული, რომელიც ხან სახეებით შემკულ არშიას, ხან ხისაგან გამოთლილ პლასტიკურ ნაკვთს წარმოადგენს. მომდევნო ხანის აივნებში ეს სამკაული პაწაწინა ტოსკანური სვეტის სახითაა მოცემული. ასე გამშვენებული აივანი ადამიანში გაოცებასთან ერთად ერთგვარ აღტაცებასაც იწვევს.

საგულისხმოა თავისი დამახასიათებელი კოლორიტით და მრავალფეროვნებით არქიტრავული გადაწყვეტის ის მაგალითებიც, რომელთაც დართული სამკაული აქვთ, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით და განვიხილავთ მხოლოდ ხვიასვეტიან აივნებს.

ხვიასვეტიანი აივნები განხორციელებულია აჟურულ თაღთან ერთად და როგორც წესი, ხშულკონსოლებზეა დაყრდნობილი. კონსტრუქციულმა სისუსტემ და სხვა პირობებმა თითქმის მთლიანად მოსპო აივნების ეს თვალწარმტაცი სახე. ხვიასვეტის ღერო ოთხი მანისაგან შედგება, რომელთა კონა ზემოთ საათის ისრის მიმართულებით იგრიხება. ღერო პრიზმატულ კვარცხლბეკზეა დაყრდნობილი, რომელიც ხუროთმოძღვრულად მოაჯირს ერწყმის. კაპიტელის წაგრძელებული სხეული ორნამენტითაა დაფარული და ოთხი ვოლუტითაც მშვენდება. ვოლუტი ფოთოლს ან მტრედის თავს წარმოგვიდგენს, მთლიანად კაპიტელი კი — ხის მოჩუქურთმების შესანიშნავ ნიმუშს. სვეტებზე პროფილირებული დგარებია მოთავსებული, რომლებიც ჭერის გამაგრების გარდა თაღოვან აჟურს იკავებენ, თანაც ხუროთმოძღვრულად ერწყმიან მათ. თაღი არქივოლტითაა მოტარებული, რომელიც ან სამყურას ან უფრო რთულ ფორმას იძლევა. თაღის შევსება განხორციელებულია ფიცრით, რომელშიაც ამოხერხილია ქართული სახვითი ხელოვნების ნიმუშებზე აგებული ჩუქურთმა. ამ მსუბუქ, მაგრამ ძალზე მოძრავ აივნის მალებს მტკიცედ იჭერენ კონსოლები, მთელი ნაგებობა კი — წარუხოცელ შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანზე.

საყურადღებოა, რომ თბილისურმა აივანმა ზოგან ფსევდო-კლასიკასა და მოდერნის მშენებლობაშიაც კი შეაღწია. რაც შეეხება ფსევდო-კლასიკას — მან თბილისური ხის აივნის მშენებლობაშიაც თავისებური სახე შექმნა და გაავრცელა მე-19 ს. მიწურულის ქალაქის თითქმის მთელ სახლებში. აღსანიშნავია, რომ იმავე მშენებლობამ ხის აივნების ზეგავლენით რკინისა და სხმული თუჯის გადმოკიდული და გადახურული აივნები წარმოშვა.

საბჭოთა ბინათმშენებლებს უნდა გადაეჭრათ რიგი ახალი და ძნელი საკითხი, რომელიც ეხებოდა ფუნქციურ, კონსტრუქციულ, მხატვრულ და სხვა მრავალ საკითხს. ხუროთმოძღვრული შემოქმედების ეს რთული გზა დაგვირგვინდა 1949 წ. ჭავჭავაძის პროსპექტზე საცხოვრებელი სახლის აგებით (არქიტექტორები ქეთევან ფორაქიშვილი და ივანე ჩხენკელი). სახლის ფასადი გამშვენებულია კონსოლებზე დაყრდნობილ რკინა-ბეტონის აივნით, რომელიც მესამე და მეოთხე სართულს აჰყვება. სვეტებს შორის მოთავსებულ მალს ტიხრავს ბეტონის თხელი სიბრტყე, რომელშიაც მაღლა აწვდილი სამი თაღია გაჭრილი თვით სიბრტყე კი მშვენდება ნაზი ორნამენტითა და გვირგვინდება მოხდენილი ტეხილი ფრონტონით. მსუბუქმა და დახვეწილმა ფორმებმა, ელემენტების დამუშავებაში ძველი ხუროობის ალღოს აღებამ ამ აივანს სპეციფიური, თბილისური იერი მისცა. გაშლილი საბინაო მშენებლობა ბევრ ახლად



თბილისური აივანი. ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის ქუჩების კუთხე

ფოტო ი. გილგენდორფისა.



თბილისური აივანი. დადიანისა და ენგელსის ქუჩების კუთხე

ფოტო ი. გილგენდორფისა

დასმული საკითხის გადაჭრას მოითხოვს და მასში როგორ აისახება თბილისის ხუროთმოძღვრება, ამას მომავალი დაგვანახვებს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ თბილისური ხის აივნები სიცოცხლეს და შუქს აძლევენ ქალაქის ძველ უბნებს, ქუჩებსა და თვით სახლებს. ძველი სახლს ხის აივანი მოაცილეს, გაშიშვლებული და უბადრუკი გახდა, რადგანაც თვით შენობის ხუროთმოძღვრული დამუშავება უმეტესად ღარიბი იყო და გამშვენების მთელი ძალა აივნის მოკაზმვაში გამოიხატებოდა. ამიტომ ძველი ქალაქის სახის დაცვა-შენახვა უდრის ხის აივნების, თანაც ძველი თბილისის ხუროთმოძღვრული ენის, შენარჩუნებას. ჩვენ დიდი ერთგულებით უნდა დავიცვათ თბილისის ძველი უბნების ამსახველი სახლები აივნებითურთ და ისეთივე გულმოდგინებით მოვეკიდოთ მათ დაცვას, როგორც ამას თბილისის უძველესი ტაძრის — ანჩისხატის, ანდა უძველესივე საერო ნაგებობის — როსტომ მეფის აბანოს მიმართ ვაკეთებთ. თბილისის ძველი სახლების დაცვას რომ ერთგვარი ყურადღება ექცევა ეს ცხადია, მაგრამ იგი არც საკმარისი და არც სრულფასოვანია. მაგალითად კიბალჩიჩის აღმართის დასაწყისში გვიანი კლასიციზმის ძალზე საგულისხმო სახლია აგებული, როგორც გეგმით, ისე მხატვრულ-ხუროთმოძღვრული გადაწყვეტით. იგი საზეიმოდ ხვდებოდა აღმართზე მიმავლებს, ამასთანავე ერთად რიყის ქუჩის ერთი მხრიდან შეიძლებოდა მისი ცქერით დატკბობაც. ახლა ბარათაშვილის სახელობის ახალი ხიდის აგებასთან დაკავშირებით ეს სახლი წინა მხარეს მთლიანად გაიხსნა და მისი მოხილვის არე გადიდდა. როგორც ჩანს ამ გარემოებას ანგარიში ვაუწიეს და სახლი შეაკეთეს, რითაც სახლი და მისი ხის აივანიც კონსტრუქტიულად გაჯანსაღდა. სამაგიეროდ სიცოცხლე და ლაზათი დაჰკარგა, რადგანაც სტანდარტულ საღებავით შეიღება. მაგრამ ამ აღდგენას უფრო სამწუხარო გარემოებაც მოჰყვა მშვენიერი რიკულებიანი მოაჯირი ულაზათო აფიცვრამ შეცვალა. სამწუხაროდ, ეს ერთი შემთხვევა არ არის, როდესაც აივნების შესანიშნავ მოაჯირს უბრალო აფიცვრა ცვლის. ჩვენ მიზნად უნდა დავისახოთ ძველი თბილისის სახლებთან ერთად შევინარჩუნოთ მათი აივნებიც. ამასთან მხატვრული სახის შეუცვლელად. ამას უნდა მოითხოვდეს ჩვენი შეგნება.



ქართლი. სოფ. რკონი

ლონგინოზ სუმბაძე

არქიტექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მცხეთის დარბაზის გვირგვინი. კალმით ნახატი ლ. სუმბაძისა

## ჩუქურთმა ხეზე ხალხურ ხუროთმოძღვრებაში

ჩუქურთმით ანუ რელიეფური ორნამენტით შემკობა დიდი ტრადიციების მქონე დარგია ქართველი ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში. ქართული ხელოვნების უძველესმა ნიმუშებმა, განსაკუთრებით ბრინჯაოს ხანიდან, მრავლად შემოგვინახეს ორნამენტული შემკულობის ბრწყინვალე მაგალითები ლითონზე, კერამიკულ ნაწარმზე, ავეჯზე... განსაკუთრებული გამოყენება ჩუქურთმისა ხუროთმოძღვრების დარგში დაიწყო ანტიკური ხანიდან, ზენიტს კი მოწიფულ შუა საუკუნეებში მიაღწია.

ქართველი ხუროთმოძღვრის, ქვითხუროსა თუ ხითხუროს ხელში ჩუქურთმა წარმოადგენდა შენობის მხატვრული შინაარსის გამომჟღავნების უძლიერეს საშუალებას. ჩუქურთმის მოხაზულობა და თემა, შესრულების ტექნიკა და ორნამენტის ნახატი, შემკული ელემენტების განაწილება ფასადების სიბრტყეებზე — იცვლებოდა, ვითარდებოდა ხუროთმოძღვრულ ფორმებთან ერთად, ხდებოდა ეპოქის ახალი იდეების მამჟღავნებელი. ამის გამოა, რომ ჩუქურთმის ხასიათი ხშირ შემთხვევაში გვაძლევს ძეგლის საკმაოდ ზუსტი დათარიღების საშუალებას: მხატვრულ ნამოქმედარს ეპოქის ღრმა ბეჭედი აზის.

ხეზე კვეთილობისა და ქვის ჩუქურთმის უძველესი ნიმუშების შედარებას ქართულ ძეგლებში მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ხეზე კვეთა უნდა უსწრებდეს ქვის ჩუქურთმას, ისე, როგორც ხის შენობები — ქვის შენობებს. ამის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ უფლისციხის ერთ-ერთი გამოქვაბულის ჭერის მხატვრული დამუშავება ხის კონსტრუქციული სისტემისათვის მიბაძვით, ანდა ტიპიური ხის ჩუქურთმისათვის დამახასიათებელი ხერხებით ამოკვეთილი ორნამენტი, თუნდაც ბოლნისის ტაძარში.



ბუნებრივია, რომ ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუშებში წამყვანი ადგილი ხეში კვეთას უჭირავს, მონუმენტურ ძეგლებში კი — ქვაზე ჩუქურთმას. ჩუქურთმისათვისვარგისი თლილი ქვა, არ წარმოადგენდა ხელმისაწვდომ და ადვილად დასამუშავებელ მასალას ფართე მოსახლეობისათვის. ეს აზრი უგამონაკლისო დებულება როდია. მონუმენტურ ხუროთმოძღვრებაშიც მოგვეპოვება ხეში კვეთის ბრწყინვალე ნიმუშები, თუნდაც სვანურ ეკლესიათა კარების სახით. მეორეს მხრივ, ხალხურმა ხუროთმოძღვრებამაც საკმაოდ შემოინახა ქვაზე კვეთის ნიმუშები, შესანიშნავად გააზრებული და შემკული ბუხრების სახით სამცხეში, თრიალეთში, იმერეთში და სხვ.

ორნამენტული შემოქმედების განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენდა ალებასტრში (გაჯში) ამოკვეთილი ჩუქურთმა, რომლის შესანიშნავი ნიმუშებიც დავით გარეჯის გვიანი პერიოდის საცხოვრებელმა ქვაბებმა შემოინახეს.

ამ მოკლე წერილში ჩვენ გვინდა თვალი გადავავლოთ ხეზე კვეთის ნიმუშებს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლებში, გავარკვიოთ შეძლებისამებრ ჩუქურთმის ადგილი ქართველი გლეხის საცხოვრებელ სახლში, გამოვავლინოთ ხალხურ დიდოსტატთა ის ბრძნული პროფესიული ხერხები, რომელთა წყალობითაც შეიქმნა ხუროთმოძღვრული ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშები. ანალიზის საფუძვლად ავიღოთ ოთხი ძირითადი ობიექტი: ქართლური დარბაზი, მესხური დარბაზი, დასავლურ-ქართული ოდა და საქართველოს მთიანეთიდან — სვანური მაჩუბი. მათი ერთმანეთთან შედარება დაგვარწმუნებს, რომ მიუხედავად მათი საერთო — ქართული ტრადიციებისა, რომელთაც საუკუნეების სიღრმეში აქვთ ღრმად გამჯდარი ფესვები, ყველა მათგანს ახასიათებს განსაკუთრებული თავისებურება, გამოწვეული სოციალურ-ეკონომიური, ისტორიული, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, გამოყენებული სამშენებლო მასალის სპეციფიკით. უპირველეს ყოვლისა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩუქურთმით დამუშავება საქართველოში არ ისაზღვრებოდა მხოლოდ საცხოვრებელი სახლით. ორნამენტული სამკაულით უხვად იფარებოდა აგრეთვე ავეჯი: სავარძლები, სკამ-ლოგინები, სკივრები, კიდობნები, აკვნები, ტაგრუცები, მუსიკალური ინსტრუმენტები (ჩონგურები, სალამურები), ჭურჭელი (მხედველობაში გვაქვს ხისგან დამზადებული), ძაფის დასახვევი ფირფიტები და სხვ. ამგვარად მყარდებოდა სახლსამყოფის ხუროთმოძღვრულ ელემენტებსა, ავეჯისა და ნივთების ფორმებს შორის მხატვრული სტილისტური ერთიანობა, ანსამბლურობა, მთავარი და დაქვემდებარებული ელემენტების ურთიერთ შეთანხმება. დარბაზის დედაბოძსა და საუფროსო სკამს შორის, სვანურ „გვალსა“ (თაღებგამოჭრილ ხის კედელსა, რომელიც საქონლის სადგომს გამოყოფს საცხოვრებელიდან) და კიდობანს შორის მაშტაბურ ურთიერთობას ჩუქურთმა ამყარებს. ხაზგასასმელია კიდევ ერთი თავისებურება: თუ აღმოსავლეთ საქართველოს დარბაზებში და სვანურ მაჩუბში ჩუქურთმა თითქმის უგამონაკლისოდ მხოლოდ შიგნით სივრცეშია გამოყენებული, დასავლეთ საქართველოს ოდებში სამკაულით უმთავრესად აივნის ბოძები და თავხეები იფარებოდა.

როგორც ერთი, ისე მეორე სახის ძეგლებში ჩუქურთმა წარმოადგენს შენობის მხატვრული გამომეტყველების ორგანულ ნაწილს, მისი გამოყენება მუდამ საერთო ხუროთმოძღვრულ-მხატვრული გადაწყვეტის შესაფერისად ხდება, ადგილობრივ თავისებურებათა გონივრული გათვალისწინებით.

ქართლური დარბაზის ინტერიერის მხატვრულ სახეში წამყვანი როლი დედაბოძს ენიჭება. დარბაზი დიდი ოჯახის სახლსამყოფია, ერთი მთლიანი სივრცით, მიწურ-ბანიანი გადახურვითა და მაღალი გვირგვინით. შინაგანი სივრცის დიდი სიგანის გამო იგი აუცილებლად საჭიროებდა შუალედ საყრდენებს. ბოძი შინაგან სივრცეში აუცილებელი ელემენტი გახდა აღმოსავლურ-ქართული ინტერიერისა. ერთბოძიანი სისტემა (ერთი ბოძის ჩადგმა ბალის შუაში), კარგად გამონაკვთული ჩანს ჯერ კიდევ ქვაცხელების სახლსამყოფში, რომლის ხნოვანებაც ხუთი ათასი წლით ისაზღვრება.

ამიტომ უწოდა ქართველმა ხალხმა შუაში, კერის წინ მდგარ ბოძს — დედაბოძი. ბესხური რწმენით დედაბოძად თავდაპირველად ცოცხალ, ფესვებიან, ტოტებგადაჭრილ ხეს იყენებდნენ. ამიტომ დაუკავშირა ქართველმა ხალხმა პოეტურ თქმულებებში მცხეთის დიდებული კათედრალის აშენება ცოცხალ, „ცხოველ“ სვეტს.

ქართლური დარბაზის სამი ძირითადი სისტემიდან: ორბოძიან, სამბოძიან და ოთხბოძიან ფორმიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ორ და სამბოძიანი სისტემები, სადაც დედაბოძი დარბაზის სიგანის შუაში დგას, კერის წინ, გვირგვინიდან განათებული წინა სიბრტყით. სამბოძიან სისტემაში, რომლის მხატვრული სრულყოფაც ქართველ ხითხუროებს ხვდათ წილად, ორბოძიანი ინტერიერის წინა, ზურგით მდგარი ბოძი შეცვლილია ორი, აქეთ-იქით მდგარი საყრდენით იმისათვის, რომ სახლში შემოსულმა პირველად დედაბოძი დაინახოს, მისი ფართე, ჩუქურთმებით შემკული მკერდი.

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით გამონაკვთული შინაგანი სივრცის ამ თავისებურებებმა, განსაკუთრებით ზედა განათებამ (გვირგვინის ერდოდან), ერთბოძიანმა კონსტრუქციულმა სისტემამ და ფოთლოვანი მაგარი ჯიშის ხეტყის გამოყენებამ განაპირობეს ინტერიერის გადაწყვეტის ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ხერხების ბევრი თავისებურება. მრავალწახნაგა გვირგვინი ორი განივი თავხით დედაბოძებს ეყრდნობა ფართე ბალიშების საშუალებით. ბანიანი სახურავის დაქანების უზრუნველსაყოფად თავხე დახრილია კედლებისაკენ. ამ პირობებში საყრდენის ზემოთკენ შევიწროვება, როგორც ეს ანტიკურ ხუროთმოძღვრებაში იყო დაკანონებული, არ მოგვცემდა არც კონსტრუქციულ და არც მხატვრულ ეფექტს. ამიტომ დედაბოძი კლასიკურ ფორმათა საწინააღმდეგოდ ზევითკენ განიერდება. ცენტრალური ერდოს წყალობით, მისი მხოლოდ ერთი, ერდოსკენ მოქცეული მხარეა განათებული, ამიტომ ოსტატი მას არა კვადრატულ, არამედ ბრტყელ ფორმას აძლევს კვეთში. დედაბოძის ამ წინა სიბრტყეს ზემოდან დადგმული ბალიშის წინამხარე აგრძელებს, რომელიც თავის მხრივ თავხის წინა სიბრტყეში გადადის. კონსტრუქციის ეს განათებული ნაწილები ერთმანეთთან ისე ოსტატურადაა გადაბმული, რომ ნაწიბურს ვერც კი შეამჩნევს კაცი. დედაბოძისა და ბულაურის ეს წინა სიბრტყე (და ზოგჯერ თავხის ზედაპირიც) ჩუქურთმის ძირითად არედ გვევლინება. კომპოზიცია სამკაულთა ელემენტებისა ხაზს უსვამს ბოძის, ბულაურისა და თავხის ერთიანობას; წრიული ჩუქურთმების ცენტრს ხშირად ბოძისა და ბულაურის შემაერთებელ ხაზზე ირჩევენ, რომ ორნამენტმა შენიღბოს ხაზი კონსტრუქციულ ელემენტებს შორის. განსაკუთრებით მუშავდება ბულაური, სიგრძე მისი 1—2 მეტრიდან ზოგჯერ ხუთ მეტრამდე აღწევს. მისი ქვედა მხარე პროფილირებულია („დანიკბულია“)

ეროვნული ბიბლიოთეკა




საკაძის დარბაზი ახალციხეში. გრძივი ჭრილი და დიდი დარბაზის დეტალები

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქუთაისი. მარჯანიშვილის სახლის სვეტი (ლ. სუმბაძის მიხედვით)

უმეტეს შემთხვევაში წრეებისა და სამკუთხედების თანმიმდევრობით. აღსანიშნავია, რომ ეს რთული პროფილი, ზოგჯერ ბოლომდე ბუღაურის მთელ სიგანეზე არცაა გაჭრილი. ნახევარ სისქეზე ჩაჭრა სრულიად მკვეთრად გამონაკვთავს ფორმას და ბნელ ფონზე ჩაუჭრელი სისქე სრულიად არ ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლურ დარბაზებში ვარჩევთ დედაბოძის 2 ძირითად ტიპს... დაბალ და მაღალ ბოძებს. მაღალი ბოძები ძირითადად ქალაქურ დარბაზებში იყო გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ დაბალი ბოძების წინა მხარე უმთავრესად ჩუქურთმით იფარებოდა, მაშინ როდესაც ვიწრო გვერდები დაუმუშავებელი რჩებოდა. მაღალი ბოძების დამუშავება, ამის საწინააღმდეგოდ, უმთავრესად გვერდების დაპროფილებით ხდებოდა. მდიდრად „დანიკბული" (მაღალი) დედაბოძის ფასადს, როგორც კანონი, გლუვად (უჩუქურთმოდ) სტოვებდნენ. ჩუქურთმით არ იფარებოდა აგრეთვე დედაბოძის მეორე (გაუნათებელი) მხარე: ოსტატს კარგად ესმოდა ამის უაზრობა. საუკუნეებში გამოწრთობილი ეს გონივრული თავდაჭერილობა ზოგჯერ შეუმჩნეველი რჩება თანამედროვე ხელოვანთათვისაც კი. გაიხსენეთ დედაბოძი დარბაზისა კინოსურათ „ოთარაანთ ქვრივიდან", ან ჩვენს მუზეუმებში ექსპონირებულ მოდელებიდან, რომელთა ბნელი (ერდოს საწინააღმდეგო) მხარე დამუშავებულია ჩუქურთმით.

ქსნის ხეობის ზოგიერთ დარბაზში შემჩნეულია კიდევ ერთი დიდი მხატვრული მნიშვნელობის ტენდენცია: დედაბოძი დაყენებულია ოდნავ დახრილად იმგვარად, რომ მისი მოჩუქურთმებული პირი ერდო-სარკმლისაკენ იყოს მიქცეული.

ქართლური დედაბოძის ჩუქურთმით შემკობის გადაწყვეტაში გამოირჩევა რამოდენიმე ფართოდ გავრცელებული ხერხი. განსაკუთრებით კარგადაა დამუშავებული ერთი წამყვანი მხატვრული სისტემა: დედაბოძის ფასადის ღერძზე იხაზება ორი წრე: ზემოთ — დიდი ზომისა, ქვემოთ კი — მომცრო. ამ ორ წრეს გარეშემო ევლება ზონარი შუაში გადაჯვარედინებით. საერთო კომპოზიციის ეს ჩონჩხი სრულდება და ივსება მაშტაბის (აბსოლუტური სიდიდის) შესაფერისად, დიდი წრეების კონცენტრულად დაყოფით, ჩუქურთმის დამატებითი სახეების ჩართვით. ხშირია დედაბოძზე ჯვარის გამოსახულება. დარბაზის აშენების თარიღი უმეტეს შემთხვევაში დედაბოძზე იწერება. დედაბოძი ადამიანის თანაზომიერია, მისი სახე — შინაგანი სივრცის შესაფერისი. ეს ინტერიერულობა ბოძისა ხაზგასმულია. ამიტომაცაა, რომ დედაბოძის ფორმის საყრდენი არსად არ არის გარეთ გამოყენებული.

დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სახლები თავის დროზე გავრცელებული ყოფილა აგრეთვე გარე-კახეთში. მათი შესწავლა (დარბაზები უჯარმაში, ანდრია-წმინდაში და სხვ.) გვიჩვენებს, რომ როგორც ფორმა და შემკობის წესები კახური დედაბოძისა, ისე დარბაზის შინაგანი სივრცის გადაწყვეტა საერთოდ არაფრით განსხვავდება *ქართლის ობიექტებში* ფიქსირებულ წესებისაგან.

*მესხური დარბაზის ინტერიერში*--კერა უკვე აღარ წარმოადგენს შინაგანი სივრცის ფოკუსს. კომპოზიციის წამყვან ელემენტად აქ უკვე ბუხარი ხდება, რომელსაც მესხეთში ოჯახს უწოდებენ. როლი დარბაზის ინტერიერის კომპოზიციის ცენტრალური ღერძისა, რომელიც ქართლის ობიექტებში კერა —

ერდოზე გადიოდა, აქ საგრძნობლად სუსტდება. თუ ქართლურ დარბაზში კედლები ბნელით იყო მოცული, მესხურ დარბაზში ისინი შესანიშნავადაა განათებული, რადგან აქ გვირგვინი მთელი სათავსოს კვადრატულ გეგმას ესატყვისება, ინტერიერის ელემენტების აღქმის ამ თავისებურ პირობებს შესანიშნავად გრძნობდა მშენებელი. წამყვანი როლი ამ ინტერიერში უკანა კედელს ენიჭება, რომლის შუაშიც ბუხარია დატანებული, აქეთ-იქით თაროებით.

მესხურ დარბაზშიც ხეზედ ჩუქურთმა გვევლინება ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად ინტერიერის მხატვრული დამუშავებისა, თუმცა მთავარი ყურადღება აქ ბუხრის ქვაზე გადადის, რომელიც აგრეთვე ჩუქურთმის რთული კომპოზიციითაა დაფარული. სამცხე-ჯავახეთის ბუხრის — ქვის („ოჯახის-ქვის") დამუშავებაში შეიმჩნევა ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: მისი ჩუქურთმის მოტივები უფრო ხეზე კვეთასთან პოულობენ საერთოს, ვიდრე ქვის ტრადიციულ ქართულ ჩუქურთმასთან.

ახალციხური დარბაზის საუკეთესო ნიმუშებში დარბაზის კედლები შემოსილია ხის პანელებით, რომლებიც უმეტესად მდიდარი ჩუქურთმით იფარება. კედლების დეკორაციულ შემკობაში გამოყენებულია თავისებური „ინდუსტრიული" ხერხები: რთული ნახატის სახეები აწყობილია პატარა, სამკუთხოვანი, სწორკუთხოვანი ან რომბული ფორმის პროფილირებული ფირფიტებისაგან, ინკრუსტაციის წესით. ეს ელემენტები ფიცრულ ფილაზე სპილენძის ნაჭედი ფიგურროვანი ლურსმნებით მაგრდება.

მაღალმხატვრული გემოვნებითაა გააზრებული და შემკული ზალიაშვილის დარბაზი, — რაბათში, რომელიც ჩვენს ღია ცისქვეშ მუზეუმში უნდა იქნეს გადმოტანილი, სააკაძისა, რომელიც სულ ამ ორიოდე წელში იქნა დანგრეული და ლიჩელის დარბაზები.

როგორც ქართლური, ისე მესხური დარბაზის ჩუქურთმა უმთავრესად გეომეტრიულია; სამკუთხედებად დანაწევრებული სახეები ზედაპირიდან სიღრმეშია დაფერდებით სამკუთხად ჩაჭრილი. მაგრამ სულ სხვადასხვაა მათი მასშტაბი: მესხურ დარბაზებში ჩუქურთმის პირველადი ელემენტები გაცილებით მცირეა ქართლ-კახურთან შედარებით. თავდაპირველი მიზეზი ამისი ხე-ტყის მასალის თავისებურებაში უნდა ვეძიოთ: აღმოსავლური დარბაზები უპირატესად ნათალი მუხისაგანაა ნაშენი, მაშინ, როდესაც სამხრეთ საქართველოს ობიექტებში უმთავრესად, დახერხილი ფიჭვი და კატარია გამოყენებული.

სამცხე-თრიალეთის ერთ-ერთი შესანიშნავი ფორმის — თაკარებიანი ოდის ინტერიერში ბევრგანაა შერჩენილი აშკარად ლაზური წარმოშობის ჩუქურთმა, აგებული მცენარეულ მოტივებზე, ზოგჯერ გამჭოლად ამოჭრილი და შემდეგ კი გლუვ ფონზე დაკრული.

მდიდარი ჩრდილნათელებით გამონაკვთული ნიყურები გვირგვინისა ჩუქურთმით იშვიათად იფარება. ზომიერების გრძნობა ერთი მთავარი თვისებათაგანი ყოფილა დარბაზთა მშენებელ ხითხუროებისა. აღმოსავლურ-ქართული სახლსამყოფის ამ ტრადიციულ ფორმაში შესანიშნავადაა შერწყმული მოხერხებულობა და სილამაზე. მსგავსი ტიპის სახლები ერთ დროს დედამიწის დიდ სივრცეებზე იყო გავრცობილი კორეიიდან ეგეოსის ზღვამდე, მაგრამ ასე ღრმად გააზრებული და მხატვრულად დახვეწილი სახით არსად არ გვხვდება. ქართველმა ხითხურომ ერთბოძიანი საყრდენის თვითმყოფადი, განუმეორებელი ფორმა კლა-





სვანური მაჩუბი. გვალის ფრაგმენტი და დეტალი (ნიკო ჩუბინაშვილის მიხედვით)

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ზუგდიდის ყოფილი სასახლის აივნის პლაფონი დეტალით

სიკური სრულყოფილების სიმაღლემდე აიყვანა და საკუთარი წვლილი შეიტანა არქიტექტურის ხელოვნების საკაცობრიო საგანძურში.

აღმოსავლურ-ქართული სახლის შემდგომი ტიპი — ბანიან-სარკმლებიანი ბუხრიანი სახლი ორმალიანი სიღრმით დიდი ოჯახის დაშლასთან დაკავშირებული და სამშენებლო წარმოების განვითარებასაც გონივრულად ითვალისწინებს. დედაბოძი აქ თუმცა ჯერ კიდევ რჩება, მაგრამ იგი ჰკარგავს თავის მასშტაბს, სახეს, მნიშვნელობას. მან პირი გარე სარკმლებისკენ (შესასვლელისკენ) იბრუნა. მისი ფორმის დაკნინებასთან ერთად დაკნინდა ჩუქურთმაც.

ბანიან სახლს უკვე ახალი დროის აივნიანი სახლი სცვლის ერთმალიანი სიღრმის რამოდენიმე (უბოძებო) ოთახით, ორფერდა (სხვენიანი) კრამიტის სახურავით.

ამ ტიპის სახლის ინტერიერში ჩუქურთმის მნიშვნელობა, როგორც მხატვრული დამუშავების ერთ-ერთი ხერხისა თითქმის ნოლამდე დადის.

ამიერიდან ქართული საცხოვრებელი სახლის ხუროთმოძღვრებაში ყურადღება ინტერიერიდან უმთავრესად მისი გარეგანი სახის გაფორმებაზე გადადის.

იმის გასარკვევად თუ რა მაღალმხატვრულ დონეს მიაღწიეს ამ მხრივ ქართველმა ხითხუროებმა სჯობს მივმართოთ ლიხთიქეთის ძეგლებს, რომლებიც შესანიშნავად ესიტყვება იმერეთის რბილ ჰავას, მარადმწვანედ აქოჩრილ გორაკებსა და კოლხიდის ნაყოფიერ ველებს.

დ ა ს ა ვ ლ უ რ-ქ ა რ თ უ ლ ი სახლმშენებლობის ტრადიციებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ოდასახლის კლასიკურად ჩამონაკვთული ტიპის მხატვრული დამუშავება. ოდასახლი არ წარმოადგენს დარბაზის სინქრონულ სახლსამყოფს. მისი საბოლოო კლასიკური სახე მე-19 საუკუნეში (განსაკუთრებით II ნახევრიდან) უნდა იყოს შემუშავებული, როდესაც ხეტყის სახერხი ქარხნები, სამშენებლო მინა, ქალაქური ცხოვრების პირობები საბოლოოდ იკიდებდნენ ფეხს ჩვენს ქვეყანაში.

დასავლეთ საქართველოს თბილი ჰავა, ახალი ყოფაცხოვრების განვითარება აპირობებდა ფართე აივნის წამყვან როლს საცხოვრებელის არქიტექტურაში. თუ აღმოსავლური დარბაზის ხუროთმოძღვრება უმთავრესად ინტერიერული იყო, გარეგნობის თითქმის სრული უგულებელყოფით, დასავლეთში ახლა შენობის გარეგნობა ხდება ხითხუროს მთავარ საზრუნავად. შენობა აბიბინებული მოლის სიღრმეში იდგმება, ფართე ეზოს უკან, რომლის შუაშიც დიდი, ტოტებგართხმული ცაცხვის, კაკლის ან სხვა რომელიმე ჯიშის ჩრდილოვანი ხეა აზიდული. ეს ეზო წარმოადგენს სახლისა და მისი ფართე აივნის უშუალო გაგრძელებას, მასთან ორგანიულად შერწყმულს. ხშირი და დიდი ზომის ფანჯრები ხაზს უსვამენ ოთახებისა და აივნის ერთიანობას; აივნის ბოძები — სახლის მთავარი არქიტექტურული ელემენტები ხდება. ოდა-სახლის ადრეულ ნიმუშებში შეიქმნა და დაიხვეწა მაღალი ოსტატობითა და იშვიათი გემოვნებით შემკული კვადრატული კვეთის ბოძები, რომელთა მხატვრულ დამუშავებასაც დღესაც გაოცებაში მოჰყავს მნახველი. ოდა-სახლი 3—4 ოთახიანი კვადრატული გეგმის სახლია, მაღალ ცოკოლზე ან ბოძებზე, შემდგარი ფართე ფანჯრებითა და დიდი აივნით წინა მხარეს.

სახლის ძველ ტიპებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აივნის მოწ-

ყობა გარეშემო ჩაშენებული საჯდომებით, რომელსაც სრულიად ახალი, თავისებური იერი შეაქვს სახლის ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ ფორმებში.

წარსული საუკუნის მეორე ნახევარში ოდა-სახლის აივნებში ვრცელდება თბილისური წარმოშობის, თაღოვანი ორდერი (სისტემა) ხის მრგვალი დაჩარხული სვეტებით. ჩვენთვის ზევრად საინტერესოა უფრო ძველი ტიპები სახლებისა კვადრატული კვეთის ბოძებით, რომელთა სრულყოფილ ფორმაშიც გამოვლინდა ხის მხატვრული დამუშავების შესანიშნავი დასავლურ-ქართული ხალხური ტრადიციები. როგორც ფორმათა საერთო კომპოზიციით, ისე შესრულების ტექნიკით, ხეზე ჩუქურთმის შედევრებს წარმოადგენენ ქუთაისური საცხოვრებელი სახლების სვეტები, დაცული ქალაქის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, მარჯანიშვილის სახლის სვეტები (ბაგრატის ტაძრის გვერდით), სოფ. ხანის, აბზროლაურის საცხოვრებელი სახლების სვეტები, შენგელიას სახლის ბოძები დობრაზენში და სხვ.

რაში მდგომარეობს ამ სვეტების თავისებურება? უპირველეს ყოვლისა ისინი სკულპტურულებია: ჩუქურთმით მუშავდება არა მათი ერთი მხარე, როგორც დარ-



ს. ხანი, იმერეთი. ნატრიაშვილის სახლის ინტერიერი (ლ. სუმბაძის მიხედვით)

ბაზში, არამედ ოთხივე: ოსტატს ესმის, რომ ყველა წახნაგი სვეტისა ერთნაირად კარგადაა განათებული და თვალმისაწვდომი. ბოძის შუა ნაწილი კვეთში რვაფეხსმეტ წახნაგოვანი ხდება კუთხეების თანდათანობითი ჩათლის საშუალებით, როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან. ამ გადასვლების წყალობით ოსტატი გვაძლევს სვეტის პროფილის რთულ სილუეტურ გადაწყვეტას კუთხეებში ლამაზად დასახსრულ ნაშვერებისა და ზოგჯერ საკიდების დატოვებით. ამ ნაშვერებს სი-

ცოცხლე და ცხოველხატულობა შეაქვთ ბოძის და საერთოდ აივნის კომპოზიციაში. აქაც აღსანიშნავია, რომ სახლის აგების თარიღს უმეტესად აივნის სვეტებზე აწერენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლურ-ქართული ჩუქურთმა ხეზე უფრო ნაზია და წმინდა აღმოსავლურ-ქართული. ჩვეულებრივი სამკუთხოვანი ჩაჭრის ტექნიკის გარდა აქ დიდ გავრცელებას პოულობს მცენარეული მოტივების ამოკვეთა ჰორიზონტულ, გლუვ ფონზე, რაც მეტად იშვიათია აღმოსავლეთში. დასავლეთში მეტად გავრცელებულია სამკუთხოვანი ფორმის ნახატის კიდევ სამკუთხედებად დაყოფა და ჩუქურთმის ჩაჭრა ამ სამ სამკუთხედის გვერდებიდან, რაც ქართლის დარბაზულ ჩუქურთმაში არასოდეს არ პოულობს გამოყენებას. ამგვარად აღმოსავლურ-ქართული დედაბოძის ეპიკურ, მონუმენტურ ფორმას, მის სადა და მედიდურ ჩუქურთმას უპირდაპირდება დასავლურ-ქართული ტანშეწყობილი პროპორციებისა და ცხოველხატული ფორმების აივნის სვეტები, ნაზი და ლირიკული იერი მისი მხატვრული დამუშავებისა.



ქუთაისის სახლების ჩუქურთმიანი სვეტები

ლაზური ჩუქურთმის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუში დღემდე შემორჩენილია ზუგდიდის ქალაქკომის შენობის (დადიანების ყოფ. სასახლის) აივნის პლაფონში.

ხის სვეტების მოჩუქურთმების ხალხური წესები გამოყენებული იყო აგრეთვე საკულტო ნაგებობებშიც, უმეტესად შიგნით. ბევრი ამისთანა სვეტი დღევანდლამდეა შემორჩენილი აჭარულ ჯამეებში, კულაშის ცნობილ ხის ეკლესიაში.

საქართველოს მთიანეთის ხალხურ არქიტექტურაში ჩუქურთმა, როგორც ხუროთმოძღვრულ-მხატვრული გამოსახულების საშუალება ყველაზედ მეტად სვანეთში იყო გამოყენებული, თუმცა დედა-ბოძის დაჭრელე-

ზის ცალკეული მაგალითები აღმოსავლურ მთიანეთშიც, (სახელდობრ ფშავ-ხევსურეთშიც) გვხვდება. აღსანიშნავია რომ აქაც ჩუქურთმა ძირითადად ინტერიერშია გამოყენებული. რაც შეეხება ავეჯის მოჩუქურთმებას — იგი საქართველოს მთიანეთის ყველა რაიონებში იყო გავრცელებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველებური სვანური სახლის ძირა სართულში — მაჩუბში, სადაც ერთად ცხოვრობდა დიდი ოჯახიცა და მისი საქონელიც (როგორც მსხვილფეხა ისე წვრილფეხა), ხის ელემენტების ჩუქურთმით დამუშავებას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. კვეთილი ორნამენტით აქ იფარებოდა „გვალი" — ხის თაღებგამოჭრილი ტიხარი, რომელიც საცხოვრებელი სივრციდან, სამყოფის ორ მხარეს (კუთხით) გამოყოფს საქონლის სადგომს.

პირველი, რაც თვალში ხვდება ადამიანს „გვალის" რთულ მხატვრულ კომპოზიციაში — მაშტაბის საოცარი გრძნობაა. გვალის დიდი ფიცრები ჩაჭრილი ღარების საშუალებით დანაწევრებულია ფართე ელემენტებად; გამოჭრილი თაღები შემოსალტულია მსხვილი მოჩარჩოებით; თავისუფალ არეებში ამოკვეთილია სამკუთხედებად დანაწევრებული ტრადიციული წრეები. ბოლო 50 წელში აგებულ მაჩუბებში, ჩუქურთმის მოტივებს შორის ხშირად გვხვდება საბჭოთა ემბლემატიკაც (ვარსკვლავები, ნამგალი-ჩაქუჩი და სხვ.) მაჩუბის ინტერიერში ჩუქურთმის გვერდით შევხვდებით ხის ქანდაკებასაც (კერის ზემოთ გამართული საკიდელის ლატნებზე), რკინაში გამოჭედილ ცხოველთა ფიგურებსაც (კერისა და სანათურის გამოშვერილ ნაწილებზე). განზოგადოების საოცარი გრძნობა, მაღალი გემოვნება და დიდი ოსტატობა ერთნაირად ახასიათებს, როგორც ხეში გამოკვეთილ, ისე ლითონში გამოჭედილ სამკაულებს. განსაკუთრებული ზემოქმედების ძალა მაჩუბის ინტერიერისა იგრძნობა ღამით, კერის ცვალებად შუქზე, როდესაც „გვალის" მოჩუქურთმებულ თაღებში, როგორც ჩარჩოებში გამოიკვეთება მსხვილფეხა საქონლის თავები.

მე-19 საუკუნის II ნახევრიდან, და განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან, ძველქართული საცხოვრებელი სახლების ტრადიციული ფორმები თითქმის ყველგან ახალი ტიპებით იცვლება.

ის საერთო, რაც საქართველოს სამივე ძირითად ეკონომიურ-გეოგრაფიულ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ არეში გავრცელებულ ამ ახალ სახლებს: აღმოსავლურს, დასავლურსა და საქართველოს მთიანეთის ობიექტებს ახასიათებს, გახლავთ საცხოვრებელი სივრცის პატარა ოთახებად დანაწევრება (ძველი დიდი დარბაზის მაგიერ), ფართე აივანი ერთ, ორ ან სამ მხარეს, მაღალი ცოკოლი ან ცოკოლის მთელი სართული სამეურნეო სათავსებით, სხვენიანი სახურავი, ბუხრები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თუნუქის ღუმლებით იცვლება.

ის მკვეთრი განსხვავება, რომელიც შეიმჩნეოდა ძველი ტიპის სახლებში აღმოსავლეთის, დასავლეთისა და მთის რაიონებში, მეოცე საუკუნისათვის საგრძნობლად რბილდება; ხდება საცხოვრებელი სახლების ფორმათა შესამჩნევი უნიფიკაცია, ბინის საყოფაცხოვრებო პირობებისა და სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობის მკვეთრი გაუმჯობესების ხარჯზე. სახლის ხუროთმოძღვრულ გადაწყვეტაში წამყვან ადგილს საქართველოს ყველა კუთხეში შენობის გარეგნობა იკავებს. აივანი უკვე ყველგან იქცა სახლის მთავარ ელემენტად, მისი გაფორმება კი — ოსტატის ძირითად საზრუნავ საგნად. სწორედ აივანი აძლევდა

და აძლევს ახლაც ქართული საცხოვრებელი სახლის ფასადს თავისებურ იერსა და შნოს.

წარსულ საუკუნეში თბილისში ჩამოყალიბდა რამოდენიმე სახე საცხოვრებელი სახლისა, გადმოკიდებულ ფართე ხის აივნით, რომლის ფორმებიც [illegible] საქართველოს თითქმის ყველა რაიონულ ქალაქში გავიდა. ხეზე კვეთის ძველმა ტრადიციებმა გარკვეულად იცვალეს სახე ახალი პირობების შესაფერისად... გაჩნდა აივნის გრეხილი სვეტები და ცხოველხატული სვეტისთავები, რთული აჟურული ნახატის თაღები და ჩარჩოები, სათუთი პროფილის რიკულები, ფიცარში ამოჭრილი მოაჯირების მრავალფეროვანი სახეები. ქართველი ხითხუროები აქაც თავის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და შექმნეს ევროპული კლასიკის საერთო საფუძველზე განუმეორებელი, მეტად თავისებური (შემდეგში თბილისურად წოდებული) ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ფორმები.

ხის ჩუქურთმის განვითარების ამ მოკლე მიმოხილვამაც კი დაგვანახა, თუ რა ღიდ ადგილს უთმობდნენ ჩვენი ქვეყნის ხითხუროები საცხოვრებელი სახლის ხუროთმოძღვრებაში ხის მხატვრულ დამუშავებას; თუ რა გასაოცარი ოსტატობითა და გემოვნებით გამოყოფდნენ მთავარს, წამყვანს ხუროთმოძღვრულ ფორმებში და თავის მისწრაფებებს რა გონივრულად უფარდებდნენ ცხოვრების ახალ პირობებს, ახალ იდეებს. ორნამენტით შემკობის ძველ-ქართული ტრადიციები მათ, თავისდა სასახელოდ, თითქმის დღევანდლამდე მოიტანეს...

ინტერეს მოკლებული არაა ის ფაქტიც, რომ ომის შემდგომი წლების გაშლილი მასობრივი მშენებლობისათვის შედგენილ პირველ ტიპობრივ პროექტებში, რომლებიც 1948 წელს გამოქვეყნდა (ერთ სართულიან № 151 და ორსართულიან № 209 სერიის სახლებში) გამოყენებული იყო ქართული ტრადიციული ჩუქურთმა. 50-იან წლებში ეს სახლები დიდი რაოდენობით აშენდა საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც.

209 სერიის სახლები აგებულია აგრეთვე რუმინეთის ქალაქ ვიქტორიაში. მოჩუქურთმებული ქართული აივნები ხის სვეტებითა და აჟურული მოაჯირეებით რუმინელ სპეციალისტთა აზრით შესანიშნავად შეეგუა ახალ ბუნებრივ გარემოს. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების ტრადიციები გასცდა ჩვენი მიწა-წყლის ფარგლებს.

როგორც ჯერ კიდევ 1957 წ. „საბჭოთა ხელოვნება" წერდა, ეს ფაქტი ჩვენი არქიტექტურის განვითარებაში „იმ ახალი ეტაპის დასაწყისის მანიშნებელია, რომელშიც სოციალისტური ერების პროგრესული ტრადიციები უნდა გასცდნენ ეროვნულ საზღვრებს და თანდათანობით დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ყოვლისმომცველი საერთო ბაზის — სოციალისტური შინაარსის საფუძველზე.

ცხადია, რომ ეს დაახლოვება არ გულისხმობს ცალკე სოციალისტური ერების ხუროთმოძღვრებაში ნაციონალურ თავისებურებათა უნიფიკაციას და სრულ მოსპობას. ეს თავისებურება მუდამ დარჩება ამა თუ იმ ერის კულტურის ნიშანდობლივ თვისებად, რადგან იგი მხოლოდ ადგილობრივი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების შედეგი როდია, არამედ ხალხური შემოქმედების ღრმა ტრადიციებსაც ემყარება. უკანასკნელთა ფორმირებაში კი ქვეყნის ეკონომიური განვითარება, მისი ისტორიული ჩამოყალიბების საკუთარი გზები და მეზობელ ხალხებთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ნაკლებ როლს როდი თამა-

შობს“ (ა. ინწკირველი, ლ. სუმბაძე, ქართული სახლები რუმინეთში, „საბჭოთა ხელოვნება“ № 6, 1957 წ. გვ. 25).

რა ბედი ეწვევა ამ ტრადიციებს მომავალში, გაშლილი ინდუსტრიული მშენებლობის პირობებში, როდესაც ჩვენი სამშენებლო მრეწველობა ელემენტების ქარხნული წესით დამზადებაზე და მონტაჟზე გადადის? ამ კითხვის პასუხად შეიძლება გამეორდეს ის დასკვნა, რომლითაც მთავრდება ჩემი შრომა ვარიანტული ორნამენტის შესახებ (ვარიანტული ორნამენტი, თბ. 1963); „მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, ელემენტების ქარხნული წესით დამზადება, კი არ ზღუდავს არქიტექტორის შემოქმედებითს შესაძლებლობას, არამედ პირიქით, ახალ გზებს უსახავს მას ხუროთმოძღვრების ორგანული ფორმების შექმნაში, სადაც ჰარმონიულად უნდა იყოს შეხამებული მოხერხებულობა და სილამაზე, ეკონომიურობა და სიმტკიცე, მრავალფეროვნება და სიმარტივე.“



ს. თვალადი. დარბაზის თავხე. კალმით ნახატი ლ. სუმბაძისა

ნიკო ჩუბინაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქორეთისა და მაცხვარიშის მოხარატებული კარები

ქართველი ხალხის ხელოვნება თვითმყოფი და ორიგინალურია. მას თავისი მკაფიოდ გამოხატული, დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზები აქვს.

ძველი საქართველოს ხელოვნების ერთ-ერთ სახეს ხეზე კვეთის ოსტატობა წარმოადგენს.

ხეზე მუშაობის კულტურა თვითეული ხალხის ერთ-ერთი უძველესი კულტურათაგანია. ხე გამოიყენებოდა არა მარტო როგორც საშენი მასალა, არამედ ყოფაცხოვრების საგნების და მხატვრული ნივთების ნაკეთობებისთვისაც.



ზემო სვანეთი. მაცხვარიში. კარის ფრაგმენტი. ფოტო ნიკო ჩუბინაშვილისა

ხეზე მუშაობის კულტურა საქართველოში ოდითგანვე ვითარდებოდა. ძეგლებში ახლაც შემორჩენილია პროფესიონალი ოსტატების მიერ უბადლოდ შესრულებული მხატვრულად დამთავრებული დეკორაციული მოხარატების შესანიშნავი ნიმუშები. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მაღალი ხელოვნების სიმდიდრის მხოლოდ ნაწილი შემორჩა საქართველოს ზოგიერთ ისტორიულ კუთხეში — ფხოტრერის კარი, აცი, სიუფი-ფარისა — ზემო სვანეთში; ჯახუნდერისა და ჩუკულის კარები — ქვემო სვანეთში; ოცინდალეს კარი — სამეგრელოში; მღვიმევისა და ლაშეს-ვანის კარი — იმერეთში; ჩკვის და რკონის კარის წირთხლები, მელესის კანკელის კოჭი — ქართლში. ხელოვნების ეს ნაწარმოებები თარიღდება X საუკუნის ბოლოთი და XI საუკუნის პირველი მესამედით.

ამ მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა გვერდით, რა თქმა უნდა, დიდი რაოდენობითაა შემონახული ხის მოხარატებული ნივთებიც. ისინი არსებითად სადურგლო ხელოვნებისა და ხალხური შემოქმედების შერწყმას წარმოადგენენ. ესენია ხის მოხარატებული კონსტრუქციები სახლებში; ბოსლები, გვირგვინები, კოჭები და დედაბოძები ხალხურ საცხოვრებელ დარბაზებში. შემდეგ — ხის სკამები, ხის საწოლები, საკარცხულები, მაგიდები, სკივრები, კიდობნები, ხის კოვზები, მუსიკალური ინსტრუმენტები. ეს საგნები უფრო ახლოს დგანან ჩვენ დროსთან, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი კარები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი შესაძლოა მივაკუთვნოთ ჯერ კიდევ XVII საუკუნეს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სადურგლო ოსტატობისა და ხეზე მხატვრული მოხარატების მონუმენტურ ნაწარმოებთა შორის გამოვლინებულია რამდენიმე ხის მოხარატებული კარი, რომლებშიც ფართოდაა გამოყენებული ხალხური შემოქმედების საერთო ფონზე მაღალმხატვრული ხელოვნების ელემენტები და ნაწარმოებები, რომლის შემსრულებლები მტკიცედ მისდევდნენ ხალხური ხელოვნების გულუბრყვილო-რეალისტური სულისკვეთების ტრადიციებს. ასეთ ნაწარმოებებს მიეკუთვნება ქორეთის კარი — იმერეთში და მაცხვარიშისა — ზემო სვანეთში.

1

ქორეთის კარი ერთ მთლიან ფიცარს წარმოადგენს. დეკორაციული დამუშავებისათვის მოსამზადებლად მისი ზედაპირი შედარებით კარგად იყო მოსწორებული ნაჯახით. როცა ოსტატი მუშაობას შეუდგა, ხე საკმაოდ ვამშრალი არ ყოფილა. ამიტომ მოხარატების შემდეგ კარი გაბზარულია თავიდან ბოლომდე. მას აქვს მეორე ბზარიც. შეკეთებისას კარი გაამაგრეს სარჯებით. იგი ძლიერ შეჭმულია ხის მღრღნელებისაგან და ზოგ ადგილებში იფშვნება. კარის ასეთი მდგომარეობა იმაზე ლაპარაკობს, რომ ქუთაისის მუზეუმმა, სადაც ამჟამად იგი ინახება, უნდა მიიღოს საჭირო ზომები მის შესანარჩუნებლად და გასამაგრებლად. შესაძლოა საჭირო გახდეს ნაწილობრივი შეკეთებაც, რაც დამყარებული უნდა იქნეს ამ დარგში მიღწეულ თანამედროვე მაღალ მეცნიერულ საფუძველზე.

კარის მხატვრულ კომპოზიციას წარმოადგენს საერთო სწორკუთხოვანი ჩარჩო. შუა ნაწილი დაყოფილია ზოლებად ოთხ ნაწილად. ჩარჩო და ზოლები მორთულია წნული ორნამენტით. ასეთი წნული ორნამენტი კარგადაა ცნობილი X ს. მეორე ნახევრისა და XI საუკუნის პირველი ნახევრის არქიტექტურის ძეგლებში (სალხინო, პარხალი, ხახული, ბედია და ჩუკულის კარი) და ახლაც ფართოდაა გავრცელებული ხალხის ყოფა-ცხოვრებაში.

ქორეთის კარის ოსტატი ჩარჩოს და ზოლების ორნამენტების შეუღლებაში სიზუსტეს არ ეძებს. უეჭველია, მისი ყურადღების ცენტრში იდგა მხოლოდ დეკორაციული ამოცანის საერთო კომპოზიციური გადაწყვეტა. მის მიერ სასურველი ორნამენტების შერჩევისას ის ილტვის გაწონასწორებისა და მთელი პანოს უბრალოებისაკენ. ამიტომაა, რომ მთელი რიგი უმნიშვნელო ნაკლოვანებები დამთავრებულობის და დეტალების დამუშავების თვალსაზრისით, ძლივს შეიმჩნევა.

ოსტატის სურვილია ყველაფერი შეავსოს. ამიტომ ის არ ტოვებს ცარიელ ადგილებს. ისინი ოსტატს მხოლოდ მაშინ სჭირდება, როცა ხეზე გამოსახულებათა კონტურები გამოჰყავს. ცარიელი ადგილები არ ახლავს წნულს და ორი ქვედა ნაწილის ორნამენტს, რომელიც წრეების ორ რიგს წარმოადგენს ღილვაკებით. საინტერესოა, რომ ხეზე კვეთილობისათვის სპეციფიური ასეთი პირამიდისებური ღილვაკები, რაც მოიპოვება ჯერ კიდევ XI ს. შუა წლების ძეგლის — სავანის კარზე, გადმოტანილ იქნა ქვაზში შესრულებულ არქიტექტურულ ორნამენტში.

კარის ცენტრში მოთავსებულია ბორჯღალა, რაც არღვევს ორნამენტის შეუღლებას. ოსტატმა ამგვარი დარღვევა მხოლოდ იმიტომ დაუშვა, რომ საერთო კომპოზიციური გადაწყვეტიდან გამოდიოდა. ბორჯღალა მზის სიმბოლურ გამო-

სახულებას წარმოადგენს. საქართველოს ხელოვნებაში ბორჯღალა ცნობილია უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, მცხეთაში გათხრების დროს მოპოვებულ ნივთებზე. მაგრამ არქიტექტურულ ორნამენტში, რომელშიც იგრძნობა ხალხიდან შეთვისებული ტრადიციები — იშვიათად გვხვდება, და ისიც მხოლოდ X საუკუნეში: ერედვი, შეპიაკი, ზემო-კრიხი, ზემო-სკრა. აქედან მიყოლებული ბორჯღალა მხოლოდ ხალხურ ხელოვნებაში განაგრძობს სიცოცხლეს ჩვენს დრომდე. ის გამოყენებულია სამშენებლო დეტალებისა და საყოფაცხოვრებო საგნების ხეზე კვეთილობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქორეთი. კარის ფრაგმენტი. სენმურვი ფოტო ნიკო ჩუბინაშვილისა

ორი ზედა ნაწილი ერთნაირი კომპოზიციისაა. ქვემო ნაწილებში — წრეა ექვსკუთხოვანი ვარსკვლავით. ეს ეგრეთწოდებული სოლომონის ბეჭედია, რაც მაცხვარიშის კარზეცაა გამოხატული. ზემო ნაწილში — გადაჯვარედინებული წნულია წრეში.

ამ ზედა ნაწილების ცენტრი შევსებულია სენმურვებით, აქეთ-იქით კი განლაგებულია ფოთლები. განსაკუთრებით ამ ფოთლების ჭრის მიხედვით ადვილი წარმოსადგენია ხელსაწყო — დანა, რამაც ოსტატს უკარნახა მოხარატების ტექნიკა. ამან განაპირობა შესრულების საერთო დონეც. ასევე დანაა გამოყენებული ძირითად ხელსაწყოდ მღვიმევის, ნაკურალეშის, მაცხვარიშის კარის და ლაშთხვერის კარის წირთხლის დეკორის შესასრულებლად. იგივე ხელსაწყო — დანა, მოხარატების ასეთივე ტექნიკასა და ხარისხს გვაძლევს აგრეთვე ხის სამ-

შენებლო კონსტრუქციებსა და ყოფის საგნებზე, მაგრამ მარტო ამაში არ შეიძლება დავინახოთ ხალხური შემოქმედების ხელოვნების გამოვლინება. დიდი ფონების უქონლობა, კონტურების ტეხილი ხაზები, სამკუთხოვანი ჭრის ვერტიკალური წახნაგების უქონლობა, საერთო დაბალი რელიეფი — ყველაფერი ეს დანით მუშაობის ხალხური ტექნიკური შესრულების მაჩვენებლებია და არა მარტოოდენ ქორეთის კარის ოსტატის გამოუცდელობა.

სენმურვი — ძაღლის ტანის ფრთიანი წინა ნაწილი, ფეხებით და თავით — ამოჭრილია რელიეფურად. მოცემულია ყურები, თვალები, ხახა, საიდანაც გადმოკიდებულია ენა, თავი, ტანი, ფეხები, დამუშავებულია ფრთები. კისერი მორთულია სამი პატარა წრით, შუაში წერტილებით. ისინი დახატულია ყალმით, რაც შესრულებულია შავი საღებავით. ასეთი წრეები, შუაში წერტილებით, მაგრამ რელიეფური, ცნობილია X—XI საუკუნეების ჭედურ ხელოვნებაში და კარის კვეთილობაში (ლაშეს-ვანი, აცი, ჯახუნდერი, ჩუკული და ფხოტრერი). სენმურვები ცნობილია X საუკუნის მეორე ნახევრისა და XI საუკუნის 20-იანი წლების განსაზღვრული რაოდენობის ძეგლთა არქიტექტურულ დეკორში (ოშკი, იშხანის მცირე ეკლესია, ნიკორწმინდა).

ქორეთის კარის კვეთილობაში უმთავრესად გამოყენებულია ხალხური შემოქმედების დამახასიათებელი ორნამენტები. ამ საფუძველში ჩართულია სენმურვის გამოსახულება, რაც ცნობილია არქიტექტურის მხოლოდ მონუმენტურ ნაწარმოებებში.

სენმურვი და ორნამენტები შეღებილი იყო წითელი საღებავით.

ამრიგად, ქორეთის ოსტატი მუშაობდა ხალხური შემოქმედების ხელოვნების სულისკვეთებით. მან გამოამჟღავნა ინტერესი კომპოზიციებისა და მაღალი ხელოვნების დეკორაციული ელემენტებისადმი, საიდანაც მხოლოდ რამდენიმე ჩართო თავის ნაწარმოებში.

## 2

მაცხვარიშის ორი კარი — ერთი დასავლეთის, მეორე — სამხრეთისა იმდენად ემთხვევა ერთმანეთს საერთოდ და დეტალებში, რომ, ცხადია, ერთი ოსტატის ნახელავს წარმოადგენს.

ოსტატს მათი დეკორირება ხალხური შემოქმედების ხელოვნების სულისკვეთებით შეუსრულებია; ისინი, როგორც აცის და ჩუკულის კარები, კარკასს წარმოადგენენ, რომლის უჯრედებში ჩასმულია დაფები. კარკასი შეკრულია ხის სარჯებით. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ შედარებით ქორეთის კართან, რომელიც ნაჯახით იყო მოსწორებული, მაცხვარიშის კარისა და ჩართული დაფების ზედაპირი გლუვადაა მოპირკეთებული.

სამხრეთის კარზე, კარკასის ზემო ფიცარზე, უბრალო ჩარჩოში, ქართული წარწერაა: „ღმერთო, შეიწყალე აგიდულიანი კვირიკე". ამ წარწერას პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით X—XI სს. ათარიღებენ.

კვირიკე აგიდულიანი, რა თქმა უნდა, ადგილობრივია. იგი სვანია და, ეჭვს გარეშეა, რომ ისაა ამ კარების მოხარატების ოსტატი, სწორედ ისევე, როგორც გაბისო სიუფი-ფარის კარის მხატვარია, იოვანე, ვფიქრობთ, აცის კარისა.

მაცხვარიშის სამხრეთის კარის დეკორის განაწილებაში არ იგრძნობა კომპოზიციური ერთიანობა, თანმიმდევრობა და ორგანული კავშირი. ოსტატმა კარ-





იმერეთი. ქორეთი

ფოტო ნ. ჩუბინაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასისა და წირთხლის სიბრტყეები ამოავსო დაცალკევებული ორნამენტებით. ასეთივე მდგომარეობა გვხვდება ზედა თმოგვის, ფოკას, ბედიას, დისევის, ზემოსკრის X—XI სს. არქიტექტურის დეკორში და წეროვანისა და ურთხვის კანკელების დეკორში.

ჩართულ დაფებზე მოთავსებულია სიუჟეტურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი გამოსახულებები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც, ალბათ, რაღაც შინაგან კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან.

ამრიგად, ოსტატს ხელთ აქვს ორნამენტებისა და ხალხურ წარმოდგენებზე დაფუძნებულ გამოსახულებათა მთელი წყება. იგი საერთო ინტერესს იჩენს ორნამენტებისა და ადამიანის სახეებისა, ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებისადმი. ოსტატმა ისინი განალაგა თავის ნაწარმოებში მისი თვალსაზრისით შესაფერის ადგილებზე და მაინცდამაინც არ გამოირჩევა ზემოჩამოთვლილ ნაწარმოებთა არქიტექტორებისაგან.

კარის წირთხლი მორთულია რელიეფური ორნამენტებით. ამით კვირიკე აგიდულიანმა გაიანგარიშა, რომ წირთხლი კონტრასტს ქმნის კართან, რომლის ორნამენტები შესრულებულია არა ღრმა კვეთით — დანით.

წირთხლზე რელიეფურადაა შესრულებული კვადრატები, დისკო და ლილვაკები. მაგრამ განსაკუთრებით გამოიყოფა რელიეფური ჯვარი წრეში ბუნზე. გამოსახვის ამ ტიპს გრძელი ისტორია და განვითარების გზა აქვს. ის გვხვდება სტელებზე, დაწყებული V საუკუნიდან და მრავალი მაგალითით ცნობილია IX—X სს-ში. ასეთივე ჯვრები, მხოლოდ უფრო გლუვად მოპირკეთებული, მოცემულია კარზე.

მაცხვარიშის ნაირგვარი ორნამენტები — სამკუთხედები, ლილვაკები, ექვსქიმიანი ვარსკვლავი, ჯვარი ბუნზე, დისკო, წრეები — განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ხალხურ ხის კვეთაში, შედარებით ნაკლებად — არქიტექტურულ დეკორებში. ეს მაინც ლაპარაკობს მაღალი ხელოვნების კავშირზე ხალხურ შემოქმედებასთან, რაც ვლინდება X—XI სს. ნაწარმოებებში, განსაკუთრებით მცირე ხელოვნების ნიმუშებში.

ჩადგმულ დაფებსა და კარკასზე მოცემულია გულუბრყვილო-რეალისტური გამოსახულებები — ფრინველებისა და ძაღლისა, რაშიც ჩანს ოსტატის დაკვირვებულობა. ამ გამოსახულებებში თითქმის ზუსტადაა გადმოცემული მათი ნაკვთები და მათთვის დამახასიათებელი ქცევაც კი.

ეს სწორედ ხალხის წვლილია, რითაც გამდიდრებულია მაღალი ხელოვნება და რაც ცხადყოფს შემსრულებელთა კავშირს ხალხური შემოქმედების ტრადიციებთან. ეს აისახა, კერძოდ ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებებში, რომლებიც ჩართულნი არიან ოშკის, ხახულის, იშხანის, ნიკორწმინდისა და სვეტიცხოვლის არქიტექტურულ დეკორში.

ამავე დროს X—XI სს. მხეცებისა და ფრინველთა გამოხატვა ფართო გავრცელებას პოულობს მოჭიქულ კერამიკაში, რომელიც არსებითად ხალხური შემოქმედების ნაწარმოებებს წარმოადგენს.

ადამიანთა ფიგურების გამოსახულებებში ოსტატი ავლენს ყველაზე მთავარს — ტანსაცმელს, სახის ნაკვთებსაც კი. მოცემულია საგნები — ჯოხი, მშვილდ-ისარი, ჩონგური.

ერთ დაფაზე გამოსახულია მამაკაცი. მას ხელში მეცხვარის კომბალი უჭი-

რავს, თავზე მაღალი ფაფახი ახურავს. ამ გამოსახულებაში ნამდვილად იგრძნობა რეალისტური დაკვირვებულობა. გამოსახულება ხელმოუწერელია, მაგრამ აქვე ზემოთ მოთავსებულია კვირიკე აგიდულიანის წარწერა და, შესაძლოა, ოსტატმა აქ სწორედ საკუთარი „პორტრეტი" მოგვცა.

მეორე დაფაზე გამოსახულია დედა ბავშვით კალთაში. აქ ქართული წარწერაა: „ქრისტე შეიწყალე ეშცა".

მესამე დაფაზე გამოსახულია ზურგზე გადაქცეული ფიგურა, რაც სიმბოლურად ბოროტების მატარებელთა დამარცხებას გამოხატავს. ადგილობრივი სვანები თავის ნაამბობში ახლაც ასე ხსნიან ამ გამოსახულებას. საინტერესოა, რომ ნაკიფარში არის აზრობრივად მსგავსი ფრესკა XI საუკუნისა, რომელიც წმინდა გიორგის მიერ კერპების დამხობას წარმოადგენს.

მეოთხე დაფაზე გამოხატულია ჩონგურზე დამკვრელი მამაკაცის ფიგურა, საინტერესოა, რომ ეს ერთ-ერთი უადრესი გამოსახულებაა ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტის — ჩონგურის.

გამოსახულებათა შინაარსის გარკვევა საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ მაინც გავიგოთ კვირიკე აგიდულიანის მსოფლმხედველობის ნორმები. ფრიდრიხ ენგელსი წერს: „ყველა იდეა გამომდინარეობს გამოცდილებიდან, ისინი სინამდვილის გამომსახველნი არიან, სწორედ თუ დამახინჯებულად".

მიუხედავად ეკლესიის მნიშვნელოვანი როლისა და მისი ძლიერებისადმი რწმენისა, რაც როგორც ჩანს, მოცემული აქვს ოსტატს ბოროტების მატარებელთა დამხობის გამოსახულებაში, იგი მაინც საკმაო დამოუკიდებლობას ინარჩუნებს გარესამყაროს მიმართ. მან გამოავლინა დაკვირვებულება და მხედველობითი მეხსიერება, რასაც ნამდვილად აქვს ტენდენცია გარესამყაროს რეალისტური აღქმისა. ასეთი ტენდენციები ვლინდება აგრეთვე X—XI სს. ქართული ხელოვნების ისეთი ცნობილ მხატვრულ მაგალითებში, როგორიცაა იშხანისა და მარტვილის ჭედური ჯვრები და ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ხატი.

ამრიგად, მაცხვარიშის კარები შემკულია ხალხური შემოქმედებით გამსჭვალული გულუბრყვილო-რეალისტური გამოსახულებებით.

კვეთილობა შეღებილი იყო აგურისფერ-წითელი საღებავით, რაც განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა X ს. ოშკისა და პარხლის ტაძრების არქიტექტურულ მორთულობებში.

კარკასისა და ორნამენტებისათვის გამოყენებულია სახაზავი, ლარი, ფარგალი და კუთხედი. მაცხვარიშის მაგალითიდან ჩანს, რომ მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშთა იმ პროფესიონალი ოსტატების გვერდით, რომლებმაც მოგვცეს ისეთი ბრწყინვალე ნაწარმოებები, როგორიცაა აცის კარი, სიუფი-ფარისას, ჯახუნდერის, ჩუკულის, ოცინდალეს, ლაშეს-ვანის კარი და სხვა იღწვოდნენ ხალხური შემოქმედების ოსტატებიც, კერძოდ — სვანი კვირიკე აგიდულიანი X ს. მეორე ნახევარში.

სასურველია, რომ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ გამოიჩინოს ინიციატივა და მაცხვარიშის კარი — ეს ქართული ხალხური შემოქმედების და ხელოვნების უნიკალური ძეგლი, მისი თაოსნობით გადმოტანილ იქნას მუზეუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაზური სიცოცხლის ხე. სოფ. წინწყარო

გიორგი ჩიტაია
პროფესორი

# ლაზური ორნამენტი

ლაზების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „კაცნი არიან ჴელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებათა ნავთათა, დიდთა და მცირეთა“. ეს ცნობა, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის და სანდო ავტორის ხელიდანაა გამოსული, შეიცავს ისეთ ფაქტს, რომელიც ერთის მხრივ, ვარაუდობს ლაზებისათვის ხის მუშაკობის ტრადიციის არსებობას აქ მოტანილი ცნობის თარიღზე ადრინდელ ხანაშიც, ხოლო მეორე მხრით, იგივე ცნობა სრულ გამართლებას პოულობს მომდევნო პერიოდის სინამდვილეში.

მართლაც, მთელ დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც სამხრეთსა და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოში, XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში ლაზები საუკეთესო ხის ოსტატებად, ხუროებად და ხის ნაგებობათა საუკეთესო უსტებად იყვნენ მიჩნეული. მათ მიერ აშენებული ხის სახლები, ჯამეები და ეკლესიები დღემდეა მოღწეული. ამ ნაგებობებიდან ზოგიერთზე წარწერაცაა შემონახული. მაგ. მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ხანში ერთ-ერთს, აღნაგობისა და შემკულობის მხრით შესანიშნავს სახლს აქვს წარწერა ქართულ და თურქულ ენებზე. ქართული წარწერა იკითხება ასე: „ბათომის გუბერნიის არჰავე ვეზდის ფილარგეთის მცხოვრები უსტა ომერ ეფენდი“.

საყურადღებოა, რომ მაიაკოვსკის რაიონში სამი ძმა ლაზი ყოფილა ჩამოსული — ომერი, ახმეტი და მუსტაფა, რომელთაც მთელს ხანის-წყლის ხეობაში ლაზური ოდა-სახლები უშენებიათ. მათგან ადგილობრივებსაც უსწავლიათ ხუროობა და იმათ ყაიდაზე უკეთებიათ ხის ნაგებობანი და ხის ჩუქურთმები.

მაგრამ ლაზების მიერ დამზადებული ჩუქურთმები ხეზე დამოწმებულია არა მარტო ხანის-წყლის ხეობაში. ის ფიქსირებულია ეთნოგრაფიული ექსპედი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა






ს. წინწყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციების მიერ ქობულეთში, გურია-სამეგრელოსა, ქვაბლიანის ხეობასა (მესხეთი) და თრიალეთში.

ლაზური ჩუქურთმა გამოირჩევა თავისი სახეებით, სიუჟეტითა და ოსტატობით. მასში ჭარბობს მცენარეული და ცხოველური ორნამენტი (ვაზი, სიცოცხლის ხე, ვარდულები, ცხოველები, ფრინველები და სხვ.), ხოლო თავისი სიუჟეტური თემატიკით უძველეს კულტურას ეკუთვნის და ძველი ტრადიციებიდან მომდინარეობს. რაც შეეხება ორნამენტის შესრულების ტექნიკას, უნდა აღინიშნოს, რომ ოსტატი ადვილად იმორჩილებს მოსაჩუქურთმებულ არეს, ჩინებულად ანაწილებს რთული კომპოზიციის შემადგენელ ელემენტებს და არა იშვიათად ორნამენტი ორმაგი და სამმაგი სიბრტყის ფენებში გამოყავს. ეს უკანასკნელი ხალხურ ხელოვნებაში იშვიათად გვხვდება და ოსტატის დახელოვნების უმაღლეს მიღწევად ითვლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ორნამენტი ამოფანჯვრის (აჟურ) ხერხითაა შესრულებული. ასეთ ჩუქურთმას ფერადი ქსოვილი აქვს დატანებული, რაც ამ ორნამენტის ტექნიკას წინა აზიის უძველეს ტრადიციას უკავშირებს.

თრიალეთში შემონახული ლაზური ჩუქურთმები მრავალმხრივ არის საყურადღებო, სხვათა შორის იმიტომაც, რომ ისინი ადგილობრივი ლაზების მიერ არის დამზადებული.

გაირკვა, რომ თრიალეთში მცხოვრები ეგრეთწოდებული „ურუმების“ ეთნიკური შედგენილობა ნარევია. ადგილობრივ შეკრებილი მასალების მიხედვით აგრეთვე ირკვევა, რომ თრიალეთის ურუმებს შეადგენენ: „გუმიშხანელები“, „ოველები“, „ფასენები“ და „კროები“. ამ ჯგუფებიდან ფასენები ძველი ქართული პროვინციიდან ბასიანიდან არიან მოსულნი. საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ ფასენებში კარგად არის დაცული ქართული ტრადიციები და ქართული, კერძოდ ლაზური მატერიალური კულტურის ელემენტები (ქალის თავსაბურავის ერთი სახეობა „დაბლა“, აგრეთვე ქართული ხელნაწერები და მათთან დაკავშირებული გადმოცემები და სხვ.)[1].

მაგრამ თრიალეთის ურუმების ეთნიკური ვითარება მარტოდმარტო ზემოთქმულით არ ამოიწურება. საქმე იმაშია, რომ ამ ნაკრებ „ეთნიკურ“ ერთეულში, რომელიც თავისთავად კონფესიური წარმოშობისაა, ლაზებიც არიან წარმოდგენილი. გარკვეულია, რომ სოფელ გუნია-ყალაში მცხოვრებნი „თურშოვები“ წარმოშობით ლაზები არიან. ამ სოფელში თურშოვებს საკუთარი უბანი („მაილა“) ჰქონიათ („თურში გილენ მაილა“). ამავე გვარში ყოფილან საუკეთესო ხუროები, რომელთაც თრიალეთის ბევრ სოფელში შესანიშნავად მოჩუქურთმებული სახლები უკეთებიათ. მათ მიერ აგებული სახლები დაამოწმა ჩვენმა ექსპედიციამ სოფ. წინწყაროსა და გუნია-ყალაში. ამ სახლების ხის ჩუქურ-

---

[1] **Е. Такайшвили, Археологические экскурсии и разыскания**, ნაკ. I; მისივე, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა — ოლთისში და ჩანგლში, 1907 წელს, პარიზი 1938 წ. გვ. 54, **Н. Марр, Из поездки в Турецкий Лазистан, Изв. РАН., 1910, 7—8**, გვ. 630—631; ლ. ბოჭორიშვილი, ურუმი ქალის თავსაბურავი, მასალები საქართვ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. VI. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ურუმები“ წალკაში მოსულები არიან თურქეთიდან XIX ს. ოციანი წლების მიწურულში.

თმების ერთი ნაწილი შეძენილი იყო ექსპედიციის მიერ და გადაეცა საქართველოს მუზეუმს[1].

ლაზური ჩუქურთმა ხეზე, როგორც ითქვა, შეიცავს ისეთ მოტივებს, რომლებიც ძველ ტრადიციებსა და ძველ სიუჟეტებს ამჟღავნებს. მართალია ეს მოტივები ზოგჯერ მოცემულია მათზე შემდეგი დროის დანალექებთან ერთად, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ისინი ძველებური სახით გამოიყურებიან და, ახალი ტექნიკით



პერის ვარდული. სოფ. წინწყარო

---

[1] ეს ჩუქურთმები ექსპონირებული იყო ჯერ ენიმკის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ მოწყობილი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის პირველ სამეცნიერო სესიისადმი მიძღვნილ გამოფენაზე 1940 წ., შემდეგ საქართველოს მუზეუმის თემატურ გამოფენაზე — ქართული ხალხური ხეზე კვეთილობის ნიმუშები 1942 წ; ამჟამად ეს კოლექცია ექსპონირებულია საქართველოს ერთიან ეთნოგრაფიულ გამოფენაზე.

შესრულებულნი, თითქმის მთლიანად იცავენ უძველესი სიუჟეტის დეტალებს. ამგვარი ძველი ტრადიციებიდან მომდინარე სახეებისა და ობიექტების შემონახულობა ჩვენმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ არა ერთი და ორი იცის. ზოგი მათგანი უძველესი მითოლოგიიდან მომდინარეობს და ხალხის უძველეს მსოფლმხედველობასთანაა დაკავშირებული.

ლაზურ ჩუქურთმაში ერთ-ერთი ამგვარი მოტივია „სიცოცხლის ხე".

ხეზე ამოკვეთილი „სიცოცხლის ხის" სიუჟეტი თრიალეთში ჩვენ რამდენიმე დავამოწმეთ, მაგ., სოფ. წინწყაროში — არისტინოვის სახლში, გუნია-ყალაში — თურშოვების სახლში.

არისტინოვის სახლის „ოდაში" (სახლის ნაწილია) იგი ორი სახითაა მოცემული. პირველ მათგანზე წარმოდგენილია ხე, რომლის გვერდებზე, მარჯვენით და მარცხნით ანტიპოდი ცხოველებია ამოკვეთილი, ხოლო ამათ უკან სიმეტრიულად გამოყვანილია მზის სიმბოლოები. მეორეზე აგრეთვე მოცემულია ხე და მის მარცხნივ და მარჯვნივ ანტიპოდი ცხოველები (ირმები); მაგრამ ამათ გარდა აქ ამ სიუჟეტში ასახულია აგრეთვე ნიშანდობლივ მთვარე, მზე და ორი ვარსკვლავი. ნიკიფორე არისტინოვის ეს სახლი თავისი შემკულობით აგებულია გუნია-ყალელი ლაზის კონსტანტინე თურაშოვის მიერ 1883 წელს, როგორც ამას ადასტურებს აქვე ხეზე ამოკვეთილი თარიღი.

ამავე მოტივს ვხვდებით სხვა სახლებშიც, მაგრამ ხის ნაცვლად ქვაზე ამოკვეთილს. ყველგან ის დაკავშირებულია ბუხართან ე. ი. ცეცხლთან, კერასთან. კერასთან დაკავშირებული საკულტო დანიშნულების ორნამენტი ჩვენ მოგვეპოვება თრიალეთურ ოდების გარდა გლეხური დარბაზების — ცეცხლის, კერის მახლობლად მდგარ — დედაბოძებზე და დედაბოძების ბულაურებზე. ეს ორნამენტები, როგორც ქართლურ ისე მესხურ დედაბოძებზე, ძირითადად ასტრალური ხასიათისანი არიან. ცეცხლთან, კერიასთან იყო დაკავშირებული წინაპრის კულტი, რაც კარგად ჩანს სვანური ეგრეთწოდებული „ლიფანლის მხატვრობიდან".

ამ მხატვრობაში, რაც საახალწლოდ გამოჰყავდათ გარდაცვლილ წინაპართა სახელზე, სხვა სარიტუალო სიუჟეტებს შორის ქალები ხატავდნენ სვანურ ლეჭინდირებზე „სიცოცხლის ხის" სიუჟეტსაც, ეს სიუჟეტი წარმოდგენილი იყო შემდეგი ძირითადი ელემენტებით: ფიჭვის ხე, მის გვერდით მარცხნივ და მარჯვნივ თხები, აგრეთვე ადორანტი, მთვარე, ჯვარი, მზე და სხვ.[1]

ის გარემოება, რომ სვანური „სიცოცხლის ხის" მოტივი („სვანურად ეწოდება „გიგიბს იზბიხ დაჳარ" — თხები ფიჭს ჭამენ) მიცვალებულის კულტთან არის დაკავშირებული, რომ მას ქალები ხატავენ, ხოლო ნახატი პრიმიტიული ტექნიკით სრულდება — ამ მოტივის უძველეს წარმოშობაზე მიუთითებს. რაც შეეხება საკუთრივ სიცოცხლის ხეს და მის სიუჟეტს მთლიანად, მის ანალოგებს წარმოადგენს ჩვენში დიდად გავრცელებული ხის კულტი საზოგადოდ, ხოლო კერძოდ ხევსურული მეგრელიაურის მირონიანი მუხა, ფშაური ლაშარის ჯვარის ოქროს შიბიანი ბერ-მუხა, მცხეთის „სვეტიცხოველი", მარტვილის ჭყონდიდი, მეგრული „კელაპტარი" (მიცვალებულის ხე), ბავშვის სახელზე ხის დარ-

---

[1] ლიფანალის მხატვრობის შესახებ იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართული სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნება, თბილისი 1953.



ლაზური სიცოცხლის ხე. სოფ. წინწყარო

გვის გურული წეს-ჩვეულება, დასავლური ქართული ჩიჩილაკი, ხემხვივანი (ვაზის) და მრავალი სხვა[1].

თრიალეთის სიცოცხლის ხის მოტივს, გარდა სვანეთისა მრავალი პარალელი მოეპოვება, როგორც სხვა ქართულ, აგრეთვე კავკასიურ ეთნოგრაფიულსა და ისტორიულ სინამდვილეში. ეს მოტივი მოიპოვება ხეზე: ს. მლაშეს ჯამეში (მესხეთი), ს. ღორჯომში (აჭარაში), ქვაზე — საფლავის ქვებზე — ქართლში, იმერეთში; ქსოვილზე — ს. ბობოყვათში, ხალიჩაზე (ქობულეთი) და სხვ.



სიცოცხლის ხე, კარხემიში, Cantenan-ის მიხედვით

საქართველოს გარეთ იგი მოიპოვება ინგუშეთსა და დაღესტანში. ინგუშეთში ეს სიუჟეტი გამოხატულია თიხის ფილზე, რომელიც ნაპოვნია თხაბაერდის ტაძართან. ფილს აქვს წარწერა ქართული ასომთავრულით, რომელიც არ

[1] В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тбилиси 1957.

არის ამოკითხული[1]. დაღესტანში (ს. ყუბაჩი) აღმოჩენილი ნიმუში სიცოცხლის ხის მოტივით ეკუთვნის ეგრეთწოდებულ ალბანურ-დაღესტნური კულტურის შრეს. ასეთ ერთ-ერთი ძეგლის სიუჟეტში ხის ნაცვლად თევზია გამოხატული, რაც გვიადვილებს სიუჟეტის დედა-აზრის მიკვლევას.

მაგრამ ლაზური სიცოცხლის ხის მოტივის ანალოგები დასტურდება არა მხოლოდ ქართველ-კავკასიელ ტომებში, არამედ ის მოცემულია წინა აზიის უძველესი კულტურის ძეგლებზე. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ის დამოწმებულია ხურიტების მეტად თავისებურ ხელოვნებაში. ის მოიპოვება ტელ-პალაფსა, კარხემიშსა, იფლატუნ ფუნარსა და ზენჯირლში აღმოჩენილ ძეგლებზე[2].



სიცოცხლის ხე. ზენჯირლი. Muortgat -ის მიხედვით

ზენჯირლში აღმოჩენილ ძეგლებზე (თარიღდება ძვ. წ. მეათე საუკუნით) გამოსახული სიცოცხლის ხის სიუჟეტი პირდაპირ ანალოგს პოულობს სვანურ კიკოზს იზბიხ დაჯარ-ისა და წინწყაროს სიცოცხლის ხის მოტივთან: სპეციალისტების აზრით, ხურებიტების ხელოვნებაში დაცული სიცოცხლის ხის მოტივი

---

[2] Л. Семенов, Археол. и этнограф. разыскания в Ингушетии, Изв. Ингушского научно-исслед. Института. Орджоникидзе, II—III, გვ. 383.

[3] ა. მოორთგათი, ხეთელების ხანის წინააზიის ხელოვნება და ხალხები (გერმან.), ლაიპციგი, 1934. გვ. 21.

წარმოადგენს ძველ სუმერული სიცოცხლის ხის მოტივის თავისებურ ვარიანტს და იგი გენეტიკურად უკავშირდება ურში აღმოჩენილ მსგავს მოტივს[1].

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართულ-კავკასიური მასალების ეს დამთხვევა ხურიტულთან შემთხვევითი არ უნდა იყოს. არსებობს რიგი სხვა კულტურის ელემენტების შეხვედრა, რომელთა აქ მოტანა შორს წაგვიყვანდა და ამას ახლა ვერ გამოვეკიდებით[2].

მოკლედ აღვნიშნავთ, რომ 1. ლაზური ორნამენტი ხეზე უპირატესად მცენარეული და ცხოველური სახეებითაა წარმოდგენილი, ხოლო მისი ტექნიკას დამახასიათებელია ამოღარვა და პლასტიკური რელიეფი;

2. სიუჟეტის მხრივ ლაზურ ორნამენტში უძველესი მოტივებია მოცემული, რომლებიც დეკორატიულ დანიშნულებასთან ერთად მითოლოგიურ შინაარსს შეიცავენ.



სუმერული სიცოცხლის ხე. ური, Nielsen-ის მიხედვით

3. ლაზურ ორნამენტებში მოცემული სიცოცხლის ხის სიუჟეტს შეადგენს: სიცოცხლის ხე (სხვადასხვა ჯიშის), ცხოველების წყვილი („ანტიპოდები") და მნათობები( მთვარე, მზე, ვარსკვლავები).

4. სიცოცხლის ხის სიუჟეტი ქართულ ხალხურ ორნამენტში უძველესი სიუჟეტია და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფართოდაა გავრცელებული. დამოწმებულია: ხეზე, ქვაზე, ქსოვილზე. იგი მოიპოვება ქართულ ისტორიულ ძეგლებზე, ინგუშურ და ალბანურ-დაღესტნურ ობიექტებზე.

5. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს სიუჟეტი სვანურ ლიფანალის მხატვრობაში, რაც ამ სიუჟეტის სიძველეზე მიუთითებს.

6. ლაზურ სიცოცხლის ხის სიუჟეტს, ხოლო განსაკუთრებით მის სვანურ ვარიანტს ანალოგები მოეპოვება ხურიტულ ძეგლებზე. ამ ანალოგებს ამაგრებს ქართულ-კავკასიური კულტურის ელემენტების შეხვედრა ხურიტულ კულტუ-

[1] ლ. ვულლეი, კვლევა-ძიებანი ურში (ინგლ.), ტ. 11, ნიუ-იორკი, 1934 ტაბ. 57—59.

[2] გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, X, თბილისი 1941, გვ. 317 და შმდ.

რის სხვა ელემენტებთან. თავის მხრით ხურიტული სიცოცხლის ხის სიუჟეტი გენეტიკურად უკავშირდება მის სუმერულ ვარიანტს („ადამ და ევა").

7. სიცოცხლის ხის მოტივში ხის შეცვლა თევზით. ალბანურ-დაღესტნური ძეგლი ამტკიცებს, რომ ამ მოტივში ძირითადად ნაყოფიერების სიმბოლოა მოცემული. ქართველ ტომებში თევზი როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალა მრავალი მასალითაა დადასტურებული: თევზის ღვთაება ლარსა იმერეთში, საახალწლო კალმახი გურიაში, ცოცხალი თევზი უშვილობის რიტუალში — ტრიალეთში ქვის ქანდაკებანი — ვეშაპები და ვეშაპოიდები (სომხეთი, საქართველო.



ხის ორნამენტის ნიმუში

ლამარა გედუკიძე
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართული ავეჯი

ქართული ხალხური ხით ხუროობის მრავალფეროვან საგანძურში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ხის ქართულ ავეჯს. იგი ყურადღებას იქცევს თავისებური კონსტრუქციით, ფორმათა მრავალგვარობითა და საუცხოო ორნამენტული მოტივებით.

ქართველი მეავეჯის ესთეტიკური კონცეფცია მუდამ სინამდვილიდან ამოდიოდა. ავეჯის ფორმებს იგი ყოფაში, რეალურ სამყაროში ეძებდა. ამიტომ ხალ-



სავარძელი

ხური ავეჯი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მის ყოფასთან. იგი ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრების, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის გამოვლინებაა.

ქართული ხალხური ავეჯი წარმოადგენს მატერიალური კულტურის იმ უმ-

ნიშვნელოვანეს ნაწილს, რომელიც ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე შეუქმნია. იგი იძლევა ტრადიციული ავეჯის დამზადების წესებისა თუ ფორმების შესწავლის საშუალებას და შეიცავს უმდიდრეს მასალას მისი შემდგომი განვითარებისათვის.

ბიბლიოთეკა

საქართველოში ავეჯის ხელოვნების ჩასახვა-განვითარების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხალხური ავეჯის ეთნოგრაფიულ შესწავლას. ამ მხრივ მდიდარ მასალას იძლევა საქართველოს მთიანეთი. ხალხური ავეჯის ზოგიერთი ნიმუშები კერძოდ, სხვადასხვა სახის კიდობანი, კარადა, მერხი, ტახტი (ლოგინი), ტაბლა-სუფრა და სხვა, აგრეთვე მათი დამზადების ტრადიციები ყველაზე უკეთ შემონახულა: ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში, ხევსა და სვანეთში. ამავე კუთხეებში აქა-იქ შემორჩენილია ავეჯის ორნამენტირებული ფრაგმენტები, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევენ ჩვენ წინაპართა ხით ხუროობის ხელოვნების მაღალ დონეზე. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ავეჯი, როგორც კონსტრუქციის, ისე შემკულობის მიხედვით, ერთგვარ თავისებურებას ამჟღავნებს. ჩვენ ზოგიერთ მათგანს შევეხებით.

ხალხური ავეჯის ნიმუშებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სასხდომებსა და საწოლებს, რომელთა სილამაზე კონსტრუქციული ელემენტების



სკივრი

ოსტატური შესრულებით იყო მიღწეული. უნდა აღინიშნოს, რომ ფშავში დგანის ამ ორ სახეობას ზოგადად „სკამი“ ეწოდება, თუშეთში კი „მეხი“. ამ შემთხვევაში ტერმინები „მეხი“, „სკამი“ გვიჩვენებს, რომ ამჟამად დიფერენცირებული საწოლი და სასხდომი ავეჯი კონსტრუქციულად ერთი ტიპის ავეჯიდან უნდა მომდინარეობდეს. ისიც ცხადია, რომ სასხდომი ავეჯის ცალკე გამოყოფამ საწოლი ავეჯის სახეცვლილება გამოიწვია, ე. წ. ფუნქციონალურმა გათიშვამ კონსტრუქციული სხვაობა მოგვცა. საქართველოს მთიანეთში დამოწმებული მერხები სწორედ სახეშეცვლილი ავეჯის რიგს განეკუთვნება.

ხსენებულ კუთხეებში საძილედ განკუთვნილი დგამის ნაირსახეობა და მისი აღმნიშვნელი ტერმინების მრავალფეროვნება გვხვდება. დასაწოლ ავეჯს ხევსურეთში „ლოგინი“, „ტახტი“, ხევში — „საწოლი“, თუშეთში, „მეხი“ ეწოდება. ძველად საწოლად წნული ავეჯიც გამოიყენებოდა („ჩაფი“, „ჯინი“), რომელიც დღეს ხალხის მეხსიერებასღა შემოუნახავს.

დამოწმებული საწოლებიდან ყურადღებას იქცევს სვანური „კიდაბენ“-ი, რომელიც საწოლი ავეჯის ორიგინალური და ლოკალური სახეობაა. მის შესახებ მეტყველი ფაქტიური მასალა ქვემო სვანეთის მხოლოდ ზოგიერთ სოფელში შემორჩენილა. „კიდაბენ“-ი ოთხკუთხა მოყვანილობის მაღალგვერდიან საწოლს წარმოადგენდა, რომელიც ოთხ ფეხს ემყარებოდა. „კიდაბენ“-ს ფიცრის სეგმენტური ფსკერი ჰქონდა. იგი ძირგამოწნულიც ყოფილა. ამჟამად სვანეთის სოფ. ცახურაში დაცულია ხსენებული ტიპის საწოლი, რომელიც თავისი დანიშნულებით აღარ იხმარება. სხვაგან კი იგი მხოლოდ ფრაგმენტების სახითღაა შემონახული.

როგორც ჩანს, სვანური მასალა, „კიდაბენ“-ის სახით, საწოლი ავეჯის კიდევ ერთ სახეობას ავლენს და ცხადჰყოფს, რომ კიდობანი რთული და კომპლექსური ხასიათის დგამი იყო, რომელიც შეიცავდა ნაირგვარ კომპონენტებს, შესაძლებელია საწოლსაც. საფიქრებელია, რომ დიფერენცირებული სვანური ავეჯის სხვადასხვა სახეობას სახელი „კიდაბენ“ სწორედ ამის გამო შემორჩა. კიდობნის მრავალსახეობა ვეფხისტყაოსანშიც გვხვდება. აქ იგი ტახტრევანის მნიშვნელობითაც იხსენიება:

„მათ კიდობანი მოიღეს
... მას შიგან ჩასვეს იგი მზე“ (50 1—2)

შემდეგ

... „მათ ნავიდაღმა მათ რომე, გადმოსვეს
კიდობანითა,
აჰხადეს, ქალი გარდმოსვეს უცხოთა რამე
ტანითა“ (1128, 3)

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დღეს, კიდობანი უმთავრესად მარცვლეულისათვის განკუთვნილი ავეჯია, ძველად კი იგი ტალავარისა და იარაღის საცავადაც ყოფილა გამოყენებული. ფშავ-ხევსურეთში, რამდენიმე განყოფილებიანი კიდობნის კეთებაც სცოდნიათ. იგი სხვადასხვა სახის ნივთების საცავს წარმოადგენდა. ერთი სახის ავეჯი, რომელშიაც ერთდროულად თავსდება სხვადასხვა ხასიათის ნივთები, კომბინირებულად შეიძლება ჩაითვალოს. ამგვარ ავეჯს უნდა ასახავდეს ხევსურული „კიდობან-კარადა“. ავეჯის ამავე კატეგო-



მერხი

რიას შეიძლება განეკუთვნოს თუშური „კიდობანი გამოსაღებელაი“-თ. ეს უკანასკნელი განსხვავებული ფუნქციის მქონე ორ სათავსოსაგან შედგება, სადაც „გამოსაღებელაი“ (კიდობნის სარქველზე მიმაგრებული საკოვზე ყუთი) წარმოადგენს კიდობნის ერთ-ერთი თვალის ცალკე გამოყოფის საწყის ფორმას.

როგორც ვხედავთ, ქართველ მთიელებს კომბინირებული ავეჯის კეთებაც სცოდნიათ და იგი, საცხოვრებელი ფართობის რაციონალურად ათვისების უზრუნველსაყოფად, მოხერხებულადაც გამოუყენებიათ.

ხალხური ავეჯისათვის ორნამენტი, რომელიც დღეს მხოლოდ ნივთის დეკორატიულ გაფორმებას ემსახურება, მეტად დამახასიათებელი მოვლენაა. ავეჯის შესამკობად ქართველ მოხელეებს სხვადასხვა სახეები გამოჰყავდათ. ამ პროცესს „დაჭრელება“ ეწოდება, გამოსახულ ორნამენტს კი „ჭრელი“. საქართველოს მთიანეთში დაცული ავეჯი უმთავრესად გეომეტრიული ჭრელითაა შემკული: „ბორჯღალა“ (მზე), „ხუთა“ (ვარსკვლავი), „ხატი“ და სხვა. ეს ორნამენტები, რომლებიც თავის პარალელს საქართველოს მრავალ კუთხეში (მესხეთი, აჭარა, იმერეთი და სხვა) და მის გარეთაც პოულობს, სოლარულ ნიშნებად არის მიჩნეული და მათი უმრავლესობა წარმართულ სარწმუნოებას უკავშირდება. ე. ი. ავეჯის ისეთი კომპონენტი, როგორიცაა ორნამენტი, ორგანულად მომდინარეობს თვით შემოქმედის მსოფლშეგრძნებიდან და მისი საკუთარი მხატვრული აზროვნების შედეგს წარმოადგენს.

ამრიგად, ხალხური ავეჯის შექმნისათვის ძირითადი და აუცილებელი იყო: აზრის ლაკონიურობა, ყოველი დეტალის მიზანშეწონილად გამოყენება, ფუნქციის გათვალისწინება. ქართველი მეავეჯე მუდამ ცდილობდა ეჩვენებინა ქართული სტილი, მისი თავისებური ეროვნული კოლორიტი და უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამოცანას, თავისი ოსტატობის მეოხებით, ჩინებულად გაართვა თავი. მრავალსაუკუნოვანი ტრადიციითა და ხანგრძლივი პრაქტიკული ცოდნის დაგროვებით ხალხმა გამოიმუშავა მეთოდი და წესები, რაც საავეჯე მასალის შერჩევის შესაძლებლობას იძლევა. შესანიშნავია ხალხური გამოცდილება კომპლექსური ავეჯის შექმნის დარგში, საგნის ფუნქციის მიხედვით ხის ჯიშების



საწოლი

შერჩევა, ავეჯის მოხერხებული განლაგება ინტერიერში და სხვა. ხალხური ავეჯის უდიდესი მნიშვნელობა, უპირველესად, მის პრაქტიკულ დანიშნულებაშია. განსაკუთრებით დიდია მისი ფორმების გამოყენების შესაძლებლობა არქიტექტურაში — საცხოვრებელი სახლის ინტერიერში. ეს ხალხური მონაპოვარი, ვფიქრობთ, საგანგებო მოვლა-დაცვასა და გათვალისწინებას საჭიროებს.



ქართლის მელესი. კანკელის კოჯი

ზურაბ ბასილაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული კევრი

სალეწი იარაღი — კევრი, ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უძველესი კულტურული მონაპოვარია. ქართველმა მეურნემ მის დამზადებაში თავისი მდიდარი ემპირიული ცოდნა ჩააქსოვა, რომელიც მრავალსაუკუნოვან ტრადიციასა და პრაქტიკულ საქმიანობაზე იყო დაფუძნებული.

კევრს, (საბა ორბელიანის მიხედვით — „კევრი სალეწი ფიცარია") ქართლში, სვანეთში, მესხეთში და სხვა კუთხეებში, უმთავრესად, ფიჭვის ხისაგან ამზადებდნენ. ფიჭვის უპირატესობა სხვა ჯიშის ხეებთან შედარებით იმაში მჟღავნდება, რომ ხალხის შეხედულებით იგი ადვილად სათლელი და „თვისებიანი" ხეა; სიცხეში „ფიჭვის კევრის ხე" კოხებს მაგრად „იჭერს" და ხმარებაში



კალოობა კახეთში

მას „ძარღვები" და „პირი" უჩნდება, რაც ხელს უწყობს თავთავის გაჭრა-დაფშვნას. თუ ფიჭვის ხე არ ჰქონდათ, მაშინ ნაძვს იყენებდნენ: „ნაძვი უნდა დაეხჭაროს ფიჭვსო". სტ. მენთეშაშვილის ცნობით, კახეთში კევრისათვის ფოთლოვანი ჯიშის ხეებიც გამოიყენებოდა, კერძოდ იფნი და თელა.[1]

[1] სტ. მენთეშაშვილი, კევრი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტფილისი, 1936 ტ. IX.



ქართული კევრი

საკევრედ შერჩეულ ხეს ქართული ცულით მოჭრიდნენ და წალდით გასხეპდნენ. დაუბამდნენ უღელ ხარს და დამორილ „საკევრე ხეს“ სახლში მიიტანდნენ. ორი-სამი დღის შემდეგ დაიწყებდნენ „კევრის გათლას“. საკევრე ხეს გადაზომავდნენ, ორი არშინი „საკოხე“ და ერთი არშინი კევრის „ყელის“ („თავი“) ადგილი იყო. ბამბის ძაფს დანაყილ ნახშირში გაავლებდნენ, საკევრე მორის თავსა და ბოლოში გადაჭიმავდნენ და „საკევრე ხაზს“ აღნიშნავდნენ ე. ი. საიდანაც „კევრს ამოიყვანდნენ“. კარგი ოსტატი ცულით „კევრის თავს“ ამოხრიდა, რადგან კალოზე მუშაობის დროს „თავაწეული“ კევრი ნამჯას არ იხვეტდა. კევრის „სამუშაო პირი“ საორხელო ხელეჩოთი ითლებოდა, სანამ „კევრის სისქეზე“ (სამი თითი) არ დავიდოდნენ. კევრის „სამუშაო პირი“ „ძიგძაგებად“ ან „ცერად“ იხაზებოდა, ხოლო „საკოხე“ ადგილს შალაფით ან სატეხით ამოიღებდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ კევრის ლეწვითი უნარიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კევრის მოკოხვის ტექნიკას და მასალას. სპეციალისტები ანსხვავებენ მოკოხვის სამ სახეობას: ა) კოხი, ბ) კოხი-რკინა და გ) რკინა.[1] საქართველოში უმთავრესად ორი სახის „მოკოხვა“ დასტურდება:

---

[1] სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

კოხი და კოხი-რკინით. ამ მხრივ საგულდაგულოდ არჩევდნენ კევრის კოხს. ბორჯომის ხეობაში კევრის მოსაკოხად ხმარობდნენ მაგარი ჯიშის „წყლის ლოდის ქვას“, ხოლო ატენელი მეკევრეები მდ. მტკვრის რიყიდან ეზიდებოდნენ მუშტის სიდიდის მაგარი ჯიშის „ნაჩვრეტ-ნაჩვრეტი“ ქვას, რომელსაც „წითელი ფერი“ დაჰკრავდა. საკოხე ქვას გუთნის საკვეთელით ამტვრევდნენ — „ანაფოტებდნენ“, იმ ზომაზე როგორიც საკოხე იყო და ხის ხვედის დარტყმით აწყობდნენ საკოხეში კოხს, რათა „სამჭრელო პირი“ ანუ „ფხა“ არ გაფუჭებოდა. კოხებს ისე გააწყობდნენ, რომ ყველა „კოხს“ („ქვა“) „ბჯა გაეტეხა“ და თავთავი „გაეჭრა“.

საქართველოში იცოდნენ მრგვალი, ოთხკუთხა ან რომბისებური, სწორი და ბრტყელი კოხებით კევრების გაწყობა. დაკოხილ ფიცრებს ერთმანეთზე მიაწყობდნენ და ხის რიკით შეაერთებდნენ. კევრს „ზურგზე“ გასამაგრებლად თავსა და ბოლოში ორ „უღელს“ დააკრავდნენ. კევრის „სათავო უღელზე“ გაუკეთებდნენ ღვედს, რომლის საშუალებით გამწევ ძალას დაუბამდნენ და კალოზე გაიტანდნენ, კახეთში, მესხეთში და სხვა კუთხეებში, ხმარებაში იყო: „ერთი“, „ორი“ და „სამ“ ფიცრიანი კევრები, მათ შორის უფრო „ორი ფიცრისაგან“ შეკრული კევრები იყო გავრცელებული. კევრში გამწევ ძალად უღელ ხარს ან ცხენებს (აქედან „ცხენის კევრი“) აბამდნენ, კამეჩის შებმა კი იშვიათი იყო. ხალხის გაგებით კამეჩი ზამთარში სიცივეს და ზაფხულში სიცხეს ვერ იტანდა. ამას ადასტურებს ხალხური ლექსი:

„ეხ, ცუდი ხასიათი მაქვს
ვერ გავეწყობი კევრსაო,
კევრიდან კი გამომიშვი
გინდა მაზრძოლე ძელსაო.

ახალ, „ხამ“ კევრს კალოზე გატანის დროს „ზურგზე“ ხის პატარა ჯვარს დაასვამდნენ, რომ თვალი არ სცემოდა კალოს. იცოდნენ ახალ კევრზე თონის პურისა და მარილის დადება, რაც ხალხის გაგებით ოჯახს ბარაქას მოუტანდა. საყურადღებოა ასევე კევრის დაობებულ პურზე „შეყენება“ და გადატარება, რაც მორწმუნეთა აზრით ხვავს მოიტანდა.[1]

მე-19 საუკუნის მიწურულისათვის გამზადებული კევრი 4 ჩანახი, ხოლო დაუკოხავი 2,5 ჩანახი პური ღირდა. როგორც ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, ხე-ტყით მდიდარი ხეობების მოსახლეობა თავიანთი ნახელავით ამარაგებდა სამიწათმოქმედო რაიონებს და აწარმოებდა ხის ნაკეთობათა გადაცვლას მათთვის საჭირო პროდუქტებზე, უმთავრესად ჭირნახულზე. შეინიშნება, რომ ხის მოხელეობის დარგობრივ სახეობებს, ხშირად განსაზღვრავდა მის მეზობლად მდებარე რაიონებში განვითარებული მეურნეობის დარგები. მაგ., შიდა ქართლში განვითარებულ ინტენსიურ მიწათმოქმედებას დიდი რაოდენობით ესაჭიროებოდა სახვნელი იარაღები და კევრები, რომელსაც ის ღებულობდა ხის მოხელეობის ისეთი ცენტრებიდან, როგორიც იყო ატენის, ბორჯომის, ლიახვის და სხვა ხეობები. ქართლის მოსახლეობა, შემოტანილ კევრებში უპირატესობას ანიჭებდა „ატენურ კევრებს“, რომლებიც „ქონიანები არიან და გვიან ბერდებიანო“.

---

[1] ვ. ჯალაბაძე, ალმოს. საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ. 1960. გვ. 131.

ღსანიშნავია, რომ უძველესი სამეურნეო იარაღი — კევრი საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული პერიოდიდან ჩანს. მისი ნაშთები ნაპოვნია ძველი იბერიის მიწათმოქმედების ისეთ ცენტრებში, როგორიცაა მცხეთა, ხოვლე, ცხინვალი და უფლისციხე. ამათგან ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მცხეთის, უფლისციხის და ცხინვალის სამარხებში „კევრებზე“ მიცვალებულები ესვენა. „მცხეთური კევრი“ ძვ. წელთაღრიცხვის VIII—VI საუკუნეებით[1], ხოლო „უფლისციხური კევრი“ ძვ. წელთაღრიცხვის III—I საუკუნეებით თარიღდება[2].




განათხარი კევრი ხანლარიდან (აზერბაიჯანის სსრ)

„მცხეთური კევრი“ ხმარებაში ყოფილა და ლეწვითი უნარიანობის ამაღლების მიზნით „საკოხეებში“ მაგარი ჯიშის ბაზალტის ქვის „კოხები“ ჩაუწყვიათ. აღსანიშნავია, რომ აღმოჩენილი კოხები თანატოლი და ნახევრად მომრგვალებუ-

---

[1] ტ. ჩუბინიშვილი, მიცვალებულის კევრზე დასაფლავება სამთავროში, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XII, № 1, 1951, გვ. 61.

[2] დ. ხახუტაშვილი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბილისი 1965 გვ. 45.

ლია, რაც ქართული კევრისათვის (მრგვალ კოხიანობა) არის დამახასიათებელი. ვფიქრობთ, რომ „მცხეთური კევრი“ (მრგვალ კოხიანი) ფორმით „თავაწეული“ იყო. ამ მოსაზრებას ამაგრებს 1960 წ. ხოვლე-გორაზე (კასპის რაიონი) აღმოჩენილი, მრგვალი კოხებით გაწყობილი ნაძვის ხისაგან გამოთლილი ოთხი კევრი, რომლებიც ძვ. წელთაღრიცხვის XI—X საუკუნეებით თარიღდება.[1]

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განათხარი კევრების შესწავლას იმ მოსაზრებამდე მივყევართ, რომ მათი გაჩენა-გავრცელების დრო გვიან ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანას მივაკუთვნოთ, (ძვ. წ. აღრ. XIV—XI ს. ს.) ამ მოსაზრებას მხარს უჭერს, ერთი მხრივ, აღმოჩენილი, მაღალოსტატურად გათლილ-დამზადებული კევრები და „კევრის“ ნაშთები, ხოლო მეორეს მხრივ — ის გარემოება, რომ აღნიშნული პერიოდისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე“... ზის მიწათმოქმედი მესაქონლე, მეტალურგიაში გაწაფული მეომარი მოსახლეობა“[2].

განათხარი კევრები ნაპოვნია ა/კავკასიის სხვა ადგილებშიაც ახტალა (სომხეთის სსრ) და ხანლარი (აზერბაიჯანის სსრ)[3]. უნდა შევნიშნოთ, რომ განათხარ კევრებზე უმეტეს შემთხვევაში, მიცვალებულები იყვნენ დასვენებული როგორც, ჩანს, მიცვალებულის კევრზე დასაფლავების ჩვეულება საერთო მოვლენა იყო ამიერ კავკასიის ხალხებისათვის. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს წინა აზიის ძველი მოსახლეობის, სირიელების წეს-ჩვეულება, სირიელები, მიცვალებულს დამარხვამდე კევრზე დაასვენებენ, რადგან მათი გაგებით კევრი — „წმინდა“ სამეურნეო იარაღია. ეს ფაქტი დამოწმებული აქვს XIX საუკუნის 70-იან წლებში ეთნოგრაფ ვეტცშტეინს.[4] ეთნოგრაფი გ. ჯალაბაძე ზემო აღნიშნულ გარემოებას და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი განათხარი კევრების საკითხს მეტად საყურადღებო ფაქტად მიიჩნევს და წერს“... აქ გარკვევით მოჩანს წინააზიის ძველი სამყაროს მოსახლეობას შორის ის იდეოლოგიური საერთო ნიშანი, რომელიც მეურნეობის მაღალი დონის იარაღის გამოყენებაზე და ამ ხალხთა საერთო დიდ სამიწათმოქმედო კულტურის მატარებლობაზე მეტყველებს“.[5]

სპეციალურ ლიტერატურაში სალეწი იარაღები ორ ჯგუფად იყოფა: პირველ ჯგუფში შედის სალეწი იარაღი რომაული „ტრიბულუმ“, რომელიც ქართული კევრის მსგავსია, მეორე ჯგუფში კი — სემიტური წარმოშობის პუნიკური სალეწი იარაღი „პლოსტელუმ პუნიკუმი“. კავკასიაში ორივე ჯგუფის სალეწი იყო ხმარებაში, საქართველოში, როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩანს გავრცელებული ყოფილა მხოლოდ „ტრიბულუმის“ ტიპის სალეწი იარაღი, ე. ი. კევრი. რაც შეეხება მეორე სახის სალეწს — „პლოსტელუმ პუნიკუმს, „იგი სემიტური წარმოშობისაა და კავკასიაში მხოლოდ სომხეთშია დამოწმებული „ჭარჭარა“, ან „ჯარჯარას“ სახელწოდებით[6].

---

[1] რ. აბრამიშვილი, დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, ხოვლეგორაზე 1960 წ. მუშაობის შედეგები.

[2] საქართველოს არქეოლოგია, სახელმძღვანელო, თბილისი 1959, გვ. 188.

[3] ჟ. დე მორგანი --- სამეცნიერო ექსპედიცია კავკასიაში, ტ. I, პარიზი, 1889.

[4] **Я.Гуммель, Курган № 2, близ Ханлара, КСИИМК.**

[5] ვეტშტეინი — სირიული კევრი, ბერლინი, 1873 (გერმანულ ენაზე).

[6] გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 132.

„ჯარჯარა“ ახლოს დგას ეგვიპტურ კალოს იარაღ „ნურეგთან“ და შედგება სწორკუთხა ჩარჩოსაგან, რომელშიც გაყრილია ხის ღერძები. ამ ღერძებზე ჭადრაკულად არის გაწყობილი ლითონის გორგოლაჭები (ზოგჯერ ქვა). სტ. მენთეშაშვილის მიხედვით სომხური „ჯარჯარა“ და ეგვიპტური „ნურეგი“ კონსტრუქციით და დანიშნულებით ერთმანეთს ჰგვანან.[1] მაშინ, როდესაც ქართული კევრი, „ტრიბულუმ“ და „ჯარჯარა“ — „პლოსტელუმ პუნიკუმ“ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონსტრუქციით. კევრი — „ტრიბულუმ“ მარტივი აგებულების თავაწეული დაკოხილი ფიცარია, ხოლო ჯარჯარა — „პლოსტელუმ პუნიკუმის“ სამუშაო ნაწილი უძრავი კი არ არის, როგორც კევრისა, არამედ მოძრავი გორგოლებია. ამის მიხედვით ლეწვის პროცესი სხვადასხვა სახით ტარდება. კევრის ლეწვა სრიალ-ჭრა-ფშვნეტაზეა დაფუძნებული, ხოლო „ჯარჯარა“ „ნურეგისა“ — გორვა-ჭრა-ბეგვაზე. მიუხედავად კონსტრუქციული სიმარტივისა, კევრი უკეთესად ლეწავს, ვიდრე „ჯარჯარა“.

სპეციალურ ლიტერატურაში ადრე გამოთქმული იყო აზრი, რომ სალეწი იარაღი, რომაელთა მონაპოვარიაო, რადგან ამ იარაღის გამოყენება რომაელებში ძვ. წ. აღრიცხვის II საუკუნით თარიღდება. მაგრამ დღეისათვის ეს მოსაზრება მოძველებულად და არა სწორად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენს მიერ მოტანილი მასალებით და მათი არქეოლოგიურ თუ ისტორიულ მონაცემებთან შედარების შედეგად ირკვევა, რომ კევრი („ტრიბულუმ“) ა/კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ხანიდან (გვიან ბრინჯაოსა და ადრეული რკინისა) გამოიყენებოდა. ასეთი სიძველის სალეწი იარაღი — როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. გ. ჩიტაია — არსად არ გვხვდება.[2].

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიუთითებს, რომ კევრი ქართველი ხალხის ერთ-ერთი უძველესი მონაპოვარია, რომ ჩვენში სამიწათმოქმედო კულტურა და მისი შესაბამისი იარაღების ხელობა (მეკევრეობა) მაღალ დონეზე იდგა.



---

[1] სტ. მენთეშაშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 97.

[2] Г. Читая, этнографическая выставка Грузии, Советская этнография, აგრეთვე «Народы Кавказа» т. II, стр. 241.

მადლენა ხაზარაძე
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ხის სადღვებლები

## (ვარია, ჩხუტ-ბრუნელი)

ქართველი ტომები ძველთაგანვე ცნობილი იყვნენ ხის დამუშავების მაღალი კულტურით, რომლის მასაზრდოებელ წყაროს საქართველოს ტყით მდიდარი ბუნება და ადამიანის მრავალფეროვანი სამეურნეო საქმიანობა წარმოადგენდა. თუმცა საქართველოს ყველა კუთხეში ხის დამუშავება ერთნაირად როდი იყო დაწინაურებული. საქართველოს მთიანეთში, აგრეთვე ბარის ზოგიერთ კუთხეში ხის დამუშავებას მეურნეობაში მთავარი ადგილი ეჭირა. ქართველი ტომებიდან ხის დამუშავების მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდნენ ლაზები,



ხევსურული ვარია. სოფ. ღული

ვახუშტის დახასიათებით — „ხელოვანნი ხის მუშაკობით", სვანები, რაჭველები, იმერლები და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა კუთხეში — ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, ხევსა და მთიულეთში შინამრეწველობის სხვა დარგებთან ერთად საკმაო დონეზე იდგა ხის დამუშავების ხალხური ხელოვნება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყოფაში შემონახული ხის ჭურჭლის ფორმები, ორნამენტაცია, მდიდარი ტერმინოლოგია, იარაღები, დამზადების ტექნიკა, ხალხში დაუნჯებული ღრმა ცოდნა და საუკუნოებრივი საწარმოო

გამოცდილება ხის ჯიშების შერჩევის საქმეში იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს ამ მხარეში ხის დამუშავების ხელოვნებას თავისი განვითარების ხანგრძლივი გზა გაუვლია და სათანადო სიმაღლისათვის მიუღწევია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხის ჯიშების დიფერენცირებული გამოყენება ჭურჭლის სხვადასხვა სახეობათა დასამზადებლად.

ხის ჭურჭელი ფართოდაა გამოყენებული აღმოსავლეთ საქართველოს, მთიანეთის მოსახლეობის საოჯახო და სამეურნეო ყოფაში.

მესაქონლეობის პროდუქტების დამზადება-შენახვისათვის გამოიყენება — კასრი, საზეური, ზაკანი, საწველელი, ვარია, ჩხუტ-ბრუნელი, კინჭლე, საწური, საკალტე და სხვ. მემინდვრეობასთან დაკავშირებულია ვარცლი, ველვარცლი, ტაბაკი, ჩამა, ლათბა, გეჯა, ჩხუტი, ცხრილი, ცხავი; სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების — ჯამები, კოვზები, როდინი, ქუბდე, ქიტი, ქაფქირი, სასმისები, საწყაოები და სხვ.

ხის ჭურჭლის მრავალფეროვანი სახეობების არსებობას მთაში ამ ზოლის მეურნეობის სპეციფიურობა აპირობებდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ხევსურეთის მეურნეობის ტრადიციული დარგია მსხვილფეხა მესაქონლეობა, ხოლო მისი პროდუქტი, კერძოდ, ხევსურული ერბო განთქმულია თავისი შესანიშნავი თვისებებით, ისევე, როგორც თუშური ყველი, მეგრული სულგუნი და აჭარული კარაქი.

ხევსურული ერბოს საუკეთესო თვისებების გამპირობებელ სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად (ძროხის თვისებები, საკვები და სხვ.) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კარაქის შესადღვებ ხის ჭურჭელს — ვარიას.

ირკვევა, რომ სამეურნეო ტრადიციებს ხანგრძლივი დროის მანძილზე უპირატესობა ხის ჭურჭლისათვის მიუკუთვნებიათ თიხისა თუ ლითონის ჭურჭელთან შედარებით. ზოგიერთი მათგანის დამზადებისათვის საჭირო სამასალე ხის მოტანა მთიელ მეურნეს ხშირ შემთხვევაში შორი მანძილიდანაც უხდებოდა; მაგ: ხევსური სადღვებელის დასამზადებლად საჭირო სამასალე ხისათვის ფშავში მიდის, თუში — კახეთში. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სამგორში ჩამოსახლებული ხევსურები დღესაც ხის სადღვებელს იყენებენ საოჯახო მეურნეობაში.

მთიელი მეურნის პრაქტიკული ალღო და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მიღებული გამოცდილება ხის ჯიშების სამეურნეო გამოყენებისათვის შერჩევის დროს ვლინდება. თუ ტრანსპორტის ან სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადებისას ძირითადი ყურადღება ხის ჯიშების სიმაგრეს ექცევა, ჭურჭლის დამზადებისას, განსაკუთრებით თხიერი პროდუქტისათვის გათვალისწინებულია ხის შინაგანი თვისებები. მაგალითად, სადღვებლისათვის არ იყენებენ ვერხვსა და მურყანს, რადგან მათ მწარე გემო აქვთ, თელა დასველების შემთხვევაში ფართოვდება და სიმშრალეში იკუმშება. ვარიასთვის საუკეთესოდაა მიჩნეული ცაცხვი. იგი „მოქნილია“, არ სკდება, გასათლელად რბილია, და რაც მეტად საყურადღებოა, მას აქვს ერთგვარი „სიტკბო“, რომელიც პროდუქტზე კეთილგავლენას ახდენს. არ აშწარებს მას, არც სუნს აძლევს, რძეს მალე დღვებს და კარაქიც კარგი მზადდება.

ვარია ცილინდრული ფორმის, მთლიანი ხისაგან გამოთლილი, გულამოღებული და ორმხრივ დახურული ჭურჭელია, რომელსაც შუა წელზე ზემოდან

ამოჭრილი აქვს ოთხკუთხედად — „ვარიაის პირნი“ კარაქის ამოსაღებად, ხედ დაფარებული აქვს ძროხის ფაშვის ნაჭერი — „სერა“. ქვემოთ ძირზე ვარიას ტანს გაკეთებული აქვს ნაჩვრეტი — ლულა, საიდანაც გადმოდის რძე. ლულა ხის სალულე ჩხირითაა დაცობილი.

ვარიას დასამზადებელ საჭირო სამასალე ხეს უმეტესად შემოდგომით და ზამთარში ჭრიან, ვიდრე ხეს წყალი — „ლოპო“ (ხევსურეთში), „მოწი“ (თუშეთში) ჩაუდგება. წლის ამ დროს ხე მშრალი, „დაპურებულია“ და ასეთი ხისაგან დამზადებული ჭურჭელი მაგარია და არ სკდება.

ხის მოჭრის პროცესი მთვარის პერიოდებთანაცაა დაკავშირებული. ხალხური დაკვირვებით სამასალე ხე აუცილებლად ძველ მთვარეზე უნდა მოიჭრას. ახალ მთვარეჳე მოჭრილ ხეს ჭია უჩნდება, „იშაშრება“, სკდება. ეს გარემოება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია დადასტურებული.


ჩხუტ-ბრუნელი

ვარიას დასამზადებლად ტყეში არჩევენ ფუღურო „ღრუ“ ხეს, რომელსაც ცულის ტარის შემოკვრით ცნობდა ხის ოსტატი. ხეს ცულით მოჭრიან და ტყეშივე ამუშავებენ. „გაკაფავენ“ (ტოტებს გააცლიან), „გაქერქავენ“ (ქერქს მოაცლიან). ზომის მიხედვით გადაჭრილ მორს შალაფით გახვრეტენ ორივე მხრიდან, შემდეგ სატეხით გულს ამოუღებენ გარკვეულ სისქემდე და ღორეჩოთი ამოასუფთავებენ.

ვარიას დამზადების ყველაზე რთული პროცესი „დაძირვაა“ — ძირის ჩადგმაა, რომლის შესრულება მხოლოდ ხელოსანს შეუძლია. ვარიას ტანს თავსა და ბოლოში შიგნიდან გამოთხრიან „გამოწარბავენ“ საწარბავით. გამოთხრილ ადგილში საძირე ფიცრებს ჩადგამენ, რომლებიც წინასწარ არის დამზადებული და გამშრალი. გაშრობის პროცესში ვარიას სველი ტანი, მშრალ საძირეს ისე მჭიდროდ შემოეკვრება, რომ იგი შემდგომში სითხეს არ გაუშვებს.

ვარიას აშრობენ ჩრდილში ან ცეცხლზე.

იმისათვის, რომ ვარიას გამოყენების დროს თავიდან იქნას აცილებული სითხის გამოჟონვა, მას საძირეზე რკინის სალტეებს გადაუჭერენ, რომელსაც ხევსურეთში — „საკუდეს“, ხოლო ფშავში „ჭანჭიკებს“ უწოდებენ. ვარიას ძირების ზომა თანაბარი არ არის. ძირი, საიდანაც იწყება პატარაა, მოპირდაპირე კი — დიდი. ხალხის გადმოცემით, პატარა ძირიდან „ქანავს რძე, განიერ პირს ხვდება და რძე მალე იდღვიბება“. ვარიას ტანი ოდნავ ჩაზნექილია, რაც „დარტყმას აძლიერებს“ და აგრეთვე რძის მალე შედღვებას უწყობს ხელს. როგორც ჩანს, ხალხს რაციონალურად აქვს გამოყენებული მექანიკის წესები.

არსებობს ვარიას ძირის ჩადგმის მეორე ხერხი. გულამოღებულ ვარიას სახ-

ლში მიიტანენ და გასაშრობად ჭერხოში დადებენ. ვარია დაახლოებით ერთი თვე შრება, რის შემდეგ მას წყლით გაჟღენთავენ და ძირებს ჩაუდგამენ.

რძის პროდუქტების დასამზადებლად და შესანახად ხევსურულ კალოში სახლში გამოყოფილია სპეციალური ოთახი, რომელიც სენეს სახელწოდ[illegible] ცნობილი. ვარიას სენეს ჭერზე „საბელით“ (თოკით) ჰკიდებენ და ხელით ან ფეხით მოჰყავთ მოძრაობაში.

ვარია, რომელიც ხალხში ქართული სადღვებლის სახელითაა ცნობილი, ხევსურეთს გარდა გავრცელებულია ფშავში, აჭარაში, მესხეთში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულია ხის სადღვებლის მეორე ტიპი ე. წ. ჩხუტ-ბრუნელი, რომელიც ცილინდრული ფორმის, მთლიანი ხისაგან გამოთლილი, ერთი მხრიდან დახურული ჭურჭელია. იგი მიწაზე დგას ვერტიკალურად და მასში რძე სპეციალური ფირფიტებიანი ჯოხით ბრუნელით „ზირნელათი“ იდღვიბება. ჩხუტ-ბრუნელი ვარიასთან შედარებით პატარა მოცულობისაა.

ჩხუტ-ბრუნელი უმთავრესად თუშეთში და პირიქითა ხევსურეთშია გავრცელებული, სადაც მსხვილფეხა მესაქონლეობა სუსტადაა წარმოდგენილი და უმთავრესად მეცხვარეობაა განვითარებული.

ჩხუტ-ბრუნელის ტიპის სადღვებელი ცნობილია აგრეთვე კავკასიის სხვადასხვა ხალხებში: ბალყარეთში, ადიღეში, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთში. იგი ცნობილია აგრეთვე რუსეთსა და ევროპაში.



ზემო სვანეთი, ს. ჩაჟაში. უშგული

ნიკო რეხვიაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კერასთან დაკავშირებული საოჯახო რკინის ნივთები

ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და გამოცდილების საფუძველზე ბევრი რამ საყურადღებო და მნიშვნელოვანი შექმნა, როგორც სულიერი ისე ნივთიერი კულტურის დარგში. ამ ნაქმნართაგან ღირსსახსოვარია კერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საოჯახო რკინის ნივთი: საკიდელი, სამკვრე, კერა, ასტამი, საკორწილო კანდელი, ხათრითი, შამფური და სხვა, აღნიშნული საგნები ყურადღებას იქცევს თავისი აგებულებით და დანიშნულებით. მათ განსაკუთრებით ამშვენებს „წმასნილი" (დაგრეხილი) სახის ტანის ნაკვთები. გრეხილი ტანადობა მათ გარკვეულ სიმტკიცეს, შნოსა და სილამაზეს აძლევს. ასევე, ხელმარჯვე სახმარს ხდის.



რკინის სამკვრე

მიუხედავად იმისა, რომ რკინა ძნელად დასამორჩილებელი მასალაა და მისი ნებისმიერ მოყვანა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რკინის დამორჩილების მაღალმა კულტურამ მაინც თავისი გაიტანა. რკინის მოხელე ჩვენი წინაპრები არ ღალატობენ ტრადიციას განახორციელონ ამა თუ იმ ნივთში „სახმარი" და „სამშვენი" მხარეთა ერთობლიობა, შექმნან საგნის ფორმა-შინაარსის სისავსე, სადაც მარჯვედ არის გადაწყვეტილი პრაქტიკულ და ესთეტიურ მხარეთა ერთიანობა და თანაფარდობა.

ზემოაღნიშნულ კერასთან დაკავშირებული საგნებისათვის ტანის დაგრეხვა გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: დაგრეხილი რკინა შედარებით მაგარი და მტკიცეა; იგი სახმარადაც მარჯვეა (ხელში არ ბრუნავს) შესახედავადაც ლამაზია. განსაკუთრებით ზოგიერთ საგანს ამგვარი აგებულება ერთობ შნოიანს ხდიდა და თავისებურ ელფერს აძლევდა. უნდა აღინიშნოს, რომ ტანის დაგრეხვას მოითხოვდა მხოლოდ გარკვეული ხასიათის რკინის ხელადი. მათ განაპირო-

ზებდა საოჯახო მოთხოვნილებები. მაგ. ერთ ჭერქვეშ მოქცეული ოჯახისათვის საკმარისი არ იყო ჩვეულებრივი ზომის უბრალო და ცალმაგი საკიდელი, ამიტომ საკიდელს რამდენიმე ენიანს და განიერს აკეთებდნენ. ამის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნას დადეშქელიანთა საკიდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კერა (ცალი ფეხი)

რკინის საკიდელი, ანუ საქვაბე საოჯახო დანიშნულების ნივთია. იხმარება ქვაბთა საკიდლად საგზოლველისათვის ცეცხლზე. შუა ცეცხლიან დარბაზებსა, სამზარეულოებსა და თვით ბუხრიან სახლებში იგი აუცილებელი და საჭირო საგანი იყო და კერასთან ერთად სახლის „შინაში“ „ნაწილიან“ საპატიო საგნად იყო მიჩნეული. საკიდელი შედიოდა კერა-ცხვენის კომპლექსში და ითვლებოდა მათ ძირითად შემადგენელ ნაწილად. საკიდელი სხვადასხვა სახისა იყო. მათ ამზადებდა მჭედელი რომელიმე გამიზნული თარგის მიხედვით, ისე რომ მას ამისთვის არ გააჩნდა რაიმე წინასწარი დედანი, თუ ნახაზი. სამაგიეროდ მას ჰქონდა ტრადიციული ცოდნა-გამოცდილება და ახლის მიგნების კარგი ალღო. ამ მხრივ დადეშქელიანთა ზემო აღნიშნული საკიდელი უფრო ხალხური ხელოვნების ნიმუშია, ვიდრე უბრალო ნახელავი.

გრეხილი ხელადის ერთ-ერთი ტიპიური და საყურადღებო წარმომადგენელია საკვრე, ანუ სანათური, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი ლამაზი ვარეგნობითა და განსაკუთრებით შემკულობით. იგი სახიერებით, კომპოზიციით და „თვალადობით“ ისევე მდიდარი და მოხდენილია, როგორც ქართული საღვინე სასმისი — მარანი“. უნდა აღინიშნოს, რომ კერის კომპლექსში სამკვრეს სრულიად განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. სამკვრე დამახასიათებელი იყო უფრო მთიანეთისათვის კერძოდ, იმ ადგილების მოსახლეობის ყოფაში, რომელ-



ქართული კერა

თაც ახლო-მახლო ადგილებში გააჩნდათ წიწვიანი ტყეები სამკვრე ხის ჯიშებით: ნაძვი, ფიჭვი, ჩხირი, გიგიბი. იქ სადაც მკვრის შოვნის პირობები არ იყო, იქ სამკვრეს ცვლიდა საზეთე ლამპარი, ან სასანთლე, ჭრაქი, კანდელი და სხვა. სამკვრე ეკიდა კერის ახლო აღმართულ დედაბოძზე, ზედ ეწყო წმინდად „დაწიგნული“ და ანთებული კვარი, რომელიც ანათებდა სახლის შინას. სამკვრე შედგება ნერჩისა, ტოტებისა, გუმბათისა და საკიდარი ჯაჭვისაგან.

ჩვეულებრივად საკვრე შემკულია ორნამენტებით და ცხოველთა რელიეფური გამოსახულებებით. აქ წარმოდგენილია ჯიხვის, ხარ-ირმის, ხარის, თხის, არჩვის, შველის და ვერძის თავრიელის ქანდაკება. ეს ის ცხოველებია, რომლებიც გარს ერტყა ადგილობრივ მოსახლეობას და გარკვეულ როლს ასრულებდა მათ სამეურნეო ცხოვრებაში.



დადიანური საკიდელი

უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველთა თავრიელის მიხედვით სამკვრეზე წარმოდგენილია ძირითადად მამალი სქესის ცხოველების თავრიელი. ამ მიმართებით შეიძლება შემთხვევითი არ იყოს, რომ რკინის საგნებზე, რომელიც ქართველ ხალხსა და კავკასიის მთიელებში მიჩნეულია მამა მჭედლის, ამირანის წმინდა გიორგის, სოლომოს, შაშვის და ტელეფსის ნამოქმედრად, მამრი სქესის წარმომადგენელი ცხოველებია გამოსახული.

გრეხილი რკინის ხელადის მესამე მთავარი წარმომადგენელია კერა. იგი სხვადასხვა სახისაა. ამის კვალობაზე განირჩევა მოყვანილობით, სიდიდითა და შემკულობით. ამ შემთხვევაში მსჯელობა ეხება ე. წ. ქართულ კერას, რომელიც გავრცელებული იყო უფრო ქართლში, სადაც მისი გამოყენება ძირითადად დარბაზული სახის შუაცეცხლიან სახლებს ახასიათებდა. რკინის კერის მთავარი ფუნქცია იყო ცეცხლმსახურება. წარმოადგენდა მუგუზლების თავსაყრდენს, რომელთა ქვეშ გაწყობილი იყო კერის ყვერფი და მასზე დანთებული ცეცხლი. მუგუზლების გრძლად და თავწაშვერილად გაწყობა გაპირობებული იყო მასზე დამხობილი თიხის კეცების გახურების საჭიროებით და სავსებით შეესაბამებოდა მაშინდელი ოჯახის დიასახლისობის პირობებს.

უნდა ითქვას, რომ რკინისას, ზოგიერთ კუთხეში, შეესაბამებოლა ქვის კერა.

ეს უკანასკნელი შედგებოდა ორი ნაწილისაგან, ისინი კუთხედად იყო გამოყვანილი და საძირე ქალამნით ერთდებოდა. თითოეული თავი წარმოადგენდა კუბისებური მოყვანილობის „მხარს“, მარჯვენა-მარცხენა მხარს ერთზე გამოხატული იყო „მთვარე“, მეორეზე — „მზე“.

რკინის კერა ნაწილობრივ ან მთლიანად გრეხილი ტანისა იყო. გარეგანი შეხედულებით იგი ქვის კერას ჰგავდა. იგი შედგებოდა მარჯვენა-მარცხენა ფეხისა და მათ შორის გაწვდილი ბრტყელი გამირისაგან. ეს უკანასკნელი შეიძლება ცალი, ან წყვილი ყოფილიყო, ან სამი და ოთხმაგი. გამირებს შორის მოქცეული სიცარიელე გაწყობილი იყო ხარიხული წესით, ან გაწვდილი სახით დაგრეხილი რკინის რიკულებით. ამგვარი კონსტრუქციის მიხედვით კერა სასიამოვნო გარეგნობისა და მოხერხებული აგებულების ნივთი იყო, რომელიც კარგად იყო მორგებული თავის პირად ფუნქციას და კერის საპატიო მოვალეობას წართებულად ასრულებდა.



საქორწილო კანდელი

კერას ჰქონდა განზე გადგმული ფეხები, რომელთა გაყოლებით, როგორც სამკვრეს, ცხოველთა გამოსახულება („თავრიელი“) ამშვენებდა. გამოსახულებათა შორის და კიდეებზე კერა დაჭრელებული იყო სხვადასხვა ორნამენტებით.

კერასთან დაკავშირებულ რკინის საოჯახო ნივთების წყებას განეკუთვნება აგრეთვე საქორწილო კანდელი, რომელიც ძალზე თავისებური და ორიგინალური სახისაა. იგი ყურადღებას იქცევს ლამაზად „წმასნილი“ ტანადობითა და რაც მთავარია, თავისი დანიშნულებით. როგორც სახელი უჩვენებს საქორწილო კანდელი, ნეფე-დედოფლისადმი მისართმევი საჩუქრებისათვის იხმარებოდა. ქორწილის დროს ნეფე-დედოფლის ახლობლები და ნათესავები რიგ-რიგობით „ააყვავებდნენ“ მას, ჰკიდებდნენ საჩუქრებს, შემოსავდნენ ტკბილეულით და ხილით, მიანთებდნენ სანთლებს და ამ სახით „აყვავებულს“ წინ დაუდგამდნენ მათ. ხილსა და ტკბილეულს მაყრები მიიღებდნენ, ხოლო საჩუქრები ნეფე-დედოფლისა იყო.

ასევე, ქართველი ხალხის აზრმახვილი დაკვირვებისა და გონივრული მიმხვდარობის საინტერესო ნამოქმედარს წარმოადგენს მწვადის საწვავი ხუთთითა შამფური, რომელსაც ხათრითიც ეწოდება. იგი ისეა აგებული, რომ თითოეულ მის თითზე წამოგებული მწვადი, შამფურის ტრიალის დროს, ისე იწვის ერთი მეორის ცვარში, რომ არც ერთი წვეთი მისი უბრალოდ არ იკარგება. ამავე დროს მას გააჩნია საყრდენი ფეხი, რომელშიაც იგი თავისუფლად ტრიალებს და მწვადიც ნებაზე იწვის ხოლმე.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს რომ კერასთან დაკავშირებულ რკინის ნივთებზე წარმოდგენილი ზოომორფიული გამოსახულებანი „თავრიელის“ სახით, და ზოგიერთი ჭრელი ამ საგნების აღნაგობაში უბრალო სამკაული კი არ არის, არა-

ნედ ორგანულადაა ჩაქსოვილი პრაქტიკული დანიშნულებით. სახმარ და „სამშვენ“ დანიშნულებათა ამგვარი შერწყმა, როგორც ითქვა, ქართველი ხალხის გონივრული მიმხვდარობის გამოხატულებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აღნიშნულ გამოსახულებათა იდეური მხარე. როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის ძველი შეხედულებების მიხედვით — გამოსახულება, რეალური საგნის ორეულს „ზერანს“ წარმოადგენს. მას, საგანთა და მოვლენათა მიმართ იმავე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, რაც თვით დედანს. ნადირთა და შინაურ ცხოველთა ქანდაკებების წარმოდგენას კერასთან დაკავშირებულ საგნებზე მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა და „დაბედება“-ს ისახავდა მიზნად. საკიდელი, სამკვრე, თუ კერა სინათლისა და სითბოს ციურ წყაროსთან — მზე მთვარესთან იყო ასოცირებული. მზე „დამბადებლის“ და მთვარე „შემქმნელის“ თავისებურ ემანაციას წარმოადგენდა. მათზე მოცემული ცხოველთა „თავრიელის“ გამოსახულებანი საღვთო წმინდა ცხოველთა ხატებაა.

ცნობილია, რომ ქართველ-კავკასიელ ხალხთა ძველი მსოფლმხედველობის მიხედვით სხეულის რომელიმე ნიშანდობლივი ორგანო-თავრიელი, გული, ღვიძლი, კუჭი, თუ სხვა, მთელი სხეულის ნიშანსვეტად და მაცოცხლებელ ძალად ითვლებოდა. ამ შემთხვევაში „თავრიელის“ გამოსახულებას ეს მიზანი ჰქონდა.

უსარკმელო ძველ სახლების შინაში, მკვრით განათებული შუქის ფონზე, კერის თავზე, დედაბოძზე დაკიდებული სამკვრე მითიური თქმულების — ციდან ჩამოკიდებულ გვირგვინს ჰგავდა და თავისი დიდებული ქანდაკებებით ზღაპრულ იერს იღებდა.



სამეგრელო. სოფ. ოცინდალე. კარის ფრაგმენტი

ციალა ყარაულაშვილი
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ხალხური საფეიქრო იარაღები

ხალხური ფეიქრობა თავის საწყისს შორეულ წარსულში იღებს. ამას ნათლად მოწმობს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი საფეიქრო დანიშნულების იარაღები — კერძოდ, ნართის დასამუშავებელი: კვირისტავები და თითისტარი. კვირისტავები ძირითადად ქვის, ძვლის და თიხისა გვხვდება; მინგეჩაურში კი ხის კვირისთავი და თითისტარი იქნა აღმოჩენილი. ყველაზე



ჯარაზე რთვა (უკანა ფშავი)

უძველესი კვირისტავი (რომელიც საგვარჯილეში იყო აღმოჩენილი) ნეოლითური ხანით თარიღდება. ამ არქეოლოგიური მასალის მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ნეოლითური ხანის ადამიანმა უკვე იცოდა რთვა (საქსოვი ნართის დამზადება) და ამდენად საფეიქრო საქმის ჩანასახებთან უნდა გვქონდეს საქმე. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ გარდა კვირისტავებისა, ენეოლითური ხანის კერამიკულ ჭურჭელზე ქსოვილის ანაბეჭდებიც გვხვდება. უფრო მოგვიანო ხანის არქეოლოგიურ მასალებში კი თვითონ ქსოვილის ფრაგმენტებიც ჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საჩეჩელი

როგორც ამას ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, საქართველოს სინამდვილეში შემონახულია საქსოვი იარაღების ცალკეული ეგზემპლარები და ზოგჯერ მთელი კომპლექსიც.

როგორც ცნობილია, ხალხურ ფეიქრობაში გამოყენებული იყო შედარებით მარტივი სახის ხელსაწყო-იარაღები. ეს ხელსაწყო-იარაღები შრომის პროცე-



ჯარა

სებთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს: 1) ნართის დასამუშავებელი: მატყლის სარეცხი, საჩეჩელი, „საპენტი“, „საპენტი ლასტი“, თითისტარი (სართავ-საძახი), კვირისტავი, „სახრელი“, „ჯარა, „მანჯანიკი“ (აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი მოწყობილობა), „ჩიხრიხი“ (ბამბის საწმენდი), ხის ფირფიტები (ძაფის დასახვევი) და სხვა.

2) ქსოვილის დასამზადებელი ხელსაწყო-იარაღები — საქსოვი დაზგები: „ყდანი“, ხალიჩა-ფარდაგის საქსოვი, „საფეიქრო“, ჭილობის საქსოვი, ხონჯრის საქსოვი და სხვა.



დასართავი ხელსაწყოები

3) ქსოვილის დასამუშავებელი-მოსათელი, გასაწევი, გასაუთოებელი-გასატკეცი. წინდისა და ნაქსოვი ფეხსაცმლის გადასაჭიმი ხის ყალიბები, აგრეთვე შალის ქსოვილის გასაჭიმად და საუთოვებლად გამოყენებული ხის ხელსაწყოები.

ზემოთ დასახელებული ხელსაწყო-იარაღების საშუალებით წარმოებდა სხვადასხვა მასალისაგან (მატყლი, აბრეშუმი, ბამბა, სელი, კანაფი), მრავალნაირი სახის ქსოვილების (შალი, „მერდინი“, „თავთა“, „ხამი“, „ლაინი“, ფარდაგი, ხალიჩა, ჯეჯიმი, ხურჯინი, საცალო ტომარა, „ყაჯარი“ და სხვა) დამზადება.

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ მასალაც განსაზღვრავდა ხელსაწყო-იარაღის ზომასა და ფორმას. მაგალითად, აბრეშუმის სართავი თითისტარი უფრო მცირე ზომისა იყო, ვიდრე მატყლის დასამუშავებელი; ასევე, კვირისტავიც მისი შესაფერისი ზომისა უნდა ყოფილიყო.

სხვადასხვა სახის საქსოვი მასალა დამუშავების სხვადასხვა წესს მოი-

ითხოვდა. ამდენად, მათი დასამუშავებელი იარაღებიც განსხვავებული იყო. მაგალითად, მატყლის დასამუშავებლად ხმარობდნენ: მატყლის სარეცხს, საჩეჩელს, თითისტარს, კვირისტავს, „სახრელს“, საძახ ტარს, ჯარას, ნართის ხახვეწს“ და სხვა.

თივთიკის დასამუშავებლად გამოიყენებოდა: „საპენტი“, „საპენტი ლასტი“, ცალკბილა საჩეჩელი, თითისტარი.

აბრეშუმის ნართის ამოსახვევად გამოყენებული იყო — „მანჯანიკი“, (მანჯანიკის მოწყობილობაში შედიოდა: სპილენძის ტაშტი, ძაფის ამოსახვევი ჯარა, ძაფის ამოსაღები კაუჭებიანი ჯოხი), თითისტარი კვირისტავით, ძაფის დასახვევი ფირფიტები და სხვა.

ბამბის დასამუშავებლად — „ჩიხრიხი“, „საპენტი“, თითისტარი კვირისტავით, ჯარა.

ხალხური საქსოვი დაზგებიც, ძირითადად, ორ ჯგუფად იყოფა: ვერტიკალური და ჰორიზონტალური. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: „საქსოვი ყდა“ (რომელიც ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული). თავის მხრივ, „ყდა“ სხვადასხვა სახისა და ზომისა იყო: შალის, ხალიჩა-ფარდაგის, ჭილობის, ხონჯრის, საცრის საქსოვი და სხვა.

„საქსოვი ყდა“ წარმოადგენს ხის ჩარჩოს, რომლის გვერდის ხეებს „ყდეები“ ეწოდება: განისას — „ლილვი“, ყდებს ორივე მხარეს ამოჭრილი აქვს ოთხი „სალილკე თვალი“. ერთი ქვემოთა ნაწილში, სამი — ზემოთ. მასში ჩამაგრებულია „ლილვები“, ხის სოლების საშუალებით. იმის მიხედვით, თუ რა ზომის, ან დანიშნულების ქსოვილი სურთ, ზედა, სათავის „ლილვს“ ყდებში იმ ზომაზე აყენებდნენ. (ზედა — „წვერთაში“ — შალს, დიდ ფარდაგს, ჯეჯიმს ქსოვდნენ, შუა სალილვეში მცირე ზომის ფარდაგს და ხალიჩას; ხოლო ხურჯინსა და ყაჯარს ქვედა, მესამე სალილვეში.). ქვედა „ლილვთან“ პარალელურად მიმაგრებულ წკეპლაზე ქსელავდნენ. ყდებში ჩამაგრებული იყო „ქიჩები“. რომელიც „დგიმის“ ხეს იჭერდა. „დგიმის“ პარალელურად ქსელში გაყრილი იყო მრგვალი ხე — „გარა“ (რომელიც მეორე დგიმის ფუნქციას ასრულებდა). ამ საქსოვი დაზგის მოწყობილობაში შედის: „ცხემლა“, „წიწუ“, „ბეჭი“. „ცხემლით“ საზედაო ძაფი გაყავდათ ქსელში. „წიწუთი“ ქსელს ასწორებდნენ, ხოლო „ბეჭით“ ნაქსოვს ბეჭავდნენ.

ხალიჩ-ფარდაგს „ყდებზეც“ ქსოვდნენ და ცალკეც იყო ამავე ტიპის სპეციალური დაზგა, ყდაზე უფრო ფართე და ორ ფეხზე შემდგარი (ყდა კედელზედ იყო მიყუდებული).

ჭილობის საქსოვი დაზგა შედარებით მარტივი იყო. იგი უბრალო ჩარჩოს წარმოადგენდა; რომელიც არ საჭიროებდა სხვა დანარჩენ მოწყობილობას; როგორც ამას მოითხოვდა შალის, ან ხალიჩის საქსოვი ყდა.

რაც შეეხება, ზონრის საქსოვ — „სახონჯრე ყდას“, იგი მცირე ზომისაა და მას თან ახლავს 15, 20 ხის გრძელი ფირფიტა, რომლის საშუალებითაც აწარმოებდნენ ქსოვას.

საქსოვი დაზგების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება „საფეიქროს“ სახელწოდებით ცნობილი დაზგები.

საინტერესოა, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში რამოდენიმე სახის „საფეიქრო“ მოწმდება. თავისი აღნაგობით, ყველაზე უფრო პრიმი

ტიულია ორმოზე გამართული, ერთ დგიმიანი „საფეიქრო“ დაზგა. (ორმოს აქეთ-იქით ოთხ ბოძს ჩაარჭობდნენ — ორს ერთ მხარეს, ორს — მეორე მხარეს; მასზედ ხეებს გასდებდნენ და დაქსელავდნენ. ერთ „დგიმს“ ამოიყვანდნენ, ქსლის ქვეშ სკამს დაიდგამდნენ და ზედ გადააჯდებოდნენ. ფეხები ორმოში ჰქონდათ ჩაკიდებული და საფეხურებს ამოძრავებდნენ. საზედაო ძაფს უბრალო ჩხირით ატარებდნენ ქსელში და ხის „დაშნით“ ბეჭდავდნენ.

ასეთ საფეიქრო დაზგებზე ქსოვდნენ: „ხამს“, „ლაინს“, „მერდინს“, „თავთას“, ჯეჯიმს, შალს (მასზედ მოქსოვილ შალს „ადგილის შალს“ უწოდებდნენ).

ამგვარი საფეიქრო დაზგების არსებობა მოწმდება კახეთში, ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში. ანალოგიური დაზგების გამოყენება ცნობილია აზერბაიჯანსა და შუა აზიის ქვეყნებში.

ჩანს, საქსოვი დაზგის ეს სახეობა უძველესი კულტურის მონაპოვარია და მისი გავრცელების არეალიც შორს მიდის. ორმოზე გამართული საქსოვი დაზგები აფრიკის ხალხებშიც მოწმდება.

„საფეიქრო“ დაზგის მეორე სახეობას მიეკუთვნება „საფეიქრო სკამი“. იგი პირველთან შედარებით უფრო დაწინაურებული ჩანს. მას ჰორიზონტალური ტიპის ორმოზე გამართულ „საფეიქრო“ დაზგისაგან განსხვავებით „სავარცხელი“ და ორი „დგიმი“ აქვს. მასში გაბმულ ქსელში საზედაო ნართს „ცხემლით“ ატარებდნენ. საბეჭად „დაშნას“ მაგიერ სავარცხელი იყო გამოყენებული. ან დაზგის მოწყობილობაში შედის სკამ-სავარძელი, რის გამოც ამ საქსოვს „საფეიქრო სკამი“ „საფეიქრო შკამი“ ეწოდებოდა. სკამის წინა მხარეს გადებულია „თუნალაჲ“, რომელზედაც ნაქსოვი ეხვევა. ქსელი ცალკე იქსელებოდა, სკამის ფეხებზე.

„საფეიქრო სკამი“ გაწყობილია მიწის ზემოთ, ორმოს გარეშე.

მესამე სახის „საფეიქრო“ დაზგა, „საფეიქრო სკამთან“ შედარებით კიდევ უფრო განვითარებულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ. იგი წარმოადგენს ჰორიზონტალური ტიპის ოთხ „დგიმიან“ საფეიქრო დაზგას, რომელიც გამართულია ოთხ ბოძზე. ბოძები ზევით და ქვემოთ შეკრულია ხიდებით. ზევითა გვერდითა ხიდებზე გადებულია განის ხიდები, რომელზედაც ჩამობმულია „სავარცხელი“ და „დგიმები“. დაქსელვა ცალკე წარმოებდა, სპეციალურ ხელსაწყოებზე. ქსელს აკვანძავდნენ, შემდეგ ქსლის თავებს გაჭრიდნენ და ქსელს ჯერ „დგიმებში“ და „სავარცხელში გაატარებდნენ, შემდეგ კი წინა ხიდთან „რუნალაზე“ ამაგრებდნენ. ქსლის მეორე ბოლოს კი დაზგის ზედა ხიდზე გადატარებით ქვემოთ ამაგრებდნენ, ანდა პირდაპირ უკანა განის ხიდზე ახვევდნენ. მისაქსელს, ნავისებური ხელსაწყო — „მაქოთი“ ატარებდნენ.

ყველა აქ დასახელებული, ხალხურ ფეიქრობაში გამოყენებული ხელსაწყო-იარაღები ხისგან იყო დამზადებული. ადგილობრივი ხელოსნების მიერ. მართალია, XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში რუსეთის გზით შემოდის უფრო გაუმჯობესებული სახის ჯარა, საქსოვი და საფეიქრო დაზგები; მაგრამ, მიუხედავად ამისა ადგილობრივაც ხდებოდა მათი მსგავსი იარაღების დამზადება. მაგალითად ჰორიზონტალური ტიპის ოთხ დგიმიანი საქსოვი დაზგა — „საფე-

ჩქრო“ სოფ. საბუეში იოსებ (სოსო) ჯორჯაძემ ჩამოატანინა, შემდეგ ასეთივე დაზგები ადგილობრივაც იქნა დამზადებული.

ამრიგად, ხალხურ ფეიქრობაში გამოყენებული იყო მარტივი ხელსაწყო-იარაღები; რომლებიც წარმოადგენდნენ საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივი საწარმოო გამოცდილების შედეგად წარმოქმნილ მატერიალური კულტურის ძეგლებს.



საქსოვი „ყდანი“

# ქ რ ო ნ ი კ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაირა ღვინიანიძე
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

## ჩვენი წინაპრების ნაკვალევსა და ნახელავზე

თავისი ქარიშხლიანი ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებით ძლიერებისა და ამაღლობის ხანაში საქართველოს შეეძლო ქართული კულტურა შორს საზღვარგარეთაც გაეტანა, დიდის სიყვარულითა და სისათუთით მძლავრი კულტურული კერები ჩამოეყალიბებია და შეენარჩუნებია. ერთ-ერთ მათგანს დღევანდელ ბულგარეთის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ პლოვდივის მახლობლად სოფელ ბაჩკოვოსთან არსებული პეტრიწონის მონასტერი წარმოადგენს, რომლის მონახულების საშუალება გასულ ზაფხულს მოგვეცა ქართველ ბოტანიკოსთა ერთ ჯგუფს.



ბაჩკოვოს მთავარი ეკლესიის გუმბათი ქართული ჯვრით

ქართველი ბოტანიკოსები ბოტანიკურ ექსკურსიებთან ერთად ქვეყანასაც უნდა გავცნობოდით, ისტორიულ ძეგლებზე კი ძალზე ნაკლები დრო გვრჩებოდა. ამიტომ ქალაქ პლოვდივის (საიდანაც ბაჩკოვოს მონასტერი ოციოდე კილომეტრზეა) დათვალიერება ძლიერ შევამცირეთ, — ვარჩიეთ ჩვენი ნაამაგდარი წინაპრების ნახელავი და ნაკვალევი უნახავი არ დაგვეტოვებია.

გაავდრდა, მაგრამ ჩვენს გადაწყვეტილებას პეტრიწონის მონასტერში წასვლის შესახებ ველარაფერი დააბრკოლებს. გზა მონასტრისაკენ მდინარე ჩაიას ლამაზ ხეობას მიუყვება; საკმაოდ ღრმა და ვიწრო ხეობას ფოთლოვანი ტყით დაფარული მთები ზღუდავენ. ეს გზა როდოპის მთების გავლით ეგეოსის ზღვისკენ გრძელდება. გზადაგზა მთის ფერდობებზე ციხეების

ნანგრევები შემორჩენილან. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით ეს გზა ძველადაც არსებობდა და დიდი მნიშვნელობისაც იყო, მონასტერიც ამ დიდმნიშვნელოვანი გზის პირას გაუშენებიათ, როდოპის ქედის ჩრდილო კალთაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე სოფელ ბაჩკოვოში შევედით, ამ სოფლის მიხედვით მიეცა პეტრიწონის მონასტერს დღევანდელი სახელწოდება. აქედან მონასტერი ორიოდე კილომეტრზეა. მცირეოდენი აღმართიც და ჩვენი კომფორტაბელური ავტობუსი მონასტრის კარიბჭის წინ გაჩერდა. მეთოთხმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ჩვენი სახელოვანი მკვლევარების ნ. ბერძენიშვილის, ა. შანიძის და ი. გიგინეიშვილის შემდეგ ჩვენ ქართველთა პირველი მრავალრიცხოვანი დამთვალიერებლები ვართ ამ მიწაზე.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ პეტრიწის სავანე, ქართველთა მონასტერი — დაარსებულია ქართველი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთავის, დასავლეთის დომესტიკოსის გრიგოლ ბაკურიანის-ძის მიერ, 1083 წელს. ამაზე მეტყველებს მონასტრის შესასვლელ თაღში გაკრული მოკლე ცნობარი ხუთ ენაზე.



ღვთისმშობლის ქართული ხატი. ფოტო აკად. ლ. ჯაფარიძის

ცნობილია აგრეთვე, რომ მონასტრის წესდების მიხედვით, სემინარიის მოსწავლენი ქართული ენის მცოდნენი უნდა ყოფილიყვნენ და სწავლაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ამავე მონასტერში მოღვაწეობდა, ვიდრე დავით აღმაშენებლის მიერ გელათს არ იქნა მიწვეული იოანე პეტრიწონელი, „შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიის ყველაზე დიდი წარმომადგენელი."

გადავაბიჯეთ მონასტრის ზღურბლს. გალავანს შიგნით, ეზოს ცენტრში მთავარი ეკლესიაა, რომელიც, როგორც ჩვენი მეგზური მონასტრის ერთ-ერთი ბერი გადმოგვცემს, გრიგოლ ბაკურიანის-ძისეული ეკლესიის ადგილზეა აგებული, XVII საუკუნის პირველ ნახევარში. (მონასტერში ახლაც სემინარიაა, თუმცა უკვე არაქართული. ეზოში ბევრი დამხმარე ნაგებობაა). ეკლესია ორ გუმბათიანია, ერთ-ერთ გუმბათზე თითქმის 1 მეტრის სიმაღლის ჯვარია, ოქროცურვილი. ამ ჯვარის ქართული წარმოშობა ნ. ბერძენიშვილმა და ა. შანიძემ დაადგინეს ბულგარეთში ყოფნისას და ჯვარზე ქართული მთავრული ასოებით ამოკვეთილი წარწერაც „ძლევაჲ" ამოიკითხეს. ჯვარი ვერცხლისაა.

ჩვენი მეგზური ბერი ეკლესიაში შეგვიძღვა. საპატიო ადგილზე დიდ სვეტზე ღვთისმშობლის ქართული ხატია, საქართველოდან მოტანილი (თუ გადმოცემის მიხედვით თავით მოსუ-

ლი, სასწაულმოქმედი), ქართული მოჭედილობითა და წარწერით, რომელიც 1311 წ. თარიღდება. ახლა ქართული ჭედურობის და წარწერის მხოლოდ ნაწილიღა ჩანს, უფრო გვიანდელი, უკვე არაქართული ჭედურობის ფონიდან. თითონ ხატის გამოსახულება თით[illegible]

გალავანს გარეთ გამოვდივართ. აღმოსავლეთით, მონასტრისაგან [illegible] დაშორებით კიდევ ერთი ნახელავია ქართველთა. ეს გრიგოლისეული საძვალეა, ორსართულიანი ეკლესია გორაკის პირას. მხოლოდ იგი შემორჩენილა XI საუკუნის ნაშთებიდან დღემდე. გორაკის ცალი მხარე ციცაბოა, ამიტომ ამ შენობას მორთულობა მხოლოდ სამი მხრიდან აქვს. სამწუხაროდ, ეკლესიის შიგნით ძლიერ დაზიანებული მხატვრობის, მათ შორის ქართული ფრესკების, სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობდა და მნახველთათვის ეკლესია დახურული იყო.

ვეძებთ კიდევ რაიმე ქართულს, მაგრამ ყველა დანარჩენი ნაგებობა მონასტრის ეზოში შედარებით გვიანდელია და უკვე არაქართული. ვამთავრებთ მონასტრის შემოგარენის შემოვლას, თუმცა განუწყვეტლივ წვიმს. ყველას აღელვება გვეტყობა, სიხარული და ალბათ სიამაყეც.

გუგუნებს ქართული მრავალჟამიერი მონასტრის ეზოში. ცოტაც და ვბრუნდებით მადლიერების გრძნობით მეგობარი ბულგარელი ხალხისადმი, რომელთაც ასეთი სიყვარულით შემოინახეს უძველესი ქართული კულტურის ეს შესანიშნავი ძეგლი.



ქართველ ბოტანიკოსთა ჯგუფის ნაწილი გრიგოლისეულ საძვალესთან

ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲮᲐᲜ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

მაისის თვეში საქართველოს საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა კავკასიის ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო-საკვლევი და საგანმანათლებლო დაწესებულების აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ასი წლის იუბილე.

პირველი მუზეუმი თბილისში ჯერ კიდევ 1852 წელს დაარსდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების განყოფილებასთან ქართველი და რუსი მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობით. ამ მუზეუმის ერთ-ერთი პირველი თანამშრომელი რაფიელ ერისთავი იყო. მუზეუმი მხოლოდ 1861 წლამდე არსებობდა; ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის გამტარებლებმა ზედმეტად ჩათვალეს თბილისში მისი არსებობა.

1864 წელს მუზეუმის შექმნის საქმეს ხელი მოჰკიდა წარმოშობით გერმანელმა მეცნიერ-ბუნებისმეტყველმა გუსტავ რადემ, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საქართველოსა და კავკასიის ბუნების შესწავლას მოახმარა. კავკასიის მუზეუმის ოფიციალური გახსნა 1867 წლის 2(14) იანვარს მოხდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მას საქართველოს მუზეუმი დაერქვა, 1947 წელს კი აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელი მიეკუთვნა.

კავკასიის მუზეუმის პატარა კოლექტივს მეტად ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებიდანვე მკვეთრად გაუმჯობესდა მუზეუმის საქმიანობა. საქართველოს რევოლუციურმა მთავრობამ მუზეუმის ბიბლიოთეკას გადასცა სათავადაზნაურო ბანკის შენობა, 1923 წელს აშენდა მუზეუმის შენობის ძირითადი კორპუსი, ხოლო 1929 წელს მთლიანად დამთავრდა მისი მშენებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ისევე, როგორც თბილისის უნივერსიტეტი ქართული მეცნიერების ძირითადი კერა გახდა. წლების განმავლობაში მუზეუმში შრომობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილ მეცნიერთა მთელი პლეადა: ი. ჯავახიშვილი, გ. წერეთელი, ა. თვალჭრელიძე, გ. ჩუბინაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ა. ჯანელიძე, გ. ჩიტაია, შ. ამირანაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, პ. ინგოროყვა, გ. ნიორაძე, ბ. კუფტინი, ი. აბულაძე, ს. მაკალათია, ა. ბარამიძე და სხვ.

მუზეუმში საფუძველი ჩაეყარა და განვითარდა ქართული არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ნუმიზმატიკა. მუზეუმი მუდმივი მონაწილეა საქართველოში წარმოებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა. საქვეყნოდაა ცნობილი თრიალეთის, სამთავროს, ბაგინეთის, არმაზისხევის, ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიციები, რომელთა მონაპოვარი მუზეუმის ფონდების ერთ-ერთი უმთავრესი საგანძურია (ოქრომჭედლობისა და ტორევტიკის ძეგლები, კერამიკა, არმაზული წარწერები და სხვა მრავალი).

სამეცნიერო-კვლევითი და საექსპედიციო მუშაობის უმთავრესი შედეგები გამოფენებზე აისახება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1961 წელს გახსნილი გამოფენა „საქართველოს მატერიალური კულტურის უძველესი დროიდან ფეოდალურ ხანამდე", (ხელმძღვანელი ალ. ჯავახიშვილი).

მუზეუმი იყო და რჩება ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების სამჭედლოდ, მისი მედროშის გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით. აქვე საფუძველი ჩაეყარა ქართული ნუმიზმატიკის შესწავლას, რომელსაც მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე დ. კაპანაძე ხელმძღვანელობს. საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატური კოლექციები 90 ათას მონეტას ითვლის, იგი ერთ-ერთ მდიდარ და საინტერესოდ ითვლება მთელ მსოფლიოში.

ქართველი ხალხის უდიდესი სულიერი საგანძური — 10.000-მდე ქართული ხელნაწერი წიგნი, 40.000 საბუთი, ამათ გარდა არაბული, ებრაული, სპარსული, თურქული, სომხური,

ბერძნული და რუსული ხელნაწერები ინახებოდა მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, რომლის ბაზაზეც 1958 წელს შეიქმნა აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

მდიდარი მასალებია თავმოყრილი ბოტანიკის, ზოოლოგიისა და გეოლოგიის განყოფილებებში.

1966 წელს მუზეუმში ჩამოყალიბდა სპელეისტიკის ლაბორატორია, რომლის მიზანია საქართველოს ხელოვნური მღვიმე-გამოქვაბულების გამოვლენა, აღრიცხვა ფიქსაცია და შესწავლა.

მუზეუმში ყველაზე ახალგაზრდაა ბურჟუაზიული ხანისა და საბჭოთა საქართველოს მატერიალური კულტურის შემსწავლელი განყოფილებები. მუზეუმის იუბილის დღეებში გაიხსნა მათ მიერ მოწყობილი გამოფენები. მეტად საინტერესოდაა გადაწყვეტილი და მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს გამოფენა „საქართველოს მატერიალური კულტურა 1801—1921 წ. წ. (ხელმძღვანელი შ. ლომსაძე).

მუზეუმის საბჭოთა განყოფილების დიდ მიღწევას წარმოადგენს ახლახან გახსნილი გამოფენა „საქართველოს მატერიალური კულტურა 1921—1965 წლებში“, (ხელმძღვანელი ნ. შველიძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამასი. ხეზე კვეთილობა (ბზა). არსენ ფოჩხუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნორჩ პიონერთა ლაშქრობა

გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ინიციატივით წელს დაიწყო მოსწავლეთა ლაშქრობა მატერიალური კულტურისა და ბუნების ძეგლების მოვლა-პატრონობისა და დაცვის მიზნით. გაზეთის რედკოლეგიის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიება წინასწარ კარგად არის მოფიქრებული და მოსწავლეები გეგმიანად შეუდგნენ ძეგლების შესწავლის საქმეს.

ლაშქრობას ხელმძღვანელობს სწავლულთა დარბაზი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი მეცნიერები: აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, პროფ. გ. ჩიტაია, პროფ. ი. ციციშვილი, მ. ლორთქიფანიძე, მწერალი ლ. გოთუა და სხვები. უმოკლეს დროში ლაშქრობაში ჩაება რამოდენიმე ათასი მოსწავლე, პირველ ტურში 6 იანვრისათვის ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა 21650 მოსწავლე, შემდგომ ტურებში, ეჭვი არაა, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

ნორჩ მოლაშქრეებს მჭიდრო კავშირი აქვთ რა სწავლულთა დარბაზთან, გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ საშუალებით არა ერთ საგულისხმო რჩევა-დარიგებას იღებენ გამოჩენილი მეცნიერების ნ. კეცხოველის, ი. ცინცაძის, გ. ჩიტაიას, მწერალ ლ. გოთუასაგან ძეგლების მოვლა-პატრონობისა და შესწავლის საკითხზე.

„ნორჩი ლენინელის“ რედაქციას მოლაშქრეებისაგან მოსდის მრავალი წერილი, სიგნალი, წინადადებები, რომლებშიაც მოსწავლეები ასახავენ ძეგლების მდგომარეობას, მათი დაცვისა და პატრონობის საკითხებს.

შემოსულ წინადადებებზე რეაგირებას შეძლებისდაგვარად ახდენს ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის აპარატი, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი.

საჭიროა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ბუნების დაცვის ნორჩ მოლაშქრეებს აქტიური დახმარება გაუწიონ ადგილებზე ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონულმა საბჭოებმა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმებმა, კომკავშირის რაიკომებმა, კულტურისა და განათლების განყოფილებებმა. ჩვენი ნორჩი მოლაშქრეები უნდა გრძნობდნენ, რომ ისინი სასახელო საქმეს აკეთებენ, ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ღონისძიება ხელს უწყობს ნორჩების პატრიოტულ და ესთეტიკურ აღზრდას, რაზმავს ათასობით მოსწავლე-ახალგაზრდობას კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვის დიდი საქმისათვის.

ბუნებისა და კულტურის ძეგლთა ნორჩ დამცველებს განსაკუთრებით ახლა დაეტყოთ გამოცოცხლება. არდადეგების პერიოდში თვითეული რაზმეული, რაზმი და რგოლი საქართველოს მატერიალური კულტურის მრავალ ძეგლს გაეცნო.

საჭიროა მეტი გულისხმიერება გამოიჩინონ ძეგლთა დაცვის საზოგადოების საბჭოებმა, რათა მომავალშიაც წარმატებით გაგრძელდეს ეს ღირსშესანიშნავი ღონისძიება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## СЕРИЯ „ПАМЯТНИКИ МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ"

А Н Н О Т А Ц И И:

*И. В. АДАМИА*
Кандидат архитектуры

### Древние типы грузинского жилого дома в Аджарии

Аджария — один из замечательных уголков Грузии по уникальным памятникам народной архитектуры.

В соответствии с системой поселения, архитектурными типами жилых и хозяйственных строений. территория Аджарии состоит из отличающихся друг от друга, трех жилищных зон:

1. Яйла — «та» (от груз. слова «Мта»), которая представляет сезонное поселение.

2. Кишла — «перда» — сезонное поселение.

3. Деревня — постоянное поселение.

Кишлы и Яйлы по нашему мнению должны считаться прототипом старой аджарской деревни.

На приусадебном участке для постройки жилых и хозяйственных сооружений выбраны самые неприступные, неплодородные, скалистые места, ввиду сложного рельефа встречаются ступенчатые улицы.

На территории Аджарии выработаны и до сих пор сохранены в завершенном виде своего развития три основных типа жилых домов: Аджарские, Лазистанские и жилые дома типа «Ода-сахли».

Характерной особенностью жилых домов аджарского типа является прямоугольный вид, чаще всего близкий квадратной форме. Его объем и вертикали делится обычно по этажам следующих назначений: а) Этаж «Халхами» представляет собой наполовину открытое пространство и используется для помещения скота летом. б) цокольный этаж или «Ахори» используется для скота в зимний период; в более поздних постройках место хлева уступается погребу; в) жилой этаж, где проживает семья; г) чердачный этаж, где помещается зимний амбар.

Знаменателен тот факт, что жилые дома аджарского типа встречаются также в Грузии и на территории Картли.

Всю площадь этажа в длину пересекает «Коридор» на две части. Этот коридор местные жители называют «Язлоги» — «Шуа дерепани».

Лазистанские дома в массовом порядке встречаются только в тех местах, где живет древнейшее племя Картвелов — Лази. Такие типы домов здесь именуются «Охой» или «Охори», что по-лазски означает дом, а в старину этим термином обозначалось «Семья».

План жилого дома лазистанского типа, в большинстве случаев, имеет форму квадрата и почти ничем не от-

личается от плана жилого дома аджарского типа по своему контуру. «Охори» обычно двухэтажное здание. Встречаются полудвухэтажные, что вызвано своеобразием рельефа местности.

Главной и значительной частью «Ахори» является общий семейный зал 28—30 и больше кв. метров.

Особенный интерес вызывает среди рассмотренных типов жилых домов постройки из булыжников своей конструкцией и художественной обработкой, что широко было распространено в юго-западной части Аджарии.

стена такой конструкции представляет собой деревянную клетчатую систему, в которую и скреплены разноцветные булыжники.

Надо отметить, что подобранные народы разноцветных булыжников вносят живые тона и художественную прелесть в фасад жилого дома.

Подобного рода мозайчную, художественную обработку стен жилых домов мы считаем древнейшим способом зодчества нашего народа.

Дома северо-западной Аджарии мы называем «Ода-сахли», потому, что они ничем не отличаются от жилых домов типа колхидского «Ода-сахли».

Старинные образцы «Ода-сахли» до сегодняшнего дня сохранены в деревнях Кинтришского ущелья.

Многочисленные образцы орнаментальной резьбы на дереве, которые в виде фрагментов сохранились на территории Аджарии, красноречиво подтверждают наличие многовековой передовой культуры и высокий уровень архитектурного наследия грузинских племен, живущих в этой части древней Грузии.

Орнаменты, выполненные искусcным мастером лазов, как архитектурно-художественные элементы, использованы для украшения экстерьеров и интерьеров.

*Г. Ф. ГОБЕДЖИШВИЛИ*
Руководитель Тетрицкаройской археологической экспедиции

## Беденская гробница

В Тетрицкаройском районе на плоскогорье Бедени — экспедицией Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР в 1966 г. был раскопан большой курган «Гадачрили гора», в яме под насыпью которого открыта дубовая гробница конца III тысячелетия до н. э., ориентированная с востока на запад. Своеобразие этого уникального для Закавказья сооружения выражено сплошными стенами из вертикально поставленных кругляков, устланным циновкой перекрытием и полом из бревенчатого наката. Перекрытие опиралось на конковых бревнах, поддержанных двумя столбами.

В разграбленной еще в древности гробнице все же сохранились немногие кости, вероятно, вождя племени и два костяка лежащих в скорченной позе и ориентированных на запад его слуг, а также многочисленные остатки от погребального инвентаря.

По соответствующим находкам можно предположить, что покоящийся на орнаментированном деревянном ложе труп вождя был занесен в гробницу на носилках и положен на заранее впущенной в нее четырехколесной повозке. Покойник был обставлен многочисленными приношениями, в том числе деревянной и глиняной посудой с запасом съестных продуктов, из которых сохранились различные злаки и лесные фрукты. Были также найдены серебряные трубки, видимо, от погребального штандарта, медные украшения и инструменты, золотая булавка, обсидиановые наконечники стрел, лоскутья от одежды и пр.

Все находки отличаются изяществом и мастерством обработки, что указывает на высокоразвитую культуру племен, обитавших в Нижней Картли.

Особо надо отметить весьма тщательной лепки керамику с серебристым блеском поверхности, почти не имеющую аналогов на всем Кавказе.

О научном значении указанных находок пока, до реставрации разломанных на куски многих предметов, преждевременно судить, однако и по тем материалам, формы которых удается выяснить, можно утверждать, что они относятся к системе культур «Куро-Аракского междуречья Майкопа и Триалети и являются связующим звеном между первой и последней.

*А. К. СОХАДЗЕ*
Кандидат исторических наук

## Дедабодзи

«Дедабодзи» — (букв. мать-столб, главный столб) грузинской дарбази является весьма значительным памятником грузинской материальной культуры.

Поверхность «Дедабодзи» покрыта богатой резьбой — «чукуртма». Орнамент этой важной опоры (изображение светил, креста, руки, растительных частей, геометрических фигур и т. д.) связан с мотивом «древа жизни» и небесным миром.

«Дедабодзи», кроме прямого назначения (опора венца), имел эстетическое, хозяйственное и социально-культовые функции.

*Г. В. ДЖАЛАБАДЗЕ*
Кандидат исторических наук

## Хлебные амбары и чаны

В статье рассказывается о способах и объектах хранения зерновых культур: вырытых в землю ямах, амбарах и чанах.

Особое внимание автор обращает на описание амбаров и чанов, на их распространение и значение для музея, как характерного памятника хозяйственной жизни Грузии.

Автор отмечает, что искусство приготовления чанов в Восточной Грузии было монополией пшавов, а

амбары приготовляли как местные мастера, так и рачинские ремесленники.

В статье автор заостряет внимание на экономическом взаимоотношении горных жителей и равнин Грузии.

*И. В. АЦАМИА*
Кандидат архитектуры

## Некоторые образцы народного зодчества в ущелье верхнего течения реки Квирила

Статья посвещена к изучению народного зодчества в ущелье верхнего течения реки Квирила.

Рассмотрены некоторые вопросы планировки и застройки старых деревень на примерах Перевы, Шуакардзмани, Спети и др.

Старые усадьбы, как основной элемент поселения, делятся на две группы: а) Усадьбы, которые расположены на сложных (горных) рельефах и не имеют четких очертаний, б) Усадьбы, которые распланированы на ровных местностях имеют четкие очертания прямоугольника или трапеции.

Основным распространенным типом народных жилых домов в этом уголке является дом несколько удлиненной композиции, так называемый «Длинный дом» или «Земоури сахли». Идентичные типы длинных домов» засвидетельствованы в различных уголках западной Грузии, также за пределами ее территории.

Сборные архитектурно-конструктивные элементы «длинного дома», техника разбора таких домов, модульная система и практика перенесения с одного места на другое способствовали их широкому распространению.

Примечательно, что композиции плана плетенных кукурузников ничем не отличаются от композиции «длинного дома» по середине открытыми балконами.

Фактический материал дает нам возможность восстановить полную картину этапов развития «длинного дома».

В конце рассмотрены идентичные и синхронные типы «длинного дома»,

В труде представлены фото-иллюстрации и обмеренные материалы, выполненные автором.

*К. Н. МЕЛИТАУРИ*
Кандидат архитектуры

## Тбилисские балконы

Красота самобытной архитектуры Тбилиси, издавна привлекавшая внимание посетителей, создавалась благодаря неповторимого изящества и многообразия висячих и перекрытых деревянных балконов. Двухэтажные дома со скупой декоративной обработкой, которыми застраивались узкие и кривые улицы, оживлялись деревянными балконами. определяя ар-

хитектурное лицо старого города. Статья посвящается этим тбилисским балконам позднерусского классицизма.

Схематический план и фасад дома, представляющий документ на право строительства, при выполнении его в натуре, в особенности в создании балкона, мастерам давало возможность вливать неиссякаемый поток народного творчества. Архитравные и арочные решения балконных пролетов, включающих в себя часто и ажурный орнамент, отображают га строгую монументальность, то легкость и подвижность форм. Особо отмечается, широко распространившийся в строительстве Тбилиси 19-го века, ордер с восьмигранной капителью, который приятно сочетается с арочной конструкцией и дает мягкие переходы окружностей с прямыми линиями. Касательно ажурных арок, отмечена их особая выразительность, легкость и динамичность при сочетании с витыми колоннами. Наконец указана необходимость сохранения деревянных балконов и этим спасение былого облика характерных участков старого Тбилиси.

*Л. З. СУМБАДЗЕ*
Архитектор

## Резьба по дереву в народном зодчестве Грузии

В статье прослеживаются пути развития орнаментальной резьбы в объектах народного зодчества Грузии, подвергается анализу четыре основных типа народного жилища, в архитектуре которых с большим мастерством используется орнаментальная резьба — чукуртма: картлийский дарбази, месхетский дарбази, западно-грузинское «ода» и тип высокогорного Кавкасиони — сванский дом.

Во всех этих типах жилища наблюдается единство приемов орнаментальной резьбы на элементах архитектуры, мебели, утвари.

Принципы построения интерьера Картлийского дарбази исходят из доминирующего значения вертикальной оси — очаг световой проем «саркмели» и опорных столбов «дедабодзи», поддерживающих уступчатый деревянный купол «гвиргвини».

В интерьере Месхетского дарбази в силу ряда причин ведущим элементом композиции становится богато украшенный камин («оджахис-ква»), дверца встроенных шкафов, стены, часто покрываемые деревянными панелями со сложным узором резьбы. Гвиргвини способствует лучшему освещению стен.

В архитектуре «ода-сахли» особое художественное развитие получает решение экстерьера, доминирующим элементом которого становится балкон-айвани.

В художественном решении интерьера Сванского народного жилища, в его первом этаже-мачуби, где проживала большая семья и содержался скот, резьба по дереву занимала ведущее место. Помимо богато украшенной утвари и мебели орнаментом покрывалась деревянная разгородка, отдаляющая помещение скота с орочными прорезями.

Сравнение художественных приемов в использовании орнамента в

жилищах трех основных климато-географических районов Грузии: Восточной, Западной и Горной, приводит к выводу, что в каждой из этих областей народные мастера проявили исключительное понимание особенностей местных условий, свойств строительного материала, большой художественный вкус и — что важнее всего — подчеркивали в архитектурной композиции главное и подчиняли ему второстепенное; украшение никогда не превращался в самоцель.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Несмотря на разнообразие и особенности, наблюдаемые в художественном решении объектов каждого из этих трех областей — они являются носителями общенациональных самобытных черт грузинского народного искусства.

*НИКО ЧУБИНАШВИЛИ*
Доктор искусствоведения

## Резные деревянные двери из Корети и Мацхвариши

Искусство резьбы по дереву в Грузии развивалось с древних времен. Сохранились примеры художественно-законченной декоративной резьбы по дереву, выполненной профессиональными мастерами.

Такие примеры высоко профессионального искусства, как резные деревянные двери из Пхотрери, Аци, Сюип-Парского (Верхняя Сванетия), из Джахундери и Чукули (Нижняя Сванетия), из Мгвимеви и Лашес-Ванн (Имеретия), Оцпндальская дверь (Менгрелия) и др. датируются концом X и первой половиной XI вв.

Рядом с этими произведениями, многочисленные примеры резьбы по дереву представляют соединение плотничного искусства с народным творчеством (конструктивные части жилища, предметы обихода, мебель и др.). Эти произведения относятся к позднему времени, а некоторые из них можно датировать XVII веком.

Особый интерес представляет тот факт, что среди монументальных произведений резьбы по дереву выявляется ряд примеров, среди них резные деревянные двери из Корети (Имеретия) и Мацхвариши (Верхняя Сванетия), датируемые второй половиной X века, в которых проявляются традиции народного творчества. Мастера этих дверей используют композиции и декоративные элементы высоко профессионального искусства, но в целом — в подборе мотивов, в технике резьбы, в характере изображений, в стремлении к наивной реалистичности проявляется связь с традициями народного творчества.

На дверях из Мацхвариши читаем имя резчика — Квирике Агидулиани. Таким образом, мастер—сван, местного происхождения.

*Г. С. ЧИТАЯ*
Профессор

## Лазский орнамент

Лазский орнамент на дереве представлен преимущественно растительными и животными образцами. По технике его характеризуют глу-

бокая резьба и пластический рельеф. В нем заключены древнейшие сюжеты, которые, помимо декоративной функции, имеют мифологическое содержание. Мотив «дерева жизни» в лазском орнаменте состоит из следующих компонентов: дерево жизни, пара животных («антиподы»), луна, солнце и другие светила. Мотив «дерева жизни» является древнейшим сюжетом грузинского народного орнамента. Мы его находим на дереве, камне и ткани. Он имеется на грузинских исторических памятниках, на глиняной плите с надписью грузинскими буквами из Тхаба-ерди (Ингушетия) и на албано-дагестанских объектах. Особое значение имеет присутствие этого мотива в сванском новогоднем обрядовом, т. н. липанальском искусстве, где представлено дерево жизни с парой коз. Поскольку липанальское искусство является древнейшим обрядовым искусством в честь мертвых, представленный в нем этот мотив, по своему происхождению, принадлежит к древнейшим ритуальным сюжетам.

Лазский мотив «дерева жизни», в особенности его сванский вариант, имеет аналогии в хуритских памятниках (Телл-Халаф, Зенджирли, Ифлатун-фунар и др.). Эти аналогии подкрепляются другими параллелями хуритской и грузинско-кавказских элементов культуры. В свою очередь хуритский мотив дерева жизни генетически восходит к его шумерскому варианту («Адам и Ева»). В мотиве «дерева жизни» замена священного дерева рыбой, как это имеет место на албанско-дагестанском памятнике, доказывает, что в этом мотиве в основном мы имеем символ плодородия. Использование в качестве плодотворящего начала рыбы засвидетельствовано многими грузинскими материалами: божество рыбы Ларса в Имеретии, новогодняя форель в Гурии, живая рыба в ритуале бездетности в Триалети, каменные рыбы вишапы, вишапоиды и др.

*Л. А. БЕДУКИДЗЕ*
Младш. научн. сотр. Госмузея им. Джанашиа

## Грузинская народная мебель

В горных районах Грузии сохранились оригинальные образцы деревянной мебели. Техника изготовления этой мебели и способы его использования являются показателями тех богатейших традиций, которые при передаче из поколения в поколение — сохраняют свое существование.

Особо обращают на себя внимание украшения мебели, которые преимущественно представляют геометрический орнамент с различными вариациями солярных знаков и пр.

В результате изучения народной мебели, выявлено значение этого элемента материальной культуры в этнографическом быту. Устанавливается, что в Пшавии и Хевсурии мебель по возможности делалась комбинированной и все лишнее устранялось из интерьера. Эти традиции соответствуют современным требованиям архитектуры.

*Г. С. ГАСИТАШВИЛИ*
Кандидат исторических наук

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Грузинская молотильная доска—кеври

Как практически, так и культурно-исторически очень важным представляется длительная традиция изготовления грузинского самобытного земледельческого орудия — молотильной доски — кеври.

Как известно, молотильная доска является одним из древнейших культурных приобретений развитого земледелия и наиболее эффективным орудием молотьбы из всех других ее известных видов в древности.

Для изготовления молотильных досок выбирались породы хвойных деревьев, легко поддававших обработке. Наличие остатков молотильных досок (XI—IX, VIII—VI до н. э.) в Картли (Мцхета, Цхинвали, Уплисцихе и Ховле) свидетельствует не только о древней культуре земледелия в данном районе, но и о существовавшей в древности же данного вида ремесла (изготовление молотильных досок).

*М. Е. ХАЗАРАДЗЕ*
Мл. научн. сотр. Института
истории, археологии и этнографии
им. И. Джавахишвили

## Деревянные „Садгвебели"

В статье рассмотрены некоторые вопросы древообработки у горных племен Восточной Грузии. На основании анализа народных традиций и производственного опыта горцев, в деле изготовления деревянной посуды, а конкретно, на примере изготовления и применения деревянных маслобоек — автор приходит к заключению, что местное население в итоге длительного наблюдения предпочитает деревянную посуду глиняной и металлической, в виду ее особых качеств для приготовления качественного масла.

*Н. Б. РЕХВИАШВИЛИ*
Доктор исторических наук

## Железные предметы, связанные с очагом

В грузинском этнографическом быту существовала одна группа железных предметов, связанные с очагом. Характерной чертой этих предметов является своеобразная внешняя форма — заручённый корпус, украшенный с рельефными изображениями животных.

Специфическая форма корпуса имела практический и эстетический характер, а изображения диких животных магический.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

*Ц. Г. КАРАУЛАШВИЛИ*
Мл. науч. сотр. Гос. Музея
Грузии им. С. Джанашиа

### Орудия грузинского народного ткачества

Истоки народного ткачества, которое еще продолжало существовать в некоторых местах, особенно в горных районах Грузии, берут начало в далеком прошлом.

В народном ткачестве использовались несложные народные орудия, при помощи которых изготовлялись различные ткани. В зависимости от процесса труда орудия группируются таким образом: 1. Орудия, использовавшиеся для обработки пряжи, 2. Ткацкие станки, 3. Орудия для обработки тканей.

Таким образом, в народном ткачестве Грузии использовались несложные орудия, интересные памятники материальной культуры, создававшиеся человеком в результате длительного производственного опыта.

*З. И. ГВИНИАНИДЗЕ*
Кандидат биологических наук

### По следам предков

В статье рассказывается о посещении группой грузинских ботаников в Болгарии Петрицонского, ныне Бочковского монастыря, основанного грузинским общественным и государственным деятелем Григорием Бакуриани.

*Ц. Г. ЦИНЦАДЗЕ*
Мл. Научн. сотр. Государственного
музея Грузии им. С. Джанашиа

### Юбилей музея

В мае этого года грузинская общественность отметила столетие одного из древних научно-исследовательских центров и просветительных учреждений — Государственного музея им. Джанашиа.

В статье автор рассказывает историю создания музея, об его значении в деле развития исторических наук на протяжении многих лет.

Затем подробно останавливается на выставках, устроенных в честь 50-летия Великой Октябрьской социалистической революции.

### Поход юных пионеров

По инициативе газеты «Норчи Лениницели» в этом году начался поход учащиеся с целью охраны памятников культуры и природы.

Походом руководит «Зал ученых», в состав которого входят выдающиеся ученые республики: академик Н. Кецховели, проф. Г. Читая, проф. И. Цицишвили, М. Лорткипанидзе, писатель Л. Готуа и др.

В поход включены несколько тысяч школьников.

В I туре примет участие 21650 пионера. Несомненно, в следующих турах это число возрастет.

Газета «Норчи Ленинели» от участников похода получает много сигналов о состоянии памятников культуры и природы, на что, по возможности, реагирует Аппарат Президиума общества охраны памятников культуры.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ს ა რ ჩ ე ვ ი

ილია ადამია — ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში . . . 3
И. В. Адамиа — древние типы грузинского жилого дома в Аджарии

გერმანე გობეჯიშვილი — ბედენის აკლდამა . . . . . . . . . . . . . . 13
Г. Ф. Гобеджишвили — Беденская гробница

აკაკი სოხაძე — ქართული დარბაზის დედაბოძი . . . . . . . . . . 23
А. К. Сохадзе — Дедабодзи

გიორგი ჯალაბაძე — პურის ბეღელი და კოდი . . . . . . . . . . 27
Г. В. Джалабадзе — Хлебные амбары и чаны

ილია ადამია — ხალხური ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ნიმუში მდ. ყვირილის ზემოდინების ხეობაში . . . . . . . . . . . . . . . . . 31
И. В. Адамиа — Некоторые образцы народного зодчества в ущелье верхнего течения реки Квирила

კონსტანტინე მელითაური — თბილისური აივნები . . . . . . . . . . 47
К. Мелитаури — Тбилисские балконы

ლონგინოზ სუმბაძე — ჩუქურთმა ხეზე ხალხურ ხუროთმოძღვრებაში . . . . . . 54
Л. З. Сумбадзе — Резьба по дереву в народном зодчестве Грузии

ნიკო ჩუბინაშვილი — კორეთისა და მაცხვარიშის მოხარატებული კარები . . . . 65
Н. Г. Чубинашвили — Резные деревянные двери из Корети и Мацхвариши

გიორგი ჩიტაია — ლაზური ორნამენტი . . . . . . . . . . . . . . 71
Г. С. Читая — Лазский орнамент

ლამარა ბედუკიძე — ქართული ავეჯი . . . . . . . . . . . . . . 80
Л. А. Бедукидзе — Грузинская народная мебель

გურამ გასიტაშვილი — ქართული კევრი . . . . . . . . . . . . . . 85
Г. С. Гаситашвили — Грузинская молотильная доска — кеври

მედლენა ხაზარაძე — ხის სადღვებლები . . . . . . . . . . . . . 92
М. Е. Хазарадзе — Деревянные «Садгвебели»

ნიკო რეხვიაშვილი — კერასთან დაკავშირებული საოჯახო რკინის ნივთები . . . . 96
Н. Б. Рехвиашвили — Железные предметы, связанные с очагом

ციალა ყარაულაშვილი — ქართული ხალხური საფეიქრო იარაღები . . . . . . 102
Ц. Г. Караулашвили — Орудия грузинского народного ткачества

ქრონიკა
Хроника

ზაირა ღვინიანიძე — ჩვენი წინაპრების ნაკვალევსა და ნახელავზე . . . . . . . 108
З. И. Гвинианидзе — По следам наших предков

დურმიშხან ცინცაძე — მუზეუმის იუბილე . . . . . . . . . . . . . 111
Д. Г. Цинцадзе — Юбилей музея

ნორჩ პიონერთა ლაშქრობა . . . . . . . . . . . . . . . . . 113
Поход юных пионеров

ეროვნული ბიბლიოთეკა

Грузинское общество охраны памятников культуры

Серия «Памятники материальной культуры»
Выходит на общественных началах

# ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Сборник двенадцатый

(На грузинском языке)

სერიის რედაქტორი ომარ თაქთაქიშვილი
რედაქტორი ნიკო კეცხოველი

ყდა თენგიზ სამსონაძისა
ტექრედაქტორი გ. ამაშუკელი
კორექტორი ი. წიკლაური

ფერადი ფოტო-ილუსტრაციები დაბეჭდილია ფერადი ბეჭდვის სტამბაში

გადაეცა წარმოებას 5|VII 67 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X 67 წ.
ნაბეჭდი თაბ.— 7,65 სააღ. საგამომ. თაბ. 9,15
ანაწყობის ზომა 7 x 11,5 ქაღალდის ზომა 70x108 1|16

ფასი 72 კაპ.
Цена 72 коп.

რედაქციის მისამართი: ძერჟინსკის ქ. 19, ტელ. 9-84-47

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3
Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3

შეკვეთა 2840 უე 06184 ტირაჟი 3.000